

9 772298 0995006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი



პ

რილი

ფასი 2 ლარი

1134
2013

თავა
ქართული პროზა -
XXI საუკუნე

კაპა შამუგია
წერილი მეგობარს,
რომელსაც
კიბო აქვს და
იმედია, მალე
მოკვდება

ლევან შატბერაშვილი
ღურჯი მერანი
აბსურდების
მხარეში

გიორგი კაკაიძე
ნიგნი, სექსი,
ცეცხლი და მახვილი

ინტარვიკა
სალმან რუშდი,
იულია კრისტევა



2013/საქათბერაი

2 (217)

ინტარვიკა ორი მოთხრობა



სარჩევი

ქართული პროზა - XXI საუკუნე

- 1 კითხვარი | ლევან ბრეგვაძე, ბაკურ სულაკაური, ანა კორძია-სამადაშვილი, გიორგი ლობჯანიძე, გურამ მეგრელიშვილი
- 10 მალხაზ ხარბედია | რომანი და განმეორებები
- თარგმანი 19 იან მაკიუენი | გაათავა და მოკვდა, კოკერი თეატრში ინგლისურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ
- პოეზია 32 პაატა შამუგია | წერილი მეგობარს, რომელსაც კიბო აქვს და იმედია, მალე მოკვდება
- კრიტიკა 34 ლევან შატბერაშვილი | ლურჯი მერანი აბსურდების მხარეში
- ინტერვიუ 38 ჯეკ ლივინგსის ინტერვიუ სალმან რუშდისთან
- 46 რუთ შნაიდერის ინტერვიუ იულია კრისტევასთან ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
- მეხანძრე 51 გიორგი კეკელიძე | წიგნი, სექსი, ცეცხლი და მახვილი
- რეცენზია 53 ზაზა ციციშვილი | ირაკლი სამსონაძე
- 54 ჯაბა ზარქუა | ლაშა მილორავა
- 55 მამო სამადაშვილი | გოგი გვახარია
- 57 დალი კუპრავა | პიტერ კერი
- სახვითი ხელოვნება 59 დავით ანდრიაძე | ოლესია თავაძის სამყაროს ზღურბლთან

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "AriLi"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი

მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი

ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე

სარედაქციო საბჭო

რატი ამალობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლეზანიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასვენებელი სინამდისი

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამიზე დამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - მანამდროშე ქართული
ლიტერატურის მარლი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ფურნალი გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ფურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



ფურნალის ბეჭდვის ხარჯებს და
გაერცელებას უზრუნველყოფს
მშს "დამანი"


თბილისი, პორფირე ჩაჩინაძის ქუჩა N6
ტელ: (995 32) 295 05 23, (995 32) 214 34 01



თანამედროვე ქართული პროზა XXI საუკუნე

ლიტერატურის ისტორიისთვის მ წელი ძალიან მცირე პერიოდია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში არცთუ ცოტა დროა. იმ რვა წელიწადში, რომელიც ქართველმა მკითხველებმა, ლიტერატურის მოყვარულებმა და თავად ლიტერატორებმა "არილის" გარეშე გაატარეს, უამრავი რამ მოხდა: ახალი ავტორები გამოჩნდნენ, ძველებიდან ზოგმა აქტიურად განაგრძო წერა, ზოგმა ამ საქმეს თავი დაანება. ტირაჟები გაიზარდა, გამომცემლობები გაჩნდა, არაერთი კარგი ტექსტი დაიწერა. ერთი სიტყვით, პროცესები თავისი გზით განვითარდა. ამასობაში ახალი საუკუნის პირველი ათწლეული ჩათავდა. რა მოხდა ამ პერიოდის განმავლობაში თანამედროვე ქართულ მწერლობაში, კონკრეტულად კი პროზაში, ყველაზე კარგად თავად ამ პროზის შემქმნელებმა იციან. კიდევ - კრიტიკოსებმა და გამომცემლებმა, რომლებიც ავტორებს თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენაში ეხმარებიან. სწორედ მათ მიემართეთ თანამედროვე ქართულ პროზაში მიმდინარე პროცესებზე სასაუბროდ და რამდენიმე საჭირობოროტო საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა ვთხოვეთ. ვფიქრობთ, ამ ადამიანთა მოსაზრებები მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.

პუბლიკაცია მოამზადა ნანა კობაიძემ



1. ახალმა საუკუნემ ქართულ მწერლობას არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოუტანა და გარკვეულწილად მისი განვითარების გზაც განაპრობა. ამ ცვლილებებს ყველა თავისებურად აღიქვამს და ეხმაურება. რა განსაზღვრავს პირადად თქვენთვის თანამედროვე ქართული პროზის სახეს და რა ძირითადი ნიშნებით შეგიძლიათ მისი დახასიათება?
2. თემები, ჟანრები, სტილისტიკა, ენობრივი ქსოვილი - რა ცვლილებები განიცადა თითოეულმა კომპონენტმა ახალ საუკუნეში? რომელი მათგანი განვითარდა მეტად, სად უკეთესი ვითარება გვაქვს და სად - "ჩავარდნები"?
3. ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი, ჭაბუა ამირჯიბი, ჯემალ ქარჩხაძე, ოთარ ჩხეიძე, რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი... ამ ადამიანებმა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულების ლიტერატურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიტყვა თქვეს. ვინ ქმნის თანამედროვე ქართულ პროზას? ავტორები და ნაწარმოებები, რომელთაც, თქვენი აზრით, წლების შემდეგ XXI საუკუნის დასაწყისის ყველაზე მნიშვნელოვან ტექსტებად მოიხსენიებენ.

4. რა არის, თქვენი აზრით მთავარი წინაპირობა იმისთვის, რომ ქართველი მწერლები მსოფლიო ასპარეზზე გავიდნენ და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა იმ პროცესში, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურა ჰქვია?

5. მკითხველისა და ავტორის ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის იყო და რჩება ლიტერატურული სამყაროს ერთ-ერთი მთავარი განხილვის თემა. ვინ ვის "ზრდის" და აყალიბებს - მკითხველი ავტორს თუ ავტორი მკითხველს? ეს ალბათ კიდევ დიდხანს იქნება დავის საგანი. ამ შემთხვევაში სასწორს მწერლის სასარგებლოდ "გადავხრი" და შეკითხვას ასე დავსვამ: რამდენად არის მზად მკითხველი მიიღოს მწერლის მხრიდან წამოსული ლიტერატურული პროვოკაციები ან გულახდილობა (ვახსოვთ ალბათ, საზოგადოების მძაფრი რეაქცია რამდენიმე ავტორის თამამ ოპუსზე)? რატომ, რომ ლიტერატურის აღქმა ძალიან ხშირად სრულიად სხვა ხედვის ნერტილიდან ხდება, ზნეობრივიდან, რელიგიურიდან და ა.შ.

6. მასკულტურამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა თანამედროვე პროზის განვითარებას მთელ მსოფლიოში. შედარებით იოლად აღსაქმელ ტექსტებზე შექმნილმა მოსოხვენამ ავტორები აიძულა კომერციულად მომგებიანი ნივნების წერაზე გადასულიყვნენ. რამდენად აისახა ეს ტენდენცია ქართველ მწერლებზე? იქნებ კონკრეტულ მაგალითებზეც ვისაუბროთ და ზოგადად, ტენდენციებზეც.

7. როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს თანამედროვე ქართული პროზის განვითარებას უახლესი ათწლეულის განმავლობაში. როგორი წარმოგიდგენიათ იგი ათი წლის შემდეგ?

ლევან ბრეგაძე, კრიტიკოსი



1. ჩემი აზრით, თანამედროვე ქართული პროზის სახეს "ნონფიქშენი" განსაზღვრავს. ვატყობ, ხშირად მომიწევს ამ ტერმინის გამოყენება, ამიტომ ახლავ ვიტყვი: ინგლისურმა "ფიქშენმა" (ქართულად: "მეთხზული", "გამოგონილი") წარმატებით ჩაანაცვლა ფრანგული წარმომავლობის "ბელეტრისტიკა" (ქართულად: "მხატვრული მწერლობა", სიტყვასიტყვით - "ლამაზი წერილი/წერილობა"), ხოლო "ნონფიქშენი" "ფიქშენის" საპროსპირო ცნებაა, ანუ ქართულად მას "არაგამოგონილი", "ნამდვილი" შეეფასებება. წარმატებული კი ეს ჩანაცვლება იმიტომ არის, რომ "ბელეტრისტიკა", რაც, როგორც ვთქვით, "ლამაზ წერილს/წერილობას" ნიშნავს, იმ აზრს შთაგვაგონებს, თითქოს არაბელეტრისტული (ნამდვილი ამბების ამსახველი) ტექსტი არ შეიძლება "ლამაზი", ანუ ესთეტიკური განსჯის საგანი იყოს, რაც, ცხადია, ასე არ არის - მოსაწყენი ბელეტრისტული თხზულებაც ბევრი გვინახავს და უმშვენიერესი დო-

კუმენტური პროზაც. "ფიქშენი" და "ნონფიქშენი" კი ნეიტრალური ტერმინებია, ტექსტისადმი შემფასებლობითი დამოკიდებულების პრეტენზიას არ ამჟღავნებენ.

კარგა ხანია მთელ მსოფლიოში შეინიშნება ინტერესის გადანაცვლება ფიქშენიდან ნონფიქშენზე და ახლა ჩვენშიც ეს ხდება. ქართულ მწერლობას ლიტერატურის ამ დარგში ჩინებული ტრადიციები აქვს. ქართული ნონფიქშენი უბრწყინვალესი ჰაგიოგრაფიული მწერლობით იწყება. შემდეგ: სულხან-საბა ორბელიანის "მოგზაურობა ევროპაში", აკაკი წერეთლის "ჩემი თავგადასავალი", ალექსანდრე ყაზბეგის "ნამწყვდარის მოგონებანი", რეზო ჭიჭიჭილის "მუსიკა ქარში", აკაკი ბაქრაძის "მწერლობის მოთინიერება", ოთარ ჩხეიძის "ჩემი სავანე", ვახტანგ ჯავახიძის "უცნობი"...

ბოლომდროინდელ ნონფიქშენთაგან რამდენიმე გავიხსენოთ: ნაირა გელაშვილის "სარკის ნატყებუი" და მისივე "ჩვენი გრძელი ამბავი ანუ მცდელობა სარკის გამოთხრობა", ბესიკ ხარაშაულის "უპიგრაფები და ვინცებულ სიზმრები სათვის", ვეგამდ ქირიას "მე, როსინანტი...", როსტომ ჩხეიძის "ავვისტოს შვილები" და მისივე "კომიკოსი ტრავედიამი", დათო ტურაშვილის "ჯინსების თაობა", გურამ დოჩანაშვილის "რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება", ლევან ზურბენიშვილის "წმინდა წყვილი", გოგი გვახარიას "ცრემლიანი სათვალე"... არაჩვეულებრივი ნივნები! არ დაგვაინწყდეს გამომცემლობა "ინტელექტის" პოპულარული სერია "ჩანა-



წერები", რომლითაც სწორედ ამ ყაიდის, ოღონდ მცირე მოცულობის, ტექსტთა შემცველი კრებულები გამოდის, გატაცებით საკითხავი.

3. პირველი კითხვის პასუხიდან თავისთავად გამომდინარეობს ამ კითხვის პასუხიც: თანამედროვე ქართულ პროზას ნონფიქშენის ავტორები ქმნიან.

4. მარტო ქართული მწერლობით მსოფლიოს დანიტრერესება ძნელი საქმეა. უფრო შესაძლებელი მგონია მთელი ქართული კულტურით, მათ შორის ძველი და ახალი ხელოვნებითა და ლიტერატურით ყურადღების მიქცევა. ჩვენ მოგვეპოვება რაღაც ისეთი, რაც სხვებს არა აქვთ, არადა - სჭირდებათ. დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი თავსატეხი აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს შორის არსებული ანტაგონიზმია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უმდიდრეს და უმრავალფეროვანეს ქართულ ხელოვნებას, მათ შორის ქართულ მწერლობასაც, ძველსაც და თანამედროვესაც, იმის გამო, რომ დასავლურ-აღმოსავლურ კულტურულ ღირებულებათა ორგანული შერწყმის მაგალითია (რასაც ჩვენ თვითონ იქნებ ყოველთვის ვერ ვგრძნობდეთ, მაგრამ უცხო კარგად ამჩნევს), შეუძლია თავისი უნიკალური წვლილი შეიტანოს ამ უმწვავესი პრობლემის მოგვარებაში. იტალიელი ქართველოლოგის, ლუიჯი მაგაროტოს აზრით, თანამედროვე გადასახედიდან საქართველო მოიაზრება როგორც "ხინდი ევროპულ და აზიურ ცივილიზაციებს შორის". ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ზემოაღნიშნული ანტაგონიზმის შესუსტების მიზნით ქართული არტეფაქტების ჩართვა გლობალურ კულტურულ პროცესებში სტიქიურად და ნელი ტემპით კარგა ხანია მიმდინარეობს, მაგრამ ეს უნდა კეთილმოედეს მიზანმიმართულად, ფართო მასშტაბით, თანამედროვე ტექნიკური მიღწევების, მეტადრე ინტერნეტის შესაძლებლობათა უკეთ გამოყენებით. ამისთვის ისიც ძალიან საჭიროა, რომ დღევანდელი ქართველი ღირსი იყოს იმ კულტურისა, რაც მის წინაპრებს შეუქმნია, ანუ - იცოდეს რისი პატრონია და მოუაროს ისე, როგორც ამას დღევანდელმა მოთხოვს.

5. ერთ თავის ნაშრომში, რომელიც რამდენიმე წლის წინ ვთარგმნე, რომან ინგარდენი ასეთ რამეს წერს: "რაც არ უნდა უცნაური ჩანდეს, ჩვეულებრივ, ხელოვნებისა და ესთეტიკის მიღმა მდგომი ეს ღირებულებები [სორალურ, პედაგოგიკურ, სოციალურ და ა. შ. ღირებულებებს გულისხმობს. - ლ. ბ.] მკითხველისა და თვით კრიტიკოსთა უპირველესი ყურადღების საგანია. ამას ძლიერ ურთიერთგანსხვავებულ

მიზეზები აქვს, რომლებსაც აქ ვერ განვიხილავთ. არცთუ უკანასკნელ როლს ამ დროს ის ერთობ მნიშვნელოვანი გარემოება თამაშობს, რომ, როგორც მკითხველები, ასევე ე. წ. კრიტიკოსები არასაკმარისად არიან აღზრდილნი საიმისოდ, რომ ხელოვნებასთან და ესთეტიკურ საგნებთან სათანადო მიმართება დაამყარონ. ისინი ესთეტიკური ღირებულებების სპეციფიკასა და ხელოვნების თავისებურებას ნათლად არ აცნობიერებენ და, დასაძლევ სირთულეების წინაშე მდგარნი, თავს იმით შევლიან, რომ ხელოვნებას სხვა სფეროებში გაურბიან, სადაც თითქმისად ღირებულებების შეცნობა და შეფასებაც არც ისე ძნელია. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი საშველია".

ოღონდ ესეც სათქმელია: ესთეტიკური თვალსაზრისით რომ შეაფასო ტექსტი, მას ესთეტიკური ღირებულება უნდა ჰქონდეს!

თქვენი გვეკითხები: "რამდენად არის მზად მკითხველი მიიღოს მწერლის მხრიდან ნამოსული ლიტერატურული პროვოკაციები ან გულახდილობა (გახსოვთ ალბათ, საზოგადოების მძაფრი რეაქცია რამდენიმე ავტორის თამამ ოპუსზე)?"

"თამამ" მწერალს დალხინებული ცხოვრება არასოდეს ჰქონია და არც ექნება. პროვოკაციას მძაფრი რეაქციები აუცილებლად მოჰყვება. პრინციპში, პროვოკაცია გულისხმობს კიდევ მძაფრ რეაქციას. მთავარია დავიდარაბოდ ღირდეს, ანუ, პირადულს კი არა, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მიზანს ისახავდეს. დღევანდელი ჩვენი ლიტერატურული თუ სხვა სახის პროვოკაციები ხშირად დავიდარაბად არ ღირს ("გზა არ ღირს დავიდარაბად, / ძალზე ხმაურობს პარტერი" - გალაკტიონი).

6. არა მგონია, ვინმეს ჩვენში ნებისმიერი ყაიდის მწერლობით ისეთი კომერციული მოგება ენახოს, რომ სალაპარაკოდ ღირდეს. მას-კულტურის (როგორ ჰვავს ეს სიტყვა მაკულატურას!) სანინააღმდეგო კი რა უნდა გვიმდეს, ის თავის დანიშნულებას ასრულებს. გავიმეორებ, რაც სხვაგან მაქვს ნათქვამი (დაწერილი): მასკულტურას ანუ კიხს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქცია აკისრია: იგი ზრუნავს, რათა ფართო მასები, ის ადამიანები, რომელთა ესთეტიკური განვითარების დონე, მიზეზთა და მიზეზთა გამო, შედარებით დაბალია და ამიტომ უჭირთ ხელოვნების მაღალხარისხოვან ქმნილებებს ეზიარონ, არ დარწმუნენ ხელოვნების გარეშე, ანუ, არ დარწმუნენ კათარზისის (სულიერი განწმენდის, გნებათ, სულიერი თერაპიის) გარეშე, რაც არ შეიძლება ვინმეს პრივილეგია იყოს.

7. ნონფიქშენი განაპირობებს.

ბაკურ სულაკაური, გამომცემელი



1. ბოლო 15 წლის განმავლობაში ლიტერატურულმა ლანდშაფტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ყველაზე თვალშისაცემი მისი გაახალგაზრდავებაა. ჩვენს ყოველწლიურ გამოცემა "15 საუკეთესო ქართულ მოთხრობას" თუ გადავხედავთ, პირველ კრებულში წარმოდგენილთაგან ყველაზე ახალგაზრდა 35 წლისაა, ნლევეანდელ რჩეულში კი 30 წელზე უმცროსი ავტორები ჭარბობენ (უმეტესობა 25 წლამდეა). ისინი გაცილებით სწრაფად იმკვიდრებენ თავს, ვიდრე მათი კოლეგები 30-40 წლის წინ. იმ პერიოდში "მწერლის" სტატუსის მოსაპოვებლად დიდი დრო იყო საჭირო, უამრავი ფილტრი უნდა გაგველო. წიგნის გამოცემა კიდევ უფრო მეტ სირთულეს უკავშირდებოდა. დღეს ეს პროცესი გამარტივდა, რაც ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლამაც განაპირობა. მათი წყალობით მკითხველთან მისვლა ბევრად გაიოლდა.

ინტერნეტმა ბლოგერების ბუმი მოიტანა. ბლოგერი იგუბო მწერალია, რომელიც თავისთვის წერს, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა მკითხველიც აღმოაჩნდეს. ბევრმა პროზაშიც სცადა ბედი, მათ შორის, ბლოგებზევე. ცოტა ხნის წინ გამოვეცი თანხა ტუფნაძის კრებული, რომლის დიდი ნაწილი ბლოგზე იყო. სხვათა შორის, გენდერული ბალანსის ცვლილება თანამედროვე ქართული პროზის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ბოლო წლებში საგრძობობად იმატა მწერალ ქალთა რიცხვმა. კომუნისტების დროს პროზაიკოსი ქალი თითო-ორიოდა იყო, პროზისა უფრო სწყალობდნენ. დღეს კი პროზას ბევრი გოგონა ქმნის და არცთუ ურჩევია.

2. მთავარი პრობლემა, რომელიც ქართულ ლიტერატურას 20 წლის წინ და უფრო ადრეც ჰქონდა, ყანრული ლიტერატურის არქონაა. გინახავთ იმ პერიოდის კარგი ქართული დეტექტივი, სოციალური მისტიკა ან ფენტეზი? ვერ ნახავდით, რადგან არ არსებობდა. მიზეზი ყანრული ავტორების მიმართ მკითხველისა და ლიტერატორთა არასერიოზული დამოკიდებულება იყო. დღესდღეობით დამოკიდებულება შეიცვალა. მკითხველის უმეტესობა (რომლის დიდი

ნაწილი ახალგაზრდაა) მიხვდა, რომ ამ ტიპის ლიტერატურა ძალიანაც საინტერესოა და მთელ მსოფლიოში სიამოვნებით კითხულობენ. პირველი სერიოზული წიგნი, რომელმაც ქართულ სინამდვილეში დეტექტივის შესახებ წარმოდგენა შეცვალა, აკა მორჩილაძის "გადადრენა მადათოვზე" იყო, რომანი დეტექტივის ელემენტებით. მან დაამტკიცა, რომ ტექსტის ხარისხს ავტორის ნიჭიერება განსაზღვრავს და არა უანრი.

საგრძობობად შეიცვალა ენობრივი ქსოვილიც. საბჭოთა ეპოქაში ენობრივ საკითხებს სახელმწიფო არეგულირებდა, რის გამოც ქართული სამწერლო ენა ძალზე პურიტანული იყო: მაკლითადა, იკრძალებოდა უზმანი სიტყვების გამოყენება, რომ არაფერი ვთქვათ ენოტივების სცენების აღწერაზე. გარდა ამისა, არსებობდა ენობრივი კონსტრუქციები ან ორთოგრაფიული წესები, რომელთაც ვერ დაარღვევდი. ენობრივი ექსპერიმენტების შესაძლებლობა მხოლოდ სისტემის ნგრევისა და რაკეტული სივრცის გახსნის შემდეგ გაჩნდა, რაც ძალიან კარგია, რადგან ენას, მათ შორის, სალიტერატუროს, სწორედ მწერლები ქმნიან და არა პირიქით. თავის დროზე სალიტერატურო ენა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და მათმა თანამოაზრეებმა შეცვალეს, თანამედროვე სალიტერატურო ენას კი თანამედროვე მწერლები ცვლიან. ეს არის ენა, რომელიც სამომავლოდ დამკვიდრდება იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა მასში მიმდინარე პროცესები.

თანამედროვე ქართული პროზის კიდევ ერთი მახასიათებელი ფაქტებზე სწრაფი რეაგირებაა. 1991-92 წლებში მიმდინარე მოვლენები ლიტერატურაში ძალიან გვიან აისახა, 2008 წლის ომზე კი რამდენიმე თვეში 5 თუ 6 რომანი დაიწერა. ეს თემა ძალიან სწავდა ამოიწურა, განსხვავებით ძველი დროისგან, როდესაც ფაქტის შესაფასებლად რაღაც პერიოდის გასვლას ელოდებოდნენ. სინამდვილეში ასეთი პოზიცია არასწორია - აქტუალური თემაზე მაშინვე უნდა წერო. აი, ამ ტიპის ცვლილებები მოხდა ქართულ პროზაში. სხვა საქმეა, რამდენად ღირებულია ეს ყველაფერი.

3. აუცილებლად იქნება აკა მორჩილაძე, რომლის გარეშეც თანამედროვე ქართული პროზა წარმოუდგენელია. XXI საუკუნის პირველი მნიშვნელოვანი რომანი სწორედ აკას "სანტა ესპერანსა" იყო. ასევე შემოიღია ზაზა ბურჭულაძისა და ლაშა ბუღაძის დასახელება, თუმცა შესაძლოა უახლოეს წლებში მათ არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა ავტორებიც დაემატოს, რომელთა გვარებს არ ჩამოვთვლი: იმდენად სწრაფად იცვლება მოვლენები და იმდენი ახალი სახელი ჩნდება, ამ ეტაპზე პროგნოზს აზრი არა აქვს.



4. მთავარია, ქართული ლიტერატურა საქართველოშივე იყოს მნიშვნელოვანი. თუ მწერლის ტექსტები ქართველ მკითხველს არ აღლევებს, ის ვერც უცხოელისთვის იქნება საინტერესო. თანამედროვე ლიტერატურის ბედი ჩვენზეა დამოკიდებული: თუ ჩვენ - მწერლები, მკითხველები, გამომცემლები ერთად შევექმნით ბოძოქარ ლიტერატურულ პროცესს, სადაც ავტორები ბევრს წერენ, მკითხველები მსჯელობენ და ეს ყველაფერი ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანია, ოპტიმიზმის საფუძველი გვექნება.

5. ეს საბჭოთა სტერეოტიპია. მხოლოდ იმ პერიოდში არსებობდა ტერმინი - "პროვოკაციული ლიტერატურა". ამ ტიპის წიგნებს მკითხველამდე სახელმწიფო არ უშვებდა და ისინიც შეეჩვივნენ პურიტანულ ლიტერატურას. მაშინდელ მკითხველს ეპატაჟური ტექსტების კითხვა დღესაც აღიზიანებს. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მსგავსი ნაწარმოებების წინააღმდეგობრივ აღქმას და ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე რამდენიმე თაობა არ შეიცვლება.

7. ყოველივე ზემოთქმული პროცესების ვითარებაზე ჯერ კიდევ მოქმედებს. ის, რომ დღევანდელი მკითხველის უმეტესობა საბჭოთა ეპოქის შეილია, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოვლენებს. ათი წლის შემდეგ ეს ადამიანები უმცირესობაში იქნებიან. შესაბამისად, შეიცვლება ლიტერატურული ლანდშაფტი და ეს ბუნებრივია. საბოლოო ჯამში მწერლობის განვითარებას, მის ბედს ხომ მკითხველი განაპირობებს.

ანა კორძაია-სამადაშვილი, მწერალი



1. მიუხედავად იმისა, რომ ერთიდაიგივე სახელები ტრიალებს (ასეთია დღევანდელი მოცემულობა), ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში ლიტერატურული პროცესი არ მიმდინარეობს. მიმდინარეობს, მაგრამ როგორ? ერთი მხრივ, იმატა წიგნების რაოდენობამ, მეორე მხრივ, არჩევანი ძალიან მწირია. მსოფლიოში პოპულარული უამრავი ჟანრი, ფაქტობრივად, არ გვაქვს: დეტექტიური რომანი, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერ წიგნიერ ქვეყანაში გამოტენილია მალაზიის თარეობი, არ

ინერება; ფენტეზის ჟანრში ორადორი ადამიანი მუშაობს; იმას, რასაც გერმანულენოვან სივრცეში "გასართობ" ლიტერატურას ეძახიან, საქართველოში ვერ ნახავ (აბა, მიდი და რომელიმე ქართველ ავტორს აკადრე, გასართობი ნიგნი დაწეროს. თავს მოიკლავს!). თუ კრიტიკულად ვიქნებით, ის, რაც დღეს ხდება მეტწილად ლიტერატურული "სექუნდ ჰენდა" (შურაცხყოფად ნურავინ მიიღებს), პროცესი, რომელიც მსოფლიოში დიდი ხნის წინ გაიარა. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ქართული პროზა ვითარდება, ოღონდ გვიც ერთი აქვს - პირდაპირ მიდის და ირგვლივ არ იხედება. ავტორები ძირითადად წლების განმავლობაში დაგროვილი ფსიქოტრავმების "ამოღლებით" არიან დაკავებული. ამას ჩემთვის "მე-ლიტერატურა" დავარქვი და სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს თანამედროვე ქართული ლიტერატურის სახეს.

2. საქართველოში ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ვითარება იმდენად სწრაფად შეიცვალა, თვალის მიდევნებაც ვერ მოვასწარი. მისი ანალიზი არცეი დაწყებულია. ლიტერატურამ, როგორც სარკემ, ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენები კი არ აირეკლა, არამედ ის, რაც თითოეული მწერლის ცნობიერებაში იყო დაღეული. ამის გამო ავტორის გაკრიტიკება არ შეიძლება. პირიქით, მიმჩნია, რომ უამრავი საინტერესო ნაწარმოები შეიქმნა. ბოლო წლებში შედარებით ამოიქაჩა ჟანრობრივი სიმწირი, მაგალითად, გამოჩნდა ნატარდოვითაშვილი, რომელიც ქმნის თავის სამყაროს - ფენტეზის. თუმცა თითო-ორილად ავტორი ვითარებას ვერ ცვლის. სასიყვარულო რომანი, ისევე, როგორც ისტორიული, 1991 წლის შემდეგ არ დაწერილა. სამაგიეროდ, გვაქვს მოგზაურთა ლიტერატურა, რაც ძალიან მხიბლავს, თუმცა ესეც პირად პრიზმაშია გადატეხილი. ყველაზე მეტად მომწონს, რომ ასეთი ტექსტები ყოველგვარი იდეოლოგიური დაკვეთის გარეშე იქმნება და საოცრად გულწრფელია.

რაც შეეხება ენობრივ ქსოვილს, ხდება ის, რაც ზოგჯერ ძალიან მალეზიანებს (საკუთარი თავით დაწყებული) - ყველა წერს ისე, როგორც ლაპარაკობს. ლიტერატურული ენა გაანდევნილია. აქაც იგივე პრობლემაა - ავტორი საკუთარი თავის გადახარშვით არის დაკავებული და არა ენაში მიმდინარე ცვლილებების კვლევით.

3. უდავოდ აკა მორჩილამდე. ამას მხოლოდ ქართული რეალობის გათვალისწინებით არ ვამბობ. არაერთ დასავლელ მკითხველს ვიცნობ, რომელთათვისაც აკა ისეთივე აღმოჩენ-

ნაა, როგორც თავის დროზე ფილიპ როთი. მისი რამდენიმე ნაწარმოები მიყვარს გამორჩეულად, მათ შორის ერთი-ორი ისეთიც, რომელიც ზოგადასაკაცობრიო მასშტაბით ნაკლებად მნიშვნელოვანია - "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" და "მოგზაურობა ყარაბაღში". მახსოვს ამ წიგნის ნაკითხვით მიღებული უძლიერესი შთაბეჭდილება. ეს იყო გარღვევა ქართულ ლიტერატურაში, თუმცა მოგვიანებით აქამ მკვეთრად შეიცვალა სტილი და სხვა საუცხოო რომანებიც დადო. ენასთან მიმართებაშიც საოცნარო ჟინგელირია. მისი საუკეთესო ნაწარმოებებიდან დევიასებლებ "ავგისტოს პასიანსასაც", რომელიც, მიუხედავად მასში მოთხრობილი ლოკალური თბილისური ამბებისა, არაჩვეულებრივი ნაწარმოებია.

აკა მორჩილაძეს კიდევ ერთი თვისება აქვს: მასზე სწორედ არავის ძალუძს, იმიტომ რომ თვითნაბადია. არ ვამბობ, გენიოსია-მეთქი, დრომ განსაზღვროს, მაგრამ ის, რომ დღეს საქართველოს მასშტაბით მოვლენაა, ყველა-სთვის ცხადია.

4. როდესაც მწერალი შეგნებულად მიდის პროვოკაციაზე, ამას ლიტერატურასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ თუ ეს პროვოცია ბუნებრივია, ვეჭვობ, მკითხველის უარყოფით ემოციას მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. საერთოდ, არა მგონია ავტორი წერისას მკითხველის მიმართ რევერანსებზე ფიქრობდეს. თუ მკითხველს რაღაცის გაგება არ უნდა, ვერც გააგებინებ. რაც შეეხება იმას, რატომ აღიქვამს მკითხველი ტექსტს რელიგიურ, ზნეობრივ და ა.შ. კუთხით, პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ გაუნათლებელი ერი ვართ (ყველაზე დიდი ინტელექტუალებიც კი მაპატიებენ ამ სიტყვათშეთანხმებას) და ბუნდოვანი წარმოდგენაც არ გვაქვს, რაზე შეიძლება აღმოვითედ და რაზე - არა. ცნებების აღრევა ხდება. ლიტერატურასთან იდეოლოგიას არანაირი კავშირი არა აქვს. ლიტერატურა ლიტერატურაა.

5. ქართველი ავტორი კარგად უნდა მიხედეს, რა უკეთ გაიყიდება და ამის ახსნა გამოცემლის კომპეტენციაა. წიგნების უმეტესობა, რომლებიც ევროპიდან ჩამოვიტანე, პრესტიჟული ჯილდოებითაა აღნიშნული, მაგრამ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ შემთხვევაში ფორმას ვგულისხმობ: როგორც რომანი - არ ვგრავა, მოთხრობა ბრწყინვალე იქნებოდა და დარწმუნებული ვარ, ასეც იყო ჩაფიქრებული. უბრალოდ, გამოცემელმა დაარწმუნა მწერალი, რომ რომანს უკეთ გაიყიდება და მართალი აღმოჩნდა. მათგან განსხვავებით, ქართველ ავტორებს, რომლებიც ბრწყინ-

ვალე მოთხრობებს წერენ, აზრადაც არ მოუვებათ, შექმნან სქელტანიანი რომანი კარგად გაყიდვის მიზნით. ეს მათი კეთილშობილებით კი არ არის განპირობებული, უბრალოდ, ბაზარს არ იცნობენ. ამ ბაზარს კი თავისი კანონები აქვს. გარწმუნებთ, "შუშანიკის ნაბეჭდი", რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე მაგარი რომანია (მაპატიონ მათ, ვინც ამ ნაწარმოებს სხვა კუთხით უყურებს), არასოდეს იქნება ბესტსელერი, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ შედეგში არ არის?! ისევე, როგორც მსოფლიო მასშტაბით პოპულარული ვერ გახდება ვაჟა-ფშაველა. იმიტომ არა, რომ ვინმეზე ნაკლებია. პირიქით, სწორედ მისი გენიალობა ართულებს მის თარგმნას და აღქმას. იმის თქმა მინდა, რომ შედეგში არამც დაარამც არ ვგულისხმობს პირველობას მსოფლიო წიგნის ბაზარზე.

6. ჩვენი წიგნის ბაზარი იმდენად პატარა და საწყალობელია (ძალიან ცოტანი ვართ), კომერციულ წარმატებაზე ლაპარაკი სასაცილოც არის. საბოლოოდ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ტირაჟი 2 ათასი იქნება თუ 7 ათასი. არც ერთით გამდიდრდები და არც მეორით.

7. მაგერად ქართულ პროზას ძალზე სერიოზული შანსი აქვს და თუ სწორად გამოვიყენებთ, ყველაფერი კარგად იქნება. გვულისხმობ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას, სადაც 2017 წელს სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარვდგებით. ეს იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა, მზადება დღესვე უნდა დაგვიწყოს. მით უფრო, რომ უამრავი რამ არის გასაკეთებელი. თუ მესვეურები პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ ფაქტს და ავტორებს მცირე მოტივაციას მაინც გაუჩენენ, სრულიად რეალურია 2017 წლამდე ბეერი კარგი ნაწარმოები დაინეროს.

მწერალს მოტივაცია ყოველთვის სჭირდება. ამ შემთხვევაში წიგნების გამოცემასა და მკითხველამდე მიტანას ვგულისხმობ. საკუთარი თავთან ჭადრაკის თამაში ადრე თუ გვიან გზებრდება. დააკვირდით, როგორც კი ლიტერატურული ჯილდოების რაოდენობამ იმატა, ავტორებისა და მათ მიერ დაწერილი ტექსტების რიცხვიც გაიზარდა. ეს მხოლოდ იმის გამო არ მოხდა, რომ მწერალს მაინცდამაინც პრემია და ფული უნდა. ავტორმა დაინახა, რომ მისი ნაწერი ვიღაცას აინტერესებს. დარწმუნებული ვარ, თუ სტიმული იქნა, ბევრი რამ ამოვა უჯრებიდან. შესაძლოა, მათში რაიმე ძალიან მაგარიც იყოს. არა მგონია, ლიტერატურას, რომელსაც ამხელა ტრადიცია აქვს, XXI საუკუნეში დაისი ემუქრებოდეს.



გიორგი ლობჯანიძე, პოეტი, მთარგმნელი



1. შეიძლება სისტემურად კითხვას ვერ ვახე-
რებ, მაგრამ ვცდილობ, თვალი მივადევნო ქა-
რთულ პროზაში მიმდინარე პროცესებს. სამწუ-
ხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს რაიმე მკვეთრი
ნიშანი, რომლითაც ქართულ პროზას დავახასი-
ათებდით და ვიტყვოდით, რომ სწორედ ის ან ნი-
შანთა სისტემა განასხვავებს თუნდაც 80-იანი
წლების ქართულ პროზას. რა თქმა უნდა, თაობ-
ებს ყოველთვის მოაქვთ მათთვის ნიშნული გე-
მოვინება, ესთეტიკა, მსოფლმხედველობა, მაგრ-
ამ დღევანდელი პროზა მაინც XX საუკუნის პრო-
ზაა და ძირეული გარდატეხა არ მომხდარა.

2. მეჩვენება, რომ თემატურად ქართული
პროზა, თუნდაც იმავე XX საუკუნის 80-იანი
წლების ბელეტრისტიკასთან შედარებით, საკ-
მაოდ გაღარიბდა. არსებობს დროის მოტანილი,
გარკვეულწილად, მოდური თემებიც, რაზეც აღ-
რე არ ან ვერ წერდნენ კომუნისტური ცენზურის
სიპრობებში, მაგრამ უფრო მასშტაბურად რომ
ვიმსჯელოთ, დაიკარგა ის მონუმენტურობა, რაც
წინა ეპოქის ქართულ ლიტერატურას, კერძოდ,
რომანს ახასიათებდა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ
შესაძლებელია ვილაპარაკოთ ამ ჟანრის კრიზის-
ზე, რადგან მთელ მსოფლიოში რომანი მისი
კლასიკური გაგებით ლამის აღარ არსებობს.
მცირე ფორმების მოძალემა ეპოქის ნიშანია. თა-
ნამედროვე ადამიანს არც დრო ჰყოფნის და არც
წერვები 800-გვერდიანი რომანების საკითხავ-
ად. ამან განაპირობა მისი "დანურვა", რაც გარ-
კვეულწილად დადებითად აისახა სტილისტიკა-
ზე. თანამედროვე ლიტერატურა ენობრივადაც
შეიცვალა. დღეს უფრო სამეტყველო ენას ვხვდე-
ბით, ისიც, ძირითადად თბილისში გავრცელებ-
ული კოლოკავია. სამწუხაროა, რომ თითქმის
აღარ საზრდოობს ლიტერატურული ქართული
დიალექტებითა და არქაიზმებით, რომელთა ზო-
მიერი გამოყენება ყოველთვის განსაკუთრებუ-
ლად ამდიდრებდა.

3. არ ვიცი, დავაინყდათ თუ სხვა რამ მიზე-
ზია, მაგრამ ამ სიას იმ ადამიანებით ვავაგრძე-
ლებ, ვინც თითქმის იმავე თაობაში თავისი სი-
ტყვა თქვა და დღესაც აქტიურ შემოქმედებით
ცხოვრებას განაგრძობს. უპირველესად უნდა
დავასახელოთ ამ პერიოდის და ლამის ერთადე-

რთი რომანისტი ქალი ნაირა გელაშვილი, რომ-
ლის ბოლო ნაწერები გვარწმუნებს, რომ კვლავ
საუკეთესო ფორმაშია. მისი "პირველი ორი წრე
და ყველა სხვა" ეპოქალური ნივინი მგონია, სად-
აც ჩვენი ქვეყნის ბოლოდროინდელი სინამდვი-
ლე შესანიშნავად არის მხატვრულად ათვისებ-
ულ-დამუშავებული.

აქვე ვაგიხსენებ ნოდარ დუმბაძესაც, რომ-
ლის პროზამ ჩემზე უდიდესი გავლენა მოახდი-
ნა. დღეს მის არაჩვეულებრივ რომანებს ბევრი
კოლეგა თითქოს "ზემოდან" უყურებს, არადა,
მან მოახერხა ყოფილიყო ყველა თაობის, ასაკი-
სა და გემოვნის მკითხველის საყვარელი მწე-
რალი და ეს სულაც არ გახლავთ პატარა ამბავი.

თუ დღევანდელ სალიტერატურო პროცესს
დავუბრუნდებით, საშუალო ასაკის მწერლები-
დან ბოლო დროს განსაკუთრებით მომხანინა ირ-
აკლი სამსონაძის "ლუგას საათი". ეს შესანიშნავი
ტექსტი ერთი მხრივ, წარმატებით ავსძელებს
XX საუკუნის ქართული პროზის ტრადიციებს,
მეორე მხრივ, ბელეტრისტიკა, სტილური და ენ-
ობრივი თვალსაზრისით, სრულიად ახალ სიბრ-
ტყეში გადაწყავს.

მართალია, მაინცდამაინც ხელხვაიანი არ
არის, მაგრამ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია
კოტე ჯანდიერის პროზა. მათ მომდევნო თაობა-
ში ჯერჯერობით ისევე ინარჩუნებს ნამყვან ტი-
პიკურ ენებს აკა მორჩილაძე, რომლის ყველა ტექს-
ტი ერთნაირი მხატვრული დირექტულებით არ არ-
ის, მაგრამ მან მოახერხა მთავარი - თანადროუ-
ლი ქართული სინამდვილის გააზრება დროის ად-
ეკვატური ფორმებითა და მხატვრული საშუა-
ლებებით. მის პროზას კიდევ ერთი უმათავესი
ნიშანი აქვს, რასაც ძალზე ვაფასებ: "შეცვლენ უნ-
და წერდეს, შეუძლებელია თავი ბოლომდე არ
ნავაკითხოთ. მიზეზი ალბათ ის არის, რომ აკა
მორჩილაძე ენას ყველა განზომილებაში იმორ-
ჩილებს. ასეთი მდიდარი სტილური არსენალი
დღეს სანდოთაა სამებარო. ამ მხრივ ახალგაზ-
რდა მწერლებიდან მხოლოდ ზაზა ბურჭულაძის
რომანები თუ გაუნეგს მეტოქეობას. ზაზა ბურ-
ჭულაძე მრავალი კუთხითაა საინტერესო და და-
საფასებელი, მათ შორის იმით, რომ შესანიშნავი
სტილისტიკა. სიუჟეტის განვითარების თვალსა-
ზრისით კი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული
ზურაბ ლეყავა მგონია, რომლის ნივინი "ბავშვ-
ის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში" ამ
რამდენიმე წლის წინათ ჩემთვის ნამდვილ აღ-
მოჩენად იქცა.

ქართულ სალიტერატურო სივრცეში განსა-
კუთრებული მოვლენაა ზურაბ ქარუმიძის პრო-
ზა. ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მწერა-
ლია ანა კორძაია-სამადაშვილი. მისი რომანები
"შუშანიკის შვილები" და "ვინ მოკლა ჩაიკა" მცი-

რე რომანის საუკეთესო ნიმუშები მგონია.

ძალიან მომეწონა და დამამახსოვრდა დათო ქართველიშვილის "იყო საღამო, იყო დღილა". ეს რომანი, ჩემი ფიქრით, საუკეთესო ტექსტი იყო, რაც იმხანად წავიკითხე. აქვე შემიძლია დავასახელო ირაკლი ჯავახიძე, ბექა ქურხული, ირაკლი ქასრაშვილი. ამ თაობაში გამორჩევა უნდა ხვედელიძე, რომლის რამდენიმე ნიგნი მართლაც ყოველმხრივ სანიშნო გახლდათ.

რამდენიმე წლის წინათ საერთო ფონიდან აშკარად გამოირჩეოდა ლაშა ბულაძის "ლიტერატურული ექსპრესი" და "კარიკატურისტი". განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო გელა ჩქვანავა. მისი ყოველი ნამუშევარი ჩემთვის რაღაც დონეზე სრულყოფილებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ნიმუშია. საყურადღებოა მისი პროზის ენობრივი და სტილისტური ასპექტები. სულ ახალგაზრდებიდან კი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯაბა ზარქუასა და მარი ბექაურის ნაწერებმა, ირმა ტაველიძის რომანმა "ავტობიოგრაფია ფრანგულად" და რატი რატიანის მოთხრობებმა.

ამ ჩამონათვალს არც სისრულის პრეტენზია აქვს და არც უცდომელობის. შესაძლოა, ვინმე გამომჩნა კიდეც, მაგრამ ნუ მიწყენენ კოლეგები: მთავარია, რომ ამ არასრულ ჩამონათვალშიც კარგად ჩანს დიდი პოტენციალი, რომლის სწორად ათვისების შემთხვევაში ქართულ მწერლობას არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი სახელი შეემატება.

4. წინაპირობა შრომა და საკუთარი საქმის სიყვარულია, რაც ქართველებს გვაცნია. შეიძლება იდეალისტი ვარ, მაგრამ მეგონა, რომ წარმატების წინაპირობა ნიჭთან ერთად შრომის-მოყვარეობაც არის. როცა ეს ორივე კომპონენტი თავის ადგილზე დგას, ყველაფერი კარგადაა. ცხადია, ამისი, რომ თანამედროვე მარკეტინგი ათას რამეს მოითხოვს, მაგრამ ამის მოგვარება როგორღაც შეიძლება. მთავარი მიზეზი, რატომ არ ჩანან ქართველი მწერლები სათანადოდ მსოფლიო სარბიელზე, სულ სხვა რამ მგონია. კერძოდ, ის, რომ არ იციან მსოფლიოში არსებული პროფესიული "მეტყენა", რაც მაინც დაბანძვლ კონიუნქტურას არ გულისხმობს. ამისთვის მწერალი თანამედროვე სალიტერატურო პროცესის პერიპეტეხებში ზედმიწევნით კარგად უნდა ერკვეოდეს და მინიმუმ ორი უცხო ენა მაინც იცოდეს, რათა ეს უცხოენოვანი და საკუთარი შესაძლებლობებიც სწორად შეაფასოს.

6. ლიტერატურის ისეთი გაგება, რაც ზემოთ ნოდარ დუმბაძეზე ვთქვი, თითქოს მასკულტურის ელემენტებსაც შეიცავს, მაგრამ მწერლის ნიჭიერება სწორედ იმაში ვლინდება, რამდენად ხელნეიფება ამათიმ სახის კონიუნქტურაზე მა-

ლა დადგომა. ამას წინათ ფრანგი ავტორის რომანი წავიკითხე. საშინლად არ მომეწონა, რადგან მთელი ტექსტი დღევანდელი სამოქალაქო საზოგადოების ლოზუნგების გათვალისწინებით იყო შეკრებილი-შეკობტავებული. რაღა ეს და რაღა კომუნისტური პათეტიკა. მწერალი უნდა იყოს "თვითონ". როგორც კი ამ თვითონობაზე რაღაც მიზეზით უარს იტყვის, იქვე დამარცხდება. ნოდარ დუმბაძის სრული ანტიპოდი იყო მეორე დიდი ქართველი მწერალი ოთარ ჩხეიძე, რომელიც დღემდე რჩება ნიმუშად, როგორ არ უნდა თქვა უარი საკუთარ თავზე, საკუთარ შინაგან სამყაროზე.

გურამ მეგრელიშვილი, მწერალი



1. ქართულმა პროზამ XXI საუკუნეში მკვეთრი და საეტაპო წინსვლა განიცადა, თუმცა ლიტერატურული აზროვნება კომპლექსებისგან საბოლოოდ მაინც ვერ გათავისუფლდა. მის განვითარებას ხელოვნური ჩარევები განაპირობებს და არა თავისუფალი დინება. თანამედროვე მსოფლიოსთვის კარგად ნაცნობი ნოვატორი მწერლების თარგმანთა ნაკლებობა ზოგადად ავტორის ნოვატორობის ცრუ განცდას, მკითხველს კი ზღვარგადასული ეპატაჟისტით ფსევდოაღტარებას ან მის მიმართ შიშს უჩენს. ნებით თუ უნებლიეთ ავტორი მკითხველს ცენზორის ფუნქციას ანიჭებს და ტექსტებიც არა შინაგანი ხმის კარნახით, არამედ ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით იწერება. იგივე ხდება პოპულარული თურქი ავტორის, ორჰან ფაშუქის შემთხვევაშიც, თუმცა, როდესაც ბაზარი დიდა და საკუთარი სევამენტი სწორად გაქვს განსაზღვრული, საქმე გაცილებით იოლდება. ასეთ დროს აღარ ფიქრობ, მოარული 2000 ქართველი წიგნის მყიდველიდან რამდენი დაიწუნებს შენს ენას, აზრებს თუ სიუჟეტს.

როდესაც ქართულენოვან მკითხველზე ვლავარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გვინდა თუ არა, ჯერაც ჩაკეტილი საზოგადოება ვართ თავისი ცრურწმენებით და ფსევდორბადიციებით თუ ფსევდოლიბერალური ღირებულებებით, ამიტომ სხვისი ნაშეხვედრობით ხშირად მხოლოდ კონკრეტული წიგნები კი არა, ავ-



ტორებიც გამოგვეპარება ხოლმე. ან პირიქით, ზედმეტად ავიტაცებთ ისე, რომ ნაკითხულიც არ გვაქვს. არადა, თანამედროვე ქართულ პროზას, რომელსაც რამდენიმეწლიანი წყვეტა ჰქონდა (ხელმისაწვდომობას ვგულისხმობ), ნაკითხვა, გაანალიზება და ერთგვარი მხარდაჭერა სჭირდება.

2. 90-იანებიდან ახალი საუკუნის დასაწყისამდე ქართული პროზა ვინროუბნურ, ქალაქურ და სოფლურ ჩარჩოებში იყო მოქცეული. ხშირად საბურთალოსე დაწერილი რომანს ვერაზე ველარ იგებდნენ. დღეს კი თემატური მრავალფეროვნება საგრძნობია. ხშირად წააწყდებით მისტიკის, ჰორორის, სამეცნიერო ფანტასტიკისა თუ ეროტიკული ლიტერატურის ნიმუშებს. შესაძლოა მათი ხარისხი ჯერ კიდევ მდარეა, მაგრამ თავად ეს მცდელობა ლიტერატურის განვითარების პროცესზე მიანიშნებს. ცალკე თემა თვალმისაცემად განუვითარებელი ენობრივი ქსოვილი, რაც ტექსტის აღქმას ართულებს. ცალკეულ ავტორებს თუ არ ჩავთვლით, ხშირად ნაწარმოებიდან აზრის გამოტანაც კი ძირს.

3. თქვენ მიერ ჩამოთვლილი ადამიანები დიდი მწერლობის გარდა იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ მსოფლიოს ლიტერატურული გამოცდილების გათვალისწინებას მნიშვნელოვან როლს ანიჭებდნენ. შესაძლოა ამის გამოცაა, რომ თანამედროვე ავტორები სხვებისთვის სრულიად გაუგებარ თემებზე არ ვწერთ.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ ქმნის თანამედროვე ქართულ პროზას, გიპასუხებთ: ყველა, ვინც ამ ენაზე წერს. ზოგი გამწვევი ძალაა, ზოგი ამინდს ქმნის, მაგრამ პროცესები ვითარდება, წინ მიიწევა და იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან შედეგი დადგება - აუცილებლად გვეყოლება მსოფლიო ბესტსელერის ქართველი ავტორი.

4. თარგმანი, პრომოუშენი და კონტაქტები. ამის გარეშე რეგიონულ მასშტაბს ვერ გავცდებით და ვიამაყებთ დიდი მწერლებით, რომლებიც მაქსიმუმ 5 000 კაცს აუფს ნაკითხული.

5. მკითხველის ავტორისადმი ფრთხილი დამოკიდებულება პატარა ქვეყნების სენია. კულტურათა ისეთი მრავალფეროვნება, როგორც ამერიკაში, რუსეთში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებშია, გარკვეულწილად მის პრეტენზიულობას არბილებს. ამას ემატება რელიგიების ცუდად ცოდნა, ლიბერალურ ღირებულებათა დამახინჯება, პერსონაჟების ზნეობრივი გადმოსახედინად განსჯა, რის გამოც ხშირად იმასვე ვაკრიტიკებთ, რის დაცვასაც ვცდილობთ. ამ მხრივ მწერლებიც ცვოდათ. გვგონია, რომ ნაწარმოებს არ სჭირდება ესთეტიკური, მორალური და ემოციური ფასეულობები და საზოგადოებას, რომელიც ამ ყველაფერს ლიტერატურაში ეძიებს, საწინააღმდეგოს ვთავაზობთ. სწორედ ეს ინვესტ მკითხველისა და ავტორის გაუცხოებას, მათ დამორებას.

6. მასკულტურაში ცუდი არაფერია. სტივენ კინგი მასკულტურის ნარმომადგენლად მიიჩნევა, თუმცა გაცილებით ღრმად, ვიდრე ბევრი აღიარებული ავტორი. მეორე მხრივ, დღევანდელი დინამიური რიტმის პირობებში მკითხველს სალტიკოე-შქედრინის ენითა და განცდებით ვერ ესაუბრებთ. მით უფრო, რომ "დაფინანსებული კონკურენტი" (როგორც გურამ დოჩანაშვილი უწოდებს) - კინო აქტიურად ვითარდება და მდორე სიუჟეტის ნიგნებს სერიოზულ კონკურენციას უწევს.

7. თუკი თანამედროვე ავტორებს ინტენსიურად თარგმნიან, მათი ნაწარმოებების პოპულარიზაციაზე იზრუნებენ, რაღაც ეტაპზე საინტერესო მწერლები გვეყოლება, რომელთა "შექმნაში" მონაწილეობით თავადაც ვიამაყებთ. ნარმოიდგინეთ, ნოდარ დუმბაძე მისსავე თანამედროვეებს რომ არ ეკითხათ, იქნებოდა თუ არა დღესაც ყველა თაობისთვის ასეთი საყვარელი? სულ ამას ვამბობ, მოგწონთ თუ არა, ერთი მწერალი მაინც ამოიჩემეთ და იყიდეთ, იკითხეთ. შეიძლება ათი წლის შემდეგ მისგან ახალი ოსტერი შექმნათ.



მალხაზ ხარბედია

რომანი და განმეორებები

თანამედროვე ქართული პროზა სიმართლის ძიებაში



ეს წერილი მიმოხილვითაა და არც მივიქრია, რომ ამით თანამედროვე ქართულ პროზაში შექმნილ ვითარებას სრულად ავსახავდი, მიუხედავად ამ მიმოხილვით წერილში მხოლოდ გარკვეული ნიშნითაა გაერთიანებული წიგნები, ნიშნით, რომელსაც პირობითად აქტუალურ ლიტერატურას დავარქმევდი. ამის გარდა მომავალში კიდევ რამდენიმე წერილი მომზადდება ალბათ, სადაც ერთი მხრივ დამწყები პროზაიკოსების, დებიუტანტების ნაწარები გამოკვეთილ ტენდენციებზე ვისაუბრებთ, ხოლო მეხაემ წერილში კიდევ ერთ მწერალთა ჯგუფს შევეხებით, რომლებიც უფრო თამაშობრივ, გნებავთ პოსტმოდერნულ წერას არიან აყოლილები და გარკვეული ნიშნებით განსხვავდებიან დღევანდელი წერილის გამრეხებისგან. ეს განსხვავება ყველაზე მეტად თემატურ პლანში ჩანს, იქ, სადაც მწერლები რაიმე პრობლემას, უახლეს წარსულს ან თანამედროვე მოვლენებს უტრიალებენ, ცდილობენ ამ ისტორიული თუ მენტალური არსებობის გააზრებას, რადგანაც ესაა ლიტერატურა, რომელიც მეტ რეფლექსიას მოითხოვს, მეტ თვითიდენტიფიკაციასა და პასუხისმგებლობას.

ცხადია, ჩემი დღევანდელი წერილი ვერ მოიცავს სრულად იმ აქტუალურ ლიტერატურას, რომელიც მართალია მწირად, მაგრამ მაინცაა წარმოდგენილი თანამედროვე ლიტერატურაში, ამიტომ იმ რამდენიმე ავტორით შემოვიფარგლები, რომლებიც ბოლო წლების მანძილზე წავიკითხე, ავტორები, რომლებიც, ჩემი აზრით, სწორედ ამ ნაკადში თავსდებიან. სხვათა შორის, დღევანდელ წერილს ნაწილობრივ ბოლო ოთხი წლის მანძილზე რადიო "თავისუფლებისთვის" მომზადებული გადაცემებიც დაედო საფუძვლად.

წარსულის გაცნობიერება - წარსული გაცნობიერების ცდა

ახალი ამბავი არ არის, რომ დღეს თანამედროვე ქართული ლიტერატურა ძალიანაა მოწყვეტილი რეალურ თანამედროვეობას, ისტორიას, ჩვენს ქვეყნის ახლო წარსულს თუ ბოლო დროს მომხდარ მოვლენებს. ჩვენში თითქმის არ ინერგება დოკუმენტური ფანრიის ნაწარმოებები, იშვიათად ნახავთ პროზაში არეკლილ საქართველოს ბოლოდროინდელ თავგადასავალს, მწვავედ დასმულ კითხვებს. წარსული გაცნობიერების ბოლო რომანი "პირველი ორი წელი" სწორედ ასეთი ხარვეზების შევსების მცდელობაა. ესაა რომანი ჩვენი დროის შესახებ, უფრო სწორად კი იმ მიზეზებზე, რამაც ჩვენი დრო შვა. სწორედ ამიტომაც, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი წარსულია, უფრო ზუსტად, უახლოესი წარსული. რომანში ერთი ეპიზოდია, რომელიც წარსულის საშობორობებს ეხება, იმას, რომ წარსული "თან უნდა გახსოვდეს და თან არა. წარსულიდან მხოლოდ ის უნდა იცოდეს, რასაც აცნობიერებ, სხვა ყველაფერი უნდა გადაყარო, რათა ტვირთად არ გექცეს". "პირველი ორი წელი" სწორედ ამ გაცნობიერებას ეძღვნება, მოქმედება კი ერთ კონკრეტულ ადგილას, უფრო სწორად, კონკრეტულ დაწესებულებაში ვითარდება, "მთარგმნელობითი კოლეჯიში".

ამ რეალურ დაწესებულებაში, რომელიც წარსული გაცნობიერებას საკუთარი გამოხატონითაც შეეხება, პერსონაჟები სხვადასხვა ტექსტების, შესაბამისად კი სხვადასხვა კულტურათა თარგმნით არიან დაკავებული, ამასობაში კი მათ გარშემო ახალი ქვეყანა იზიდავს, ჩნდება ახალი ლიდერები, რომლებიც სწორედ ამ "სხვას" ებრძვიან, იწყება "მთარგმნელობითი კოლეჯის" თანამშრომლების დევნა, დაშინება, რომელიც შემდეგ დარბევაში გადაიზარდება და მსხვერპლიც მოჰყვება. კულტურის ამ კერის რეალურ თუ გამოგონილ ხედვებს უკავშირდება საქართველოს ისტორიის ფაქტებიც, რომელიც რომანში ხან პერსონაჟების მიმოწერით ადევნებს, ხანაც ქუჩიდან, საიდანაც გამოდგებით მისი ის სკანდირების ხმა, ირხევიან დროშის წვერები, ერთმანეთს ცვლიან ლოზუნგები.

წარსული გაცნობიერების რომანში კულტურისა და ბარბაროსობის ამ დაპირისპირებას დიდი ადგილი უკავია, ავტორმა რომანის დაწერამდე რამდენიმე წელი ადრე, თავის ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1990 წელს დაიბეჭდა ქართულ პრესაში, ის ფაქტორები დაასახელა, რომელიც პირველ რიგში უნდა დაგვეძლია ქართველებს დამოუკიდებლობისკენ სავალ გზაზე. მომავალში სწორედ ეს თეზისები იქცა რომანის საფუძვლად. მთავარი იმ ფაქტორებში შემდეგია: რომ ჩვენ ინტელექტუალურად მოუზნადებლები აღმოვჩნდით ახალი დროებისთვის, ამ დროისთვის ჩვენი მორალური საყრდენები ანუ ლიდერებულებათა სისტემა მორღვეული იყო,

ფსიქიკურად არასტაბილური ხალხი კი ამის გარეშე უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა.

რომანი კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემას ეძღვნება, რომელიც დღეს ტოტალურად ბატონობს საქართველოში, ქვეყანაში, სადაც საზოგადოებას განათლება რეალურად არ სჭირდება, განათლებული ადამიანი კი ხშირ შემთხვევაში დაცინვის ობიექტი ხდება. ესაა შემეცნების წყურვილის არარსებობა, ხელჩაქნეულობა და უპერსპექტივობა.

ცალკე თემაა რომანის ფანრული განსაზღვრა და ის, თუ როგორაა იგი ატებული სტრუქტურულად. პირველ რიგში რომანს ავსებს ბიოგრაფიები, მთარგმნელთა ბიოგრაფიები, რომელსაც კოლეჯის ერთ-ერთი თანამშრომელი ადგენს "ორგანოებისთვის". მათ უფრო ნოველები შეგვიძლია ვუწოდოთ, სადაც თხრობა ხან მდორედ მიედინება და ხანაც შექსპირული ვენები ტრიალებს ამ პატარა ნოველებში. მთავარი კი ის არის, რომ კონკრეტული ადამიანების ბედში ქვეყნის ცხოვრებაც აირეკლება.

რა თქმა უნდა, რომანი "პირველი ორი წელი" არაა დოკუმენტური, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც დოკუმენტების, ასევე ავტორისიული ხედვებისა და ტექნიკურის ერთიანობა ახლოდანი განვაცდევინებს ჩვენი ქვეყნის არეულ თავგადასავალს. ეს ნიგნი სწორედ ამ არეულობის გააზრებისა და მის არსში წვდომის მცდელობაა. ეს მცდელობა კიდევ უფრო ფაქტური გამოყოფილად ავტორს, ნიგნი რომ რედაქტორი ჰყოლიდა. ეს უხარმაზარი რომანი დაუმთავრებელის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, აქ ძალიან ბევრი სიუჟეტური თუ დისკურსიული ხაზია, რომელსაც თავმოყრა სჭირდება, ხშირია ვრცელი ჩანართები, რომელიც მნიშვნელოვნად ადგებს რიტმს, გვხვდება ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი, რომანის ქარგას ბოლომდე ვერ მორგებული და ამოსაღებად ვერ გამეტებული ფრაგმენტებიც.

ირაკლი სამსონაძის ორი რომანი

ირაკლი სამსონაძე-პროზაიკოსი ზუსტად 10 წლის წინ გაიცნო ქართველმა მკითხველმა. მანამდე ირაკლის მხოლოდ პიესები იცნობდნენ, პირველი მოთხრობები 2002-2003 წელს დაიბეჭდა ლიტერატურულ პრესაში და იმავე პერიოდში გამოქვეყნდა ჩვენთან, უფროსად "არლიში" მისი ყველაზე ცნობილი პროზაული ტექსტიც, მცირე რომანი "ყურთბალიში", რომელიც 2004 წელს გამოცემლობა "არტემ" წიგნადაც დაბეჭდა. "ყურთბალიში", ჩემი აზრით, ბოლო პერიოდში ქართულ ენაზე დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და თანამედროვე ტექსტია, თუმცა პირველ რიგში იგი თავად ავტორისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, იმდენად, რომ მისი დაწერიდან რამდენიმე წლის შემდეგაც ირაკლი სამსონაძე ვერ ახერხებდა "ყურთბალიში" გავლენისგან გათავისუფლებას. ამ-

ას იგი თავადაც აღნიშნავდა ხოლმე პირად საუბრებში... და აი, თითქმის 10 წლის შემდეგ, ირაკლიმ მოახერხა დამორბობა თავის *Opus Magnum*-ს, მთავარ ნაშრომს, და დაეწერა ორი ახალი, სქელტანიანი რომანი, "ლესა საათი" და "ღრუბელი სახელად დარინდა", ნიგნები, რომლებმაც, "ყურთბალითაჲ" ერთად ტრილოგია შეადგინეს.

"ლესა საათი" რომანი-სავაგ, ვრცელი პანორამული ნაწარმოები, სადაც უწყვეტად მდამოსული ბაგარების გვარის თავგადასავალი მოთხრობილი, გვარისა, რომლის პირველი წარმომადგენელიც XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა და დამკვიდრდა საქართველოში. ბაგარების ცხოვრება საქართველოში მიმდინარე რეალური მოვლენების ფონზე ვითარდება და 2 საუკუნის მანძილზე ავტორი იმდენ, ერთმანეთსაგან სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში გამოხატავს ან გვარს, რომ ხვდება, ნიგნში ამ რეალურ მოვლენებზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამეა, ის, რაც ლამის მემკვიდრეობით გადადის ბაგარიდან - ბაგარზე და რასაც რომანი ისტორიულიდან ანთროპოლოგიურ, ფსიქოლოგიურ პლანში გადაჰყავს. ისტორიული მოვლენები აქ ადამიანების გამოსაცდელად გაიყვლება. ამ რომანის თემა არაა ქვეყნის ბედი, ერები, სახელმწიფოები, ქალაქები, ძველი და ახალი, მაღალი და დაბალი, აქ მხოლოდ ადამიანები არიან, ერთ ჯაჭვად გადაბმული ერთი გვარის შვილები, ამბავთა ხლართები, მითოლოგიური კომპლექსები. აქ მხოლოდ გამეორების, მარადიული დაბრუნების დემონები მოქმედებენ ან მართავენ სხვათა მოქმედებას.

რომანში ისტორიული გმირებიც გვხვდებიან - ახმედ ფაშა და მამია გურიელი დაწყებული, ხრუშჩოვიცა და ორჯონიკიძეთი დამთავრებული, თუმცა გადამწყვეტი ქმედებები მაინც ბაგარზეა. წარსულის მოვლენები იქნება თუ ცხელ-ცხელი თბილისური ამბები, ბაგარები ყველგან ჩანან. აი მაგალითად, ბიჭოლა ბაგარი სულმთავად ახალ ამბავში მონაწილეობს. იგი თბილისის დასუფთავების სამსახურის ზემდეგად მუშაობს და დარბეული მიტინგის ადგილის "დალაგებისას" ბუქტებში გადამალულ გვაშს აღმოაჩენს. ბიჭოლა სწორედ აქ გააცნობიერებს რას ნიშნავს სიტყვა "ხემდეგი" დასუფთავების სამსახურში. იგი მაშინვე იღებს გადწყვეტილებას და თავის ორ ქვეშევრდომთან ერთად გვამი ოქროყანისკენ ააქვს დასამარხად. ეს ბაგარები ერთ-ერთი ბოლო "გმირიანა". ასეთი ფარული "დაკრძალვის" ცერემონიალებში მისი ნიშნებიც იღებდნენ მონაწილეობას, სხვა ბაგარებსაც არაერთი გვამი გადაუმალავთ, თავისი თუ სხვისი მოკლული.

რომანში ძალიან ბევრი პერსონაჟია. ამდენი გმირი კაი ხანია თანამედროვე ქართულ რომანში არ შემხვედრია და მწერლის ყველაზე დიდი ოსტატობაა, ჩემი აზრით, სწორედ ამ პერსონაჟების სახეთა გამოკვეთაში ვლინდება. ლასლო, მისი ვაჟი კარლო ბაგარი, კონსტანტინე ბაგარი, კონსტან-

ტინე და გურანდუხტ ბარათაშვილები, თავადი ისონ აბაშიძე, მაიორი ტრისტან ლეფსვერიძე და მისი მეუღლე ლეა, მებაძე მარგო, თავადი დავით მატუტაძე და მისი ქალიშვილი ეკსარია, ორი მანია, იმეა და უმცროსი ლასლო ბაგარები, სერგო ბაგარი, კოლია, ფოთოლა, ნადიაკენარი ტიმოთე და ნაფოფოდიარი დარია, ბიჭოლა ბაგარი... ეს მხოლოდ ძირითადი, მთავარი სახის პერსონაჟები არიან, მათ გარდა აუარება წერბოლფეხოზა რომანში, რომელთათვისაც ავტორი არც სიტყვას იშურებს და არც შთაგონებას. ამ თვალსაზრისით, ირაკლი საკმაოდ ხელგაშლილი, ბარაკიანი მწერალია.

რომანში, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილებში, არქაიზმებსაც შეხვდებით. ეს არქაიზმები ბევრის ყურს შესასლთა უხერხულად მოხვდეს, მათ შორის, მეც, ამოვარდნილი მეჩვენა ეს ხერხი, მითუმეტეს იგი არანაირ ენობრივ-ჰედონისტურ მიზნებს არ ემსახურება და არც მაინცდამაინც ფილოლოგიურ სიზუსტეზე აქვს პრეტენზია. იგი ლიტერატურული სიამოვნებისთვის, სასიეროდ ჩასმული სტილიზაციები არაა, არამედ პიროქით, ამით ავტორი ალბათ გარკვეული პირქუში სიზანტის განწყობილებას ქმნის. ყოველ შემთხვევაში მე სხვა ახსნა ვერ მოუძებნე ამ არქაიზმებს.

რომანში თხრობის ძალზე მრავალფეროვანი ხერხებია გამოყენებული. ავტორი ოსტატურად იყენებს ანაქრონიზებს - პროლეფსისებს, ანალეფსისებს. თუმცა ყველაზე ძლიერი ირაკლი სამსონაძე მაინც რეტროსპექტივებია, პანორამულ, მრავალმრიან თხრობაში, სადაც იგი დროსთარაც თამაშობს და მკითხველთანაც. მე ირაკლის ამ რომანმა ოთარ ჭილაძის პროზა გამახსენა და ერთი პირობა მისი ბაგარები ჭილაძის "გოდორის" კაშელეტთანაც კი მივიყვანე.

რომანში რამდენიმე ძლიერი სცენა თუ მონაკვეთია, რომელიც იმედია ვაკვირვებს ქართული ლიტერატურის მოყვარულებს და მცოდნეებს. რა თქმა უნდა, ცენტრალურია ბორდელის სცენა, რამდენიმესაათიანი მოქმედება, რომლის აღწერასაც 30 გვერდი მონადგმა ავტორმა. თხრობის ასეთი შენელება ნაწარმოების ბოლოშიც გვხვდება, მაგრამ ეს ეპიზოდ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ქუთაისის ბორდელში შემდგომი უცნაური სექსუალური აქტი, რომელშიც ერთი ბაგარი და 12 მებაძე იღებენ მონაწილეობას, შემდეგ მთელი რომანის სიუჟეტს განსაზღვრავს, ხოლო ან სცენის ერთი შეხვედრით უმნიშვნელო როლის შემსრულებელი, ვინმე მარგო, რომანის მეორე ნაწილში ამბის მთავარ წარმართველად და ყველა ძაფის თავმოყრელად მოგვევლინება.

კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება რომანთან - ფოტოგრაფისა და კონსტანტინე ბაგარის დედის ურთიერთობა, იარაღით მოვაჭრე სერგო ბაგარის, ასევე მანიაა და სამტრედიელი გოგონას ამბავი. მესმის, რომ ასეთ ჩამოთვლას აზრი არა აქვს და ეს სახელები და მინიშნებები არაფრის მთქმელი იქნება, სანამ თავად არ ნაიკითხავთ რო-



მანს და თავად არ შეეცდებით გაერკვიოთ ამ მრავალსახოვან, არეულ, ფორიაქითა და გიჟური ვნებებით აღსავსე სამყაროში. იქ თქვენ ერთიორგან ავტორსაც გადაეყრებით, ხან ყოვლისმცოდნე, ხანაც დაბნეულ მთხრობელს, რომელიც თავად ცდილობს რაღაცეებში გარკვევას.

ავტორი უფრო აქტიურად ჩანს ირაკლი სამსონაძის ტრილოგიის მესამე რომანში, "ღრუბელი, სახელად დარინდა", რომელიც ასევე "ინტელექტმა" გამოსცა. ამ ბოლო რომანში ავტორმა ყველაფერს მოუყარა თავი, პირველი წიგნი, "ყუბურალიშის" უკიდურესი გულახდილობაც დაიბრუნა, ისტორიულ მასალასაც ახელბურად მიუდგა და თხრობის ხერხებით უფრო მრავალფეროვანი გახადა. ამ რომანში ირაკლი სამსონაძესთან ერთად, შეიძლება ითქვას, მწერლის გულახდილობის მოკლე კურსი გავიარეთ და არამხოლოდ იმიტომ, რომ აქ თხრობელი, მთავარი გმირი სამსონა და იგი ბოლომდე ამიძვლებს თავის არსებობას. ამ წიგნის გულახდილობა კიდევ იმაშიც გამოიხატება, რომ იგი ქვეყნის ბოლოდროინდელი ისტორიის, თაობის ბეჭენის, ეპოქის შესახებაც ძალიან ლიად და ტექნიკურად საუბრობს.

განსაკუთრებულია რომანის დასაწყისი, სადაც დეტალურად, მიკროსკოპული სიზუსტითაა აღწერილი ალკოჰოლი დაკარგული კაცის მდგომარეობა, ამ მდგომარეობას ქართულად გაბმულაჰეია, თუმცა უფრო ხშირად მას "ზაპოის" ეძახიან. ეს ალბათ ლოთის მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული აღწერაა, რომელიც კი ქართულ ლიტერატურაში შექმნილა. ჩვენთან ხომ ლამის ყველა ლოთობს, ვინც წერს, მაგრამ ამის გულახდილად აღწერას აქამდე ვერავინ ახერხებდა, ვერ ბედავდნენ, ბევრს არც უცდია. იყო გამოწკრილები - ვაჟა გიგამიძის და გივი სულაკაურის პროზაში. ზოგადად ქართული მწერლები ძალიან მოიკოჭლებენ ამ საკითხში, განსაკუთრებით კი რამდენიმე რუს, და რაც მთავარია, ამერიკელ მწერლებთან შედარებით, რომლებმაც ალკოჰოლი და ნარკო დამოკიდებულებებზე უმწვავესი აღსარებები დატოვეს.

მთხრობელს, სამსონას, სწორედ ასეთ მდგომარეობაში გავიცნობთ, იგი ლამის ვენიჩკა ეროფევის "მოსკოვი-პეტუშკების" პროტაგონისტისთვის იწყებს, გულაღმა წეწს, უშიძიებს ნაბახუსევზე, და ჯერჯერობით მხოლოდ გულსა და ღვიძლს ვრწმნბს. გადაბრუნდება გულის მხარეს, გული აწუნებს, ღვიძლის მხარეს - ღვიძლი. მან ლოთობის ისეთ სიმაღლეს მიაღწია, როდესაც მხოლოდ ყავას აყოლებს არაყს, ადრე არასდროს დაწერდა მთვრალი, ახლა კი გადაკრულში წერასაც არ ერიდება, უფრო მეტიც, სხვანაირად ვეღარ მუშაობს. ხშირად სდის ლოთური ცრემლები, მიუღ ფულს სიგარეტში და სასმელში ხარჯავს, ჩაცმულობაზე კი მეგობრები და შეილები ზრუნავენ. მისი მთავარი საქმე საკუთარი თავის გადაფხვკაა, მისთვის "ლოთობაც და მრუშობაც გზაა იმ წამამდე, როცა

სურვილი გეუფლება დაუზარელად ფხიკო და ხეხო შენი თავი, ფხიკო და ხეხო იქამდე, სანამ ჯერ ჩემს ხმას არ გაიგებ, შემდეგ კი იმ მესამე სამსონასაც არ დაინახავ".

ამ სიტყვებს სამსონას მეორე, უფრო სწორად, პირველივე ამბობს, იგია პირველი სამსონა, არსებობს მეორე სამსონაც და ჩვეულებრივი პერსონაჟი, ანუ მესამე სამსონა. რომანს ასეც უწოდებს მთხრობელი - მონორომანი სამ პირში - მე, შენ, ის. აი როგორაა გართულებული აღსარებითი მოდელი ირაკლი სამსონაძესთან, სხვანაირად, როგორც ჩანს, შეუძლებელიცაა ქართული მწერლისთვის ამგვარი გულახდილობა.

აღსარებისთვის გარდა რომანში ძალიან ძლიერია მითოლოგიური შრეც. ჩემთვის ცოტათი გადამეტებულიც კი. პირადად მე რომანის დასაწყისის მიკროსკოპულ სინტაქსსა და ნაბიჯ-ნაბიჯ სვლებს უფრო მეტი აზარტითა და ყურადღებით მივაფიქვნივთ თვალს, ვიდრე ამ ჩართულ ისტორიებს, რომელიც მართალია ძალიან ძლიერი და ტემპერამენტური რიტმული პროზითაა დაწერილი, მაგრამ იმ თავდაპირველ დაძაბულობას მაინც ამჩნევრებს და ფანტავს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი თავი ლამის მთლიანად ბგერწერაზე აგებული, ხშირია ალიტერაციები და ა.შ.

ეს მითოლოგიური კომპლექსები მთლიანად გამსჭვალავს რომანს, აქ ბევრია მეტამორფოზები, ხილვები, პოსტსაბჭოთა მაგიური რეალობა, რომელიც ამბის მოყოლის ერთ-ერთ უმთავრეს ხერხად იქცევა ირაკლი სამსონაძესთან. რომანს რევინდად გასდევს ფრაზა, უფრო სწორად წარწობასხვითი კვლევის სათაური: "მითები და ზღაპრები საბჭოური და პოსტსაბჭოური სინამდვილიდან"... ეს რომანიც ხომ, არსებითად, ამაზეა, ამ მითებზე, მითებზე, სადაც ყველაფერს უანგი აქვს მოდებული, სადაც არავფერი გაიტყვევს, სადაც მხოლოდ ძრობობა და რომლის კვლევაც სასჯელივითაა. აი მაგალითად, როგორ აღწერს ირაკლი სამსონაძე აფხაზებითან დევნილების უღელტეხილზე გადმოსვლას:

"მოდოდნენ... მოეზიდებოდნენ მაგნოლიებს, ზღვას, ნესტსა და სიცხეს, ნაპირზე დახტობის ტალინს ხმას, დაბლა კონინდარს... ხუროქის შეცეცხლილ ხეებს... უღლიან ღორებს, ნერვებამანწულ თუ მძლარ საქონედს, ფერად იხვევს, ერთმანეთის გატანას და ვერგატანასაც მოეზიდებოდნენ და მათი მსვლელობა იყო მძიმე რიტმში ამოთქმული ჰოუ-ნანასავით რეველებული... ხალხის თვალუნჯვენელი, გრძელი სივრცეში მოუხდებოდა დამარცხების სიმწარეს, მამა-პაპის სამარეებსა და თოვილიან მთებს, შემოდგომის წვიმებს, ყავახანებსა და მოხალული ყავის არომატივით გაბრუნებულ ბუღვარებს, მოეზიდებოდა ფიტყებს, სახლს, კერძას, შეჩვეულ და შეუმჩნეველ აქამდე ნივთებს, რომლებიც მერე კავახსენებენ თავს...".

რომანში კიდევ ერთი რეფერენია, "ვრემია". ბევრ ტექნიკას ახსოვს ამ საინფორმაციო გამოშვების

ეპოქა, ვრემიას დრო, დრო, რომელიც დღესაც გრძელდება: ვრემია ყველაფერია, ვრემიაზე საათს ასწორებს, ვრემიამდე სახლში უნდა იყო, ვრემია ჩავივინახლდა, "ბევრი მეგობარი ნაკვართვა ვრემიამ"... ეს "ვრემია" დღესაც აგრძელებს თავის საქმეს, დღესაც იმ "ვრემიადან" გამოსულ მატარებელში ვსხედვართ, დღესაც ვცდილობთ საკუთარ თავს არ ვგავეთ, ვიყოთ კმაყოფილი ტაშიცემით, ზემით, მარადიული დაბრუნებით და წინაზე სიარულით. "ეს მატარებელი ვერასდროს გაიგნებს გზას ადამიანისკენ", ამბობს სამოსნა, "ცხოვრება ლამის გაილია ნაბიჯების უსაგნო თვლაში, ვიღაცის ზემებში, ლითობასა და მეგობრულ დაპყრობებებში, ცხოვრება მიდის მოვსტაბჭოეთის ერთ მარშრუტზე, ბაქნიდან ბაქნამდე პოლიტიკაზე ყაყანში, დღიდან დღემდე ერთ ხედს ხედავ მატარებლის სარკმიდან, დღიდან დღემდე ერთი დაიგვე სახეები ახმაურებენ ერთსა და იმავე, წინასწარვე ნაცნობ აზრებს... ქვეყანა კი კვლავინდებურად ვიღაცისთვის ცოცხლობს თითქოს, თავისთვის არა, ვიღაცისთვის, ვისაც თავი უნდა მოაწონოს..."

ირაკლი სამოსნაძე, როგორც პროზაიკოსი არავის აწონებს თავს, იგი არ ცდილობს შეგიმსუბუქოთ კითხვის პროცესი, გაგიტაცოთ ნათელი სვედით სასვე გამოწავლით, იგი თავისას აწეება, მიძიმდ და თავდავინყებით. ვაშკოდოდ მკითხველს არ შეაშინებს ასეთი პროზა, მაინცდამაინც ყველამ ფაშუქივით ფაფუკად ხომ არ უნდა წეროს თავის და თავისი ქვეყნის ჭრილობებზე?

ზემოთ წრეზე სიარული ვახსენე და ეს რომანიც ერთ რამეს გვიმტკიცებს, ფორმიტაც და შინაარსითაც, რომ სიმწარის, მოსაბუზრებელი, გაუთავებელი სიმწარის გარევე ვერ გამოვლენთ ამ ჩაკეტული წრიდან. ნურავის ჰგონია, რომ ლალი, საგანცხრომოდ საკითხავი ტექსტებით, ოცნებებითა და ტაშფანდურით დავეტოვებთ წარსულის სიმძიმეს. ეს გათავისუფლება მხოლოდ მოსაბუზრებელი განმეორებებით მოხდება, ამ განმეორებების გააზრებით. სწორედ ამიტომ, ირაკლი სამოსნაძის პროზა ე.წ. აქტუალური ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ნიმუშია.

"გაცვლა" და "გათვლა"

ჩემი მიმოხილვა მარინა ელბაქიძისა და თამთა მელაშვილის ორი წიგნით მიხდა გავაგრძელო. ორივე წიგნი "დიოგენე" გამოსცა და არსებითად ორივე ერთ მწარე თემას უტრიალებს, ერთი ქართული 90-იანების პირმშობა, მეორე კი 2000-იანების.

"გაცვლა" "არილი" 2002 წელს გამოქვეყნდა, ვრცელი მოთხრობა აფხაზეთის ომის შესახებ. კარვად მახსოვს ის ნომერი, ყმაზე ახალგაზრდა ფოტოლად გამბროვიჩის ფოტო იყო გამოტანილი, იმ ნომერში მისი დღიურები და სლაგომირ მროუეკი-

სა და ჩესლავ მილოშის სტატეები დავებქედეთ გამბროვიჩის შესახებ, იმავე ნომერში იყო ბესიკ ხარანაულის "წიგნი ამაბ ბესარონისას" პირველი პუბლიკაცია და სწორედ ამ ტექსტს მოხდევდა მარინას ეს ძლიერი მოთხრობა.

ამ ხუთ მოთხრობაში "გაცვლა" მართლაც ვი-მოირჩევა, ყველა დანარჩენი მოთხრობა, ვერ ვიტყვი რომ ყველა ინფანტილურია, მაგრამ ამ მოთხრობებში რეალობა, რეალური მეტყველება, რეალური ისტორიები, შედარებით მზა მასალად შემოდის ტექსტში, "გაცვლაში" კი ავტორის ძლიერი ხელიც ჩანს. მაგალითად, ორ ადრეულ მოთხრობაში, ზღვარი ავტორსა და 90-იანების რეალობას შორის ძნელად გასარჩევია, იგი ერთგვარად ემორჩილება ეპოქის ნიშნებს, ხოლო "გაცვლაში" ავტორი მეტ ძალისხმევას ახმარს ამ რეალობის აღწერას და სიმართლევ უფრო ზოგების და საყოველთაო მოჩანს და არა კერძო. სწორედ ამიტომაც ეს მოთხრობა ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა, რაც კი აფხაზეთის ომზე დანერვილა.

მოთხრობას დოკუმენტური ამბები უდევს საფუძვლად, მისი ერთ-ერთი მთავარი გმირი პაატაა, იგი აფხაზეთის ომში მონაწილეობს, ოღონდ ომით არაა დაკავებული, არც იარაღი აქვს, იგი "ცვლის ცოცხლებს და მიცვალებულებს ცოცხლებზე და მიცვალებულებზე", ვაჭრობს, წონის, ანგარიშობს... მოწინააღმდეგის მხარესაც ჰყავს თავისი პაატა, სახელად ბატალი, და ისიც ასევე ანგარიშობს, მასაც პაატასავით დავითარ დააქვს, სადაც ყველა დაკარგულის, დასახიზრებულის, მოკლულის, გაუშატიურებულისა და მოტაცებულის სახელი აქვს აღნიშნული. ერთი ეგ არის, რომ პაატას სხვადასხვა ფერის მელნის კალმით დააქვს და სხვადასხვა ფერში აჭრლებს დავითარ, სადაც თითოეული ფერი რაღაცას ნიშნავს. მოკლედ, შუაში ეს ორნი არიან, პაატა და ბატალი, აქეთ-იქით კი უამრავი დედა, ცოლი, ქმარი და მამა ელოდება თავისიანის ცოცხლად ჩამოყვანას თუ მკვდრად ჩამოსვენებას. ერთ-ერთი ასეთი მამაა გოგი, მოთხრობის მეორე მთავარი გმირი, რომელიც თბილისიდან გამოქცეული და ტყვედჩავარდნილი შვილის გამო ჩამოვლით აფხაზეთში და პაატასთან ერთად იწყებს შვილის ძებნას.

ომისთვის არც ერთი არ არის გაჩენილი, პაატას "დაბალი, თბილი ბარიტონი აქვს, ასეთი ხმით სუფრავზე უნდა ღლიინებდეს და ქალბებს აბამდევს, ამ შვილებს უყვებოდეს ზღაპარს გამოთქმით...", გოგი კი მსახიობია, ჰამლეტიც კი აქვს ნათამაშები, მექმნა უსიყვარული, სამკაულივით ოჯახი, გამოსავალი, სხვების დასანახად. ცხოვრობს სათულის ოს თუ ნაკრძალის პირობებში, რუფუნებით ძერწავს თავის იმიჯს, კაი თბილისელი ბიჭის იმიჯს, ამ იმიჯის შესლამაზებლად ზომიერად უძველები-ჭია კიდევ, "ოღონდ უსაფრთხოების ნორმების დაცვით", ჰყავდა საყვარლები, არ აკლდა ტაში და ყვავილები, ერთი ორჯერ "ყოფნა-არყოფნაზეც" ჩაფიქრდა, ყოველ შემთხვევაში მონოლოგის ნაკი-



თხვა მაინც მოუწია სცენაზე და უცებ, ეს ადამიანი საფლავს თხრის, სხვისი შვილის საფლავს, მიცვალებულიან საფლავს. კაცს, ვისაც პანაშვიდზე სიარულის ემინოდა, ახლადდამარხულ მკვდარს თხრის და რაც მთავარია, თხრის "თავდაუნიყვით, ლამის ბედნიერი იმით, რომ ეს მისი შვილის სამარხი არ იყო. სულ სამნი იყვნენ, პაატა და გოგი თხრიდნენ, დამარხულებიდან ერთ-ერთის მამა იქვე იჯდა, უფრო იდო მინახე და გოგის ემინოდა, ისიც იქვე არ შემატებოდა ცხედრებს".

გოგი ომში ისე ხვდება, რომ შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ერთი ფილმიდან მეორეში გადაბიჯა. მას სხვანაირად არ შეუძლია დაინახოს ეს რეალობა, იგი ტოვებს ფილმს, სახელად თბილისი და თეატრი და მიდის ფილმში სახელად ომი და აფხაზეთი, აქ იგი უიარალოდაა, პაატასავით, და ამიტომ მას კაცადაც შავიან ავადებს, უიარალო მშვიდობის მტრედი და შვილის მაძიებელი მამა აქ არავის აინტერესებს, თუმცა მოთხრობის ემოციურად ყველაზე დატვირთულ მომენტებში, რა თქმა უნდა, სწორედ ეს ორი ადამიანი მონაწილეობს. მთავარ, საკვანძო სცენაში გოგი ძალზე სარისკო ნარმოდგენის თამაშობს მტრის თვალწინ, თამაშობს როგორც ნამდვილი არტისტი, ყველაფერი რაც ამის შემდეგ ხდება, მხოლოდ რეზიუმეებია, ორ-ორი წინადადებით მოყოლილი ამბები და ზუსტი აღწერები. მარინა ელბაქიძე, საბერძნეთ ალენერების ოსტატია, მას შესანიშნავად გამოსდის პორტრეტებიც, იგი ვრცლად, დეტალურად ხატავს ამ პორტრეტს და ავსებს დეტალებით, თუმცა შთაბეჭდილება რჩება, რომ 20-30 გვერდიანი მოთხრობა საკმარისი სივრცე არაა ასეთი სახეებისთვის. ამისთვის ალბათ რომანია საჭირო. მცირე რომანი მაინც.

პირობითად მცირე რომანი შეიძლება თუნდოთ თამაზა მელაშვილის ვრცელ მოთხრობას "გათვლა". ეს წიგნი ავტორის სადებიუტო ნაწარმოებია და ბოლო 15-20 წლის მანძილზე მე ვერ ვიხსენებ ასეთ სერიოზულ დებიუტს. იყო ძალიან ნიჭიერი, მახვილგონივრული ან ოსტატური დებიუტები, მაგრამ ასეთ თანმიმდევრულსა და სულისშემძვრელს, იშვიათად. ესაა წიგნი ომის შესახებ, სადაც არც ერთი გასროლის ხმა არ ისმის, სადაც სულ რამდენიმე ზარმაცი მეომარი ჩანს, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი მთელი თავისი სიმძაფრით გვაჩვენებს ომის საშინელებას, რადგან საქმე ბავშვებს ეხება.

ცხადია, მკითხველი პირველ რიგში სამაჩაბლოზე და 5 წლის წინანდელ ომზე გაიფიქრებს და მართალიც იქნება, რადგან თავად თამთასთვის იყო ეს ომი წიგნის მთავარი იმპულსი, თუმცა დაასრულებით კითხვას და მიხვდებით, რომ ამბავიც და პერსონაჟებიც სცილდებიან ერთი კონკრეტული ომის ფარგლებს. ჯერ ერთი, მოქმედება ქალაქში ვითარდება, რომელიც არც ცხინვალია, არც ახალგორი და არც გორი, აქ არც ქართლური აქცენტით ლაპარაკობენ, გვარებიც სხვადასხვა კუ-

თხისაა, სახელები კი უცნაური, მთავარი გმირებიც - სახვასნით თბილისური, უფრო სწორად კი, კარიკატურულად, საწყლად თბილისური. ავტორმა ერთი მცირე ჩანაფიქრიდან ვრცელი მოთხრობა გადმოაღწო, სადაც გამოაგნებელი სისუსტი-თაა აღწერილი გრძობებიც, ფიქრები და საუბრები და რაც მთავარია, ეს ყველაფერი თითქმის მთლიანად დაცლილი სენტიმენტებისგან.

თამთას წინა 2-3 მოთხრობასთან შედარებით, რომელიც ადრე მქონდა ნაკითხული, "გათვლა" სერიოზული ნახტომი აღმოჩნდა. ამბის სიმწვავის გარდა აქ პირველ რიგში ოსტატობაა აღსანიშნავი. ჯერ ერთი, თხრობის ოსტატობა - იმედი მაქვს, წლების შემდეგ ქართველი ნარატოლოგები არაერთხელ მიაკითხავენ ამ პატარა ტექსტს ზოგიერთი ხერხის ილუსტრირებისთვის, თუმცა ეს არაფერია თამთას დრამატურგიულ ალღოსთან შედარებით. საქმე ისაა, რომ ნაწარმოების ყოველ თავში ხდება რაღაც ისეთი, რაც ყველაზე არსებითი შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს, ანუ ტემპერატურა თხრობისას არასდროს კლებულობს, პირიქით, მატულობს და ყოველი მომდევნო სცენა სულ უფრო ნაკლებ დროსა და ადგილს გიტოვებს ამოსუნთქვისთვის - ასეთია დაუმარბავი მკვდარის ამბავი, დალუპულების ტანსაცმლის დაწვის, ეპილეფსიის სიმულაციის და სხვ. სცენები, რომელიც ნაწარმოებს ერთ მხურვალე მთლიანობად აქცევენ.

თამაზა მელაშვილმა, ჩემი აზრით, კარგ დროს დაიწყო წერა. იგი 31 წლის იყო "გაფელის" დროს, ბევრის აზრით ეს ეს ასაკი საუკეთესო პერიოდია პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი აზრების და გრძნობების გადმოსაცემად, პროზაში გადმოსაცემად.

თამაზა საკმაოდ ცოტას წერს, თუმცა ასეთი, ერთი შეხედვით, უბარაქობა შესაძლოა მტერი ნაყოფიერებით შემოუბრუნდეს მწერალს, თუ რა თქმა უნდა იგი "გაფელის" მიღწევებით არ დაქვიაყოფილდება და კიდევ უფრო გააფართოებს თავისი ნაწერების თემატურ და ფორმალურ შემადგენლობას და რაც მთავარია, არ გაჩერდება. დაბოლოს, ერთი წინადადებით ვიტყვი იმას, რაზეც უახლოეს მომავალში შეიძლება უფრო მორიდული წერილიც დავწერო: ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თანამედროვე ქართულმა მწერლობამ ბევრს დაანახა, რომ ყველაზე ადეკვატურად ხედვას და კითხვულობს ომს, განსხვავებით სატელევიზიო მითის ან პოლიტიკოსების ყალბი ისტერიულობით სავსე ხედვებისგან.

Obol's საქართველო

ბოლოს აკა მორჩილაძით დავამთავრებ, მისი Obol's-ით, რომელიც ერთი ამოსუნთქვით დანერი-ლი რომანია, თუმცა კითხვისას აუცილებლად იფიქრებთ, რომ დიდი ხნის მანძილზე დიდი სიყვარულით ნაგროები მასალა გადმოაღწავა აკა მორჩი-



დაქმ. ეს რომანი ზოგჯერ სენტიმენტალური, ცრემლისმომგვრელიც კია, ალაგ-ალაგ კი ჩახვეული და ჩახლართული. ვიღაცამ შეიძლება აკას ნანერების ლოგიკურ გავრძელებად მიიჩნიოს ეს რომანი, ჩემთვის კი ბევრი რამე გაიხსნა ამ რომანში, კონკრეტულ ავტორთან დაკავშირებითაც და ზოგადად ქართველ პროზასთან მიმართებაშიც.

რომანში თავიდან წელი ტემპია, მიიზღაზნება ამბავი, ხოლო ავტორი შოგადაშოგ გამოსაფხიზლებდა ხან სასაცილო ამბებს ყვება, ხანაც სევდიანს. წვრილ-წვრილ სევდიან ამბებს. ასეთები ყოველთვის აქვს ხოლმე გიოს, მაგრამ უცებ რაღაც ხდება და თხრობაში ყველაფერი იცვლება. ჯერ ერთი ეს წვრილი სევა იზრდება უზოვლად ხვდევს, რომ გეტორმა გვარიანად შეტოვა. ადრე აკა იშვიათად იძირებოდა ხოლმე ასე დეტალებში, აქ კი ძალიან წვრილმანებშია ყველაფერი, ბოლომდე მიდის, ყოველ გამოცხილ ჭიქას უთვლის პერსონაჟებს, ყოველ გაღვთლ ლუქმას, გადადგმულ ნაბიჯს... ქართველი კლასიკოსები ასე არ წერდნენ, არ ჰქონდათ ამისთვის დრო, ვერ იცლიდნენ ამისთვის, დიდ-დიდ რაღაცებს უტრიალებდნენ და ხშირად მთავარი გემოები ეკარგებოდათ.

რა თქმა უნდა, სამშობლოდან წასულ მწერალს შეიძლება პირველ რიგში მონატრება და ნოსტალგია დააბრალო, მაგრამ არამხოლოდ ნოსტალგიური ტექსტია **Obolé**. ვიღაცათვის შეიძლება ეთნოგრაფიული რომანიც იყოს, ქვეყნების რომანი, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებების გაბმული ენციკლოპედია. რომანი კიარა, ჩვეულებების და ურთიერთობების მუხეშეშე.

ზედმეტად დაზუსტებული არ არის, მაგრამ გეოგრაფიულად ლეჩხუმი რომანის მოქმედების ადგილი. იმერეთსაც შიამატება დაკვი ამ ერთი ბენი მინას და უფრო მეტიც, მთლიანად საქართველოზეც განავრცობდა იქაურ ამბავს. მოკლედ, ეს არის რომანი საქართველოზე, ძველ და ახალ ქართველებზე და რაც მთავარია, ამის მიუხედავად, ეს არ არის ე.წ. "ნაციონალისტური დისკუსია" და არც "მისი უკრის". ეს სევდის, ოცნების, სხვა საქართველოს რომანია, სადაც კლიშეებზეცაა საუბარი, უცნობ განცდებზეც და ყველაზე პირადულზეც. და ეს პირადული არ არის მხოლოდ აკას (ვიოლი). მე მაგ. ყოველ გვერდზე ვპოულობდებ ჩემს სოფელს, ჭიშკარს, ბიძაჩემებს, ბაბუაჩემებს, ნაცნობ ადამიანებს, ნაცნობ გრძნობებს, სურნელებს.

აი მაგ. რომანის პირველი თეზისი ქართველობაზე: "ქართველმა თუ წარსულის ამბები არ გაუშვია, დღევანდლისას რას ამბობს, ვერ გავუგებ". ეს თეზისი მოგვიანებით შემდეგნაირად ზუსტდება: "საერთოდ, მგონი ქართველების იმიტომ არ ესმით მსოფლიოში, რომ ჩვენ ძალიან შორიდან ვინყვებთ დაპარაკს... შორი ხალხი ვართ, და აბა იმათ არ უყვართ ეგ სიმორე, მგონი აბრაზებთ კიდევ", ჩვენ კი, გვგონია, რომ შორიდან თუ არ დავიწყეთ ვერავის ვერაფერს გაგვაგებინებთ. მეორე თეზისი: "ჩვენი სანებელი ჩვენს სისხლზე მაგარია",

მესამე - "სიცოცხლის ერთ წამს ვიქნები ყველაზე ოქრო, მართალი და სასურველი, იმიტომ რომ ქართველი ვარ". მეოთხე - "რანაირი სიტოპები აქვთ ხოლმე შეზარბოშებულ კაი ხასიათის კაცებს. მგონი ეს არის ყველაზე ნამდვილი, რაც კაცს შეუძლია ხოლმე მისცეს მეორე კაცს. ჩვენიან ვერვა, ემაგ გადახვევაში ლამის ყველაფერია ხოლმე. ოღონდაც, მიღად ფხიზელზე გადახვევა ეგეთი ვერ გამოდის...". მეხუთე - "ქართული სტილი ვერვა, ზედა ლილი ყველთვის გახსნილი და ქვედა კი შეკრული", მეექვსე და მთავარი - "სიკვდილზე ლაპარაკს რა ჯობია ხოლმე ქართველურ ღვინონაკრავობაში".

რომანში ერთხელ ჭურსაც მოხდინა და ამ დროს აღმოხდება მთხრობელს ნაცნობი და მშობლიური სიტყვები: "ჭური მოვხადეთ. და ამოვარდა. დაღუვა კი არ არის მთავარი. მთავარია, რაც ამოვარდება. საქართველო ამოვარდება ხოლმე. თუ იკადრებს და მოწონდება ღვინო".

გორის ტრასა არ უყვარს მთხრობელს, მაგრამ "გორის ტრასის გარეშე საქართველო არ არსებობს", კიდევ ერთი გეოგრაფიული დაკვირვება: "თბილისიდან დასავლეთში რომ მიდინარ, გზის პირველ ნახევარს ფიქრობ შენს ჩვეულებრივ საფიქრალს, რიკოთზე კი ეგ ყველაფერი თავდება და იწყება ლოდინი... ღმერთო, რატომ არის, რომ როგორც კი რიკოს გადავალ, მიკანკალებს ფეხები, მერე ხელები, მერე მხრები და მთელი და დროის განმავლობაში გულიც? რატომ არის ეგრე?".

და ადამიანები როგორები არიან? ესენი არიან კაცები, რომლებსაც უფრო განწყობა და გარემო ათრობს, ვიდრე ღვინო, შექცეული მთხრობელები... კონო, 20-22 წლით უფროსი ბიძაშვილი, უფრო ბიძად რომ გერგება - თავზეხელაღებული ჩახუტებით და ფულების ჩაკუჭვით. ბაბუცა მამიდა, ცაცხლის, თონის სურნელებით. სწორედ ბაბუცასთან დაკავშირებით ნამოცდება ავტორს ყველაზე მხურვალე სიტყვები: "რა მიყვარს, რა მკლავს, რა მატირებს და - ბებიების ჩახუტება. ჩემი პატიარა, მშატე, სუფთა ბებიების ჩახუტება, ანევა და დატრიალება. ეგრე გგონია, რომ რაც კარგი გვექონდა ცხოვრებაში, იმას ეხუტები".

ამ რომანში რომ ჩამოსხდებოდა სალაპარაკოდ, ძირითადად სახელდახლო სუფრასთან, და რომ დაიწყებენ... ეს საუბრები დიდი მუსიკასავითაა, მოცარტის და შაინდის ტრიოებით, კვარტეტებით, კვინტეტებით, შუბერტი, შუმანი და შისი ჯანი. ჯერ ორი იწყებს, დუეტში, მერე კი შემოდიან და შემოდიან, ხან გადაიან, ან ჩუმდებიან, იცინიან, ტირიან. სუფრიდან სასაფლაოზე გადადიან ენაზე-ენაზე, გრაფიული ხელში, საწთებსაც მოანიებენ იქ, შემდეგ დამალული გრაფონის და სატრიოალი მიდიან მღეროდ, არეული ნაბიჯით.

რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი თოფია, ობოლე, ქალივით თოფი, რომელსაც თამამად ასხამს ხობტას მთხრობელი. რატომ? იმიტომ, რომ ამ ადამიანს, ბევრი ჩვეთაგანივით "სროულობს",




“სახალხო სროულობის” დრო აქვს გამოვლილი, ანუ 90-იანი წლები და იცის, რომ ამ ქალბატონის ქება-დიდებას არავინ ჩაუთვლის მანკიერებაში. ეს არც კალაშნიკოვია, არც ბერეჯია და არც გლოკი. თანაც არავის ახსოვს, ბოლოს როდის გაისროლა ამ თოფმა. იგი თოფადაც არ მიაჩნიათ, ეგ კი “რამხელა შედეგათია, თოფი რომ თოფი არ გეგონება”.

ბოლოს ერთ სცენას ვაგვიხსენებ, ბაბუცა მამიდა და მთავარი გმირი დაბალ მაგიდას უსხედან, მათ შორის დიდი ნათურა კიდა. დიდი, ძველებური ნათურა, შიშველი ნათურა: “შიშველი ნათურები, აი რა მიყვარს აქ. რატომღაც სანთლებივით ანათებენ. ეტყობა იმდენად ძველი ნათურებია, რომ დიდი ძალა აღარ შერჩენიათ...”.

აკას ამ რომანში ის აქტუალობა, რაზეც წინა ავტორებთან ვსაუბრობდით, გარკვეულწილად მორბილებულია და წარსულის ლანდებშია გაბნეული. აქ ყველაზე დაძაბული სცენები პერსონაჟის წარმოსახვაში თამაშდება, მაშინ როცა წინა რომანის გმირების უმრავლესობა, შეიძლება ითქვას, ჩაგდებულია ისეთ ვითარებაში, სადაც მისი და თანამედროვეობის ბედი მწვავედაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. ასეთი გადაჯაჭვა შეიძლება ბუერისთვის გამაღიზიანებელიც კი იყოს. არსებობენ მკითხველები, რომლებიც სრულ ტექსტუალობაში დარჩენას ამჯობინებენ და ადვილად ამოსაცნობ რეალობის ნიშნებს წარმოსახვის თამაში ურჩენიათ. თავის დროზე მეც მიტაცებდა ასეთი ლიტერატურული თამაშები, როდესაც ავტორი მაქსიმალურად შორდებოდა რეალობას, მაგრამ ბოლო წლებში, მეგონი, ჩვენითვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა დოკუმენტურობის ეფექტმა, გამობატვის გაცილებით პირდაპირმა ხერხებმა, სიმართლემ, რომელმაც შეიძლება უშუალოდ ასახოს ჩვენი ბოლოდროინდელი თავგადასავალი. ასეთი ასახვის მოთხოვნილებას კაი ხანია ცხადად ვხედავ, განსაკუთრებით იმ გარემოში, რომელიც მხოლოდ უკულმართი, მართული და სხვაზე დამოკიდებული სატელევიზიო მედიის ამარაა დარჩენილი. ერთი სიტყვით, ქართულმა პროზამ თავისი სიმართლე უნდა იპოვოს, ან დაიბრუნოს, სხვანაირად ჩვენი ლიტერატურა ვერ იქნება “ჩვენი” და მით უმეტეს, ვერც უცხოელ მკითხველს დაინტერესებს იგი.





“ორმოცდაცამეტი წლის ვარ და მას შემდეგ ვწერ, რაც ოცდაერთის გავხდი. ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, ახლა უფრო მეადვილება წერა, ვიდრე მაშინ? ვშიშობ, რომ არა. სულ უფრო ვრწმუნდები, რომ წერა არაა საქმიანობა, რომელიც ასაკთან ერთად მარტივდება; შეუძლებელია, უცებ გამოაცხო რომანი, მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ათწლეულია, ამ საქმეს მისდევ. ხანდახან ისიც კი მეჩვენება, რომ ყველაფერი ფიზიკურ გამძლეობაზეა დამოკიდებული: წერას უღევი ენერჯია სჭირდება. ასე რომ, დაბერება საქმეს არ შველის. მთავარია, დარწმუნებული იყო, რომ რაღაც ახალი, ცინცხალი გაქვს ხელში, რაღაც ისეთი, რაც სრულიად განსხვავდება ყველაფრისგან, რაზეც აქამდე დაგიწერია. თუმცა, შეიძლება, ესეც მხოლოდ ილუზია იყოს. მერე, ცხადია, ბოლომდე უნდა ჩაყვე, ჩაეძიო, ჩხრიკო და იკვლიო, რომ მისწვდე მასალას, ნედლეულს, რომელიც ჯერ არ გამოგიყენებია. წლების მატებასთან ერთად უკეთ იცნობ შენს გონებრივ ჩვევებს, საკუთარი აზრების სტრუქტურას. სკეპტიკური ხდები და გსურს, მაქსიმალურად აიცილო თავიდან გამეორება. ღრმად მწამს, რომ ერთი რომანიდან მეორემდე მწერლის ცხოვრების ნაწილი უნდა იდოს. ვფიქრობ, ყოველი შემდეგი რომანი ოდნავ განსხვავებულმა ადამიანმა უნდა დაწეროს”.

იან მაკიუენი, BBC Radio 3
 ნოემბერი, 2000

იან მაკიუენი

გაათავა და მოკვდა

ინგლისურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ

ეს დამწიფება, დაძველება, დაღეჟვა, ახალი განცდების, ახალი შთაბეჭდილებების ლოდინი მაკიუენის ყველა რომანს ეტყობა. მაკიუენი არაფერს წერს იმიტომ, რომ გამომცემელი ელოდება, ან უბრალოდ იმიტომ, რომ "წერა ეხერხება". მაკიუენი წერს, როცა სათქმელი აქვს. სწორედ სათქმელის "დაგროვებას" გულისხმობდა, როცა ამბობდა, რომანიდან რომანამდე ავტორის ცხოვრების წლებიაო.

მაკიუენის თარგმნა, ტექნიკურად, თითქოს, რთული არაა. განსაკუთრებით - ადრეული მაკიუენის და განსაკუთრებით - მისი მოთხრობების. გეჩვენება, რომ რალაცნაირად მოკლედ, მშრალად, "ადვილად" წერს. მაგრამ ძნელია, მის "სიმარტივეს" ხელი მოჰკიდო, მით უფრო, ზაზა ჭილაძის შემდეგ.

"კოკერი თეატრში" ირონია სექსზეც, სექსის ფიქციაზეც, მათზე, ვისაც მართლა აქვს სექსი და იმათზეც, ვინც სექსს თამაშობს; მათზეც, ვინც იყენებს სექსს, "ქმნის" სექსს, ან უყურებს სხვის სექსს. "გავოგნდი, როცა კრიტიკამ სექსით შეპყრობილ კაცად მომნათლა, არასოდეს მიფიქრია, რომ სექსზე ვწერდი", ამბობს მაკიუენი პირველ კრებულზე, ერთ ძველ ინტერვიუში. ასეცაა, 28 წლის მაკიუენი სექსზე არ წერს: ამ პანანინა და პირველიდან უკანასკნელ სიტყვამდე ირონიული მოთხრობის გული მაინც კოკერის (თუ ყვინჩილას?) ბოლო სიტყვებია: "აუცილებლად ვნახავთ, გმადლობთ, ბატონო კლივერ". და ბურთი, ყელში რომ ეჩხირება კლივერს. მერე რა, რომ არ იტირებს და პაპიროსს მოუკიდებს.



მოკლედ, არ აპყვა კრიტიკის და 1978-ში მეორე კრებული გამოსცა, პროვოკაციული სახელით "ზენრიდან საბნამდე". ყველამ ვიცით, ძილის გარდა, რაც ხდება ზენარსა და საბანს შორის, მაგრამ მაკიუენი მაინც მაკიუენია. "გათავა და მოკვდა" სწორედ ამ კრებულიდანაა.

"სექსით შეპყრობილანა" მონათლული 30 წლის მაკიუენი მარტოობაზე, სასონარკვეთაზე, სასონარკვეთაზე ზიანს წერს. შეუძლებელია, მისმა ეროტიკულობამ გული არ აგინქროლოს კითხვისას (კაცნი ვართ) და თან ძარღვებში სისხლი არ გაგაიყოს, გულ-ღვიძლი არ ამოგებრუნოს სიყვარულის ობიექტის (ვაიმე, ელენ!) გაცნობიერებამ. უკიდურესი ირონიით დახატული ყველაზე ნამდვილი სასონარკვეთა და გულისშემძმერელი ოსხესია, რომელსაც პირობითად ელენი ჰქვია, სრულიად უნივერსალურია: მნიშვნელობა არ აქვს, ქალია, მამაკაცია, ნივთი თუ მოვლენა. რა მნიშვნელობა აქვს, მისიფერი ქვედაბოლოს აფრიალებული კალთა გაიჩივრებს გულს შემოდგომის დაიხის შუქზე თუ სხვა რამე, სხვა დროს. მაკიუენი სექსზე არ წერს, შეპყრობილობას აღწერს, გრძნობითს, გონებრივს, ინტელექტუალურს, ჩვევითს, სექსუალურს; და სასონარკვეთას, ისეთს, რომ გგონია, ხელით შეეხები.

მარტოობა-მეთქი. თუმცა მაკიუენი ერთად ყოფნაზეც წერს, იმაზე, რა სავეს და მეტყველება დუმილი, როცა მასში თანამოაზრობაა, მოსმენაა, სიმყურდოვება. დუმილი მაშინ ხდება ჩუმი, როცა მისი ხმა აღარ გესმის. წერს, როგორ ხედეება და სისხლისგან იცლება ვენებანი (!) სხეული და ცნობისმოყვარე (!) სახე, როცა ურთიერთობას (ვაიმე, ელენ!) უნდობლობის ზარი გადასერავს. არ გასვენებს ეს მოთხრობა, დამდებულფივით კითხულობ, დრადადრო კი ცივი შხაპივით გაფხიზლებს, დავცინის, აბუჩად გიგდება, თავს უხერხულად გრძნობ, იშპუშნები, დანაშაულზე წასწრებულფივითაც კი მიმოიხედავ.

ჰო, რალაცნაირად ნამლეკავი მოთხრობაა ეს, დამამარცხებელი და გულისამომგლეჯი. არა მგონია, მხოლოდ ჩემთვის ამოგელიჯოს გული: მერე რა, რომ მე განსაუთრებულად მიყვარს მაკიუენი.

ხათუნა ცხადაძე

სოზიორ ქალებს ვერ ვიტან. მაგრამ მან მაშინვე მომტაცა თვალი. გაეჩერდი, მივამტინე. ფეხები ზომიერად გაედგა გან-განზე, მარჯვენა თამამად წინ გამოენია, მარცხენა კი რალაცნაირად, თითქოს დაუდევრად დარჩენოდა უკან, ვითომ შემთხვევით... მარჯვენა ხელი ვიტრინისკენ გაენდინა, ნატიფი მტევანი ზევით აეპყრო, ხაზი ყველის აშლილ ფურცლებს მიუგავდა თლილი თითები. მარცხენა ხელით თითქოს ფეხებთან მოთამაშე ლეკვებს უპირებდა მოფერებას. თავი ოდნავ უკან ვედავგლო, ოლიონი დასთამაშებდა სახეზე, მოწყენილობაჩამდგარი თუ ნეტარებით გაყურსული თვალები ოდნავ დაეჭუტა. ვერ მიხვდებოდი, მოსწონდა თუ ყელში ამოსვლოდა ვარე სამყარო. უდავოდ ხელოვნური იყო ეს ყველაფერი, თუმცა, არც მე ვარ მარტივი კაცი. საოცარი ქალი იყო. ყოველდღე ვხედავდი, ხან - დღეში ორ-სამჯერაც. განწყობის მიხედვით სხვადასხვა პოზაში იდგა ხოლმე. ხანდახან, სწრაფად რომ ჩაუყრილბნდი ვიტრინას (სულ მეჩქარება) და მალულად შევაკლებდი თვალს, მეჩვენებოდა, რომ რალაცნაირად მიხვებდა, თითქოს სიცვიევი თავსუსაფარს მთავაზობდა. ის ქანცმიხდილი, უასლო უნდობლობაც არაერთხელ შემინიშნავს მასში, ბრიყვებს ქალურობა რომ ჰგონიათ.

ტანსაცმელზე ვაკვირდებოდი. მოდაზე ეცვა. გასაკვირი არცაა, მისი ხელობა ეს იყო. თუმცა იმ დამაქრული, ზერედე, უსქესი სისხისტის მისხალიც არ იყო მასში, რაც ასე მძულს იმ საკიდევით, აწონილ ქალებში, სული რომ ძლივს უდგათ და მალალი მოდის კუტურეიების ქმნილებებს დააზოხინებენ ამაზრზენი მუსიკების ფონ-

ზე იმ სულისშემხუთვალ სალონებში. ის სულ სხვა არსება იყო: მარტო კონკრეტული სტილის წარმოსაჩენად, კონკრეტული ეპოქის მოდის საჩვენებლად როდი შეექმნა ბუნებას. ამ ყველაფერზე მალდა იდგა, ამ ყველაფრის მიღმა. ტანსაცმელი მისი შექნიერების დანამატი იყო მხოლოდ. ძველი ქალების ტომარა რომ ნამოეცვა, მაინც მომზიბლავი იქნებოდა. მედიდურად ატარებდა ყველანაირ სამოსს, ყოველდღე იცვლიდა. მისი სხეული ტანსაცმლის ქვეშიდან ასხივებდა ბრწყინვალეებას... არადა, ყველაფერი ულამაზესი ეცვა. შემოდგომა იდგა. მუქი ჟანგისფერი მოსასხამები ამშვენებდა, გრძელი, გაშლილი, გლეხური ქვედაკაბები, ჭაობისფერი, ან ჩამავალი ბაჯალლო მზისფერი; ხანაც - მოუხეშავი ქსოვილი, თამბაქოსფერი კოსტუმები. გაზაფხული დადებოდა და კუმბოკრული მიტკლის მზიარულ ქვედაბოლოებს აფრიალებდა, ათასგვარი ხილით მონინქლული თეთრი ბატისტის პაეროვან პერანგებს, ფორუზისფერ ან მსუყე ზურმუხტისფერ აბრეშუმის კაბებს. დაიხ, შევნიშნე მისი ტანსაცმელი, რადგან ის ისევე გრძნობდა ქსოვილს, როგორც მეთვრამეტე საუკუნოს პორტრეტის დიდოსტატები შეიკრძნობდნენ მასალის ბარაქიან, დიდებულ ფაქტურას: მის სხეულზე მოლივლივე ქსოვილი ბოლომდე ამჟღავნებდა საკუთარ თვისებებს და ყოველი ნაკეცის, თითოეული გვირისტის სიფაქიზეში მთელი დიდებულებით აჩნდა ოსტატის დახვეწილ ხელოვნებას. ყოველ დანახვაზე ახალი მიმოხვრით, ახალი მოძრაობით იტალღებოდა მისი სხეული, თითქოს ბოლომდე ერგებოდა და იმეორებდა იმ ქმნილების ფორმასა და ფაქტურას, ლამაზ ტან-


ზე რომ ელაშენებოდა. მისი სრულქმნილი სხეულის უსულო გრაცია ნაზი კონტრასტული გამოკვეთდა თერძის მაღალი ოსტატობით ნაქარგ თვალისმომჭრელ არაბესკებს.

შორს წავიდა. გული გაგინწყალეთ ამ ლირიკულობით. დღე დღეს მისდევდა. ხან ყოველდღე ვხედავდი, ხან - დღეგამოშვებით ან დღეში რამდენჯერმე. მისი ნახვა-არ-ნახვა ძალაუზნებურად იქცა ჩემი ცხოვრების არსებით ნაწილად, მალე კი - ვერც მივხვდი, როგორ - მთავარ ღერძად. ვნახავდი დღეს? მისი ნახვა გააუფერულებდა, გადასწონიდა იმ დღის ყოველ წუთსა და წამს? შემომხედავდა? ვახსოვდი? მცნობდა? გვექონდა საერთო მომავალი? გაგებდავდი ოდესმე მასთან მიახლოებას? ღმერთო! რალა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს მილიარდებს ან სამი ქორწინების ნანგრევებზე ნაგროვებ სიბრძნესა და გამოცდილებას? მიყვარდა... მინდოდა, ჩემი ყოფილიყო. ამისთვის კი, როგორც ჩანს, მისი ყიდვა მომიხვედა.

ალბათ, ცოტაოდენი ჩემზეც უნდა გითხრა. მდიდარი კაცი ვარ. ლონდონში ათიოდე ადამიანი თუ იქნება ჩემზე მდიდარი. შეიძლება, სულაც ხუთი ან ექვსი. რა მნიშვნელობა აქვს ამას. მოკლედ, მდიდარი ვარ და მთელი ჩემი ქონება ტელეფონით გავაკეთე. შობას ორმოცდახუთი წლის ვხვდები. სამჯერ შევირთე ცოლი და ჩემმა ქორწინებებმა, ქრონოლოგიურად, რვა, ხუ-

თი და ორი წელი გასტანა. ბოლო სამ წელიწადში ცოლი აღარ შემირთავს, მაგრამ დრო უქმად არ გამიცდენია. ორმოცდაოთხი წლის კაცს გასაცდენი დრო არ აქვს. სულ მეჩქარება. ყოველთვის, როცა ჩემს სათესლე ჯირკვალში, თუ სადაცაა, ერეცის იმპულსი ისახება, ჩემს ცხოვრებაზე გათვლილი ორგანიზმების სრულ ოდენობას ერთი აკლდება. ფიქრის, თავისტების, შინაგანი ძიებებისა და სერიოზული ურთიერთობების დრო არ მაქვს. არ მჭირდება უხმო საყვედურები, მდუმარე თავდაცვა. არ მჭირდება ქალები, რომლებსაც სექსის შემდეგ ლაპარაკი უყვართ. მინდა, უხმოდ, უძრავად ვიწვე და ორგანიზმის შემდგომი სიმშვიდითა და ნათელი დაგტკბე. მერე წინდები და ფეხსაცმელი ჩავიცვამ, თმა გადავივარცხნო და საქმეებს მივხვდები. ამიტომ მირჩევნია ჩუმი ქალები, უხმოდ, თითქოს სრულიად უგრძობლად რომ ათავებენ. მთელ დღეს ხმაურში ვატარებ, ათასნაირი ხმა ჩამესმის ყოველი მხრიდან, ტელეფონზე, საუზმეზე, შეხვედრებზე. საწოლში ხმები აღარ მინდა. არ ვარმეთქი ადვილი კაცი, ვიძიებ, თუქ, არც ეს სამყაროა მარტივი. სამაგიეროდ, მოთხოვნები მაქვს მარტივი, ალბათ, მეტისმეტად მარტივიც. ყოველგვარი სულიერი ოხვრა-გმინვით გაუსწრელი, სუფთა სიამოვნება მირჩევნია.

უფრო სწორად, მერჩვენა, ადრე... სანამ ის



შემიყვარდებოდა, სანამ თვითგანადგურების მანერჩობლა ვნებას გაუფეხებდი გემოს, სრულიად გაუგებარი მიზეზით რომ ისახება და ღვივდება ადამიანში. თუმცა ახლა, ორმოცდამეხუთე დაბადების დღეს მიახლოებულია, რაში მანადღლებს მიზეზების რკვევა? თითქმის ყოველდღე ჩავუვლიდი მის მალაზიას და შეეცქეროდი. პირველ დღეებში მისთვის უბრალოდ თვალის მოკვრაც მყოფნიდა, მერე ჩემს საქმეზე გავზობოდი, კოლეგასთან, პარტნიორთან, საყვარელთან შეხახვედრავდი... ვერ ვიხსენებ, როდის მივხვდი, რომ შეყვარებული ვიყავი. ნელან ვთქვი, ჯერ ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, შემდეგ კი მისი მთავარი ღერძი ვახდა-მეთქი. არ ვიცი ეს როგორ მოხდა. როგორ მიქედება და თანდათან აღისფრდება ცისარტყელას ნარინჯისფერი? ადრე ვიტრინას ჩავუქროლებდი, წამით გავხედავდი ხოლმე. მერე შეყვარებულ კაცად ვიქცეო... მასზე... სრულიად თავდაზინებით შეყვარებულ კაცად. სხვა ქალები... სხვა ქალები, რომლებსაც ვიტრინაში ვხედავდი, არაფერს ნიშნავდნენ ჩემთვის. სადაც არ უნდა მდგარიყო ჩემი ელენი, მაშინვე ვხედავდი. სხვები უბრალოდ მანეკენები (ვაიძე, ჩემი სიყვარული), საძაგვლი თოჯინები იყვნენ. სილამაზის კამკამა მუხტით ფეთქავდა მასში სიცოცხლე. დიდხანს შევნატროდი შუშის მიღმა მისი წარბების ნახ მოხაზულობას, მისი ნატიფი ცხვირის კონტურს, ღიმილს, მოწყენილობასა თუ ნეტარებისაგან მინაბულ თვალებს (როგორ მივმხვდარიყავი, რომელი იყო?). ბედნიერი ვიყავი, რომ რამდენიმე ნაბიჯი მაშორებდა მას. სიყვარულისგან შემოიღმა წერილებიც კი მივწერე, ვაღიარებ. დღემდე ვინახავ იმ წერილებს. ელენი შევარქვი ("ძვირფასო, ელენ, რამე მანიშნე... ვიცი, რომ იცი..." და ამისთანები). მაგრამ მალე ისე დაეკარგე თავი, რომ მისი დაუფლებიან გარდა აღარაფერზე ვფიქრობდი. მინდოდა, ჩემი ყოფილიყო, შემეწონა, შემეხრებოდა, შემეჩქამა. მინდოდა, სანოლში გვერდით მყოფოდა, შევხებოდი. ცეცხლი მედებოდა, ისე შენადა, ჩემთვის გაეშალა ფეხები. მოსვენება არ მელარებოდა, სანამ მის ფეხქართად, ჩამოსხმულ ბარძაყებს შორის არ მოვექცეოდი და იმ გულისმომკვლელ ბაგეებს ენით არ დაეუსიებდი. ვიცოდი, მალე მომიწევდა მალაზიაში შესვლა და მისი ყიდვა.

ამაზე ადვილი რა არისო, იტყვი. მდიდარი ხარ, თუ მოისურვებ, მთელ მალაზიას იყიდი, ან მთელ ქუჩასო. ცხადია, იმ ქუჩასაც ვიყიდი და სხვა ბევრსაც, მაგრამ ეს უბრალოდ გარიგება არ იყო. მინის ნაკვეთს კი არ ვყიდულობდი ახალი სანარმოს გასახსნელად. ბიზნესში არავის არაფერს ჩუქნი, რისკავ და მორჩა. მაგრამ ამ საქმეში ვერ გავრისკავდი. ამ საქმეს ვერ ჩავაფლავებდი, ჩემი ელენი მინდოდა. ჩემი ელენი მჭირდებოდა. გულის სიღრმეში მეშინოდა, არ

გამეცა საკუთარი სასონარკვეთა. ვერ გამეგო, რა ჯობდა, შევაჭრება თუ პირდაპირ მეტის შეთავაზება. თუ მეტისმეტი მომივიდოდა, მაღაზიის დირექტორი დაეჭვდებოდა, რატომ ვაკეთებდი ამას? თუ ის მეტისთვის ძვირფასი იყო, შესაძლოა, სხვისთვისაც (დირექტორი საქმის კაცია) დიდი ფასი ჰქონოდა. არადა, უკვე რამდენიმე თვე გადიოდა, რაც ელენი იმ მაღაზიაში ჰყავდა. იქნებ მალე - ეს აზრი უკვე მოსვენებას აღარ მაძლევდა - მოემორებიანთ კიდევ, სულაც გაუნადგურებინათ.

ვიცოდი, რომ დასაკარგი დრო არ მქონდა და მეშინოდა.

ორშაბათი შევარჩიე: ნებისმიერ მაღაზიაში მშვიდი დღეა. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ სწორად მოვიქეცი, იქნებ შაბათი ჯობდა, ხალხმრავალი, უქმე დღე. მოკლედ, არ ვიცოდი, რა აჯობებდა. პირისპირ მდგარ სარკეებში არეკალი გამოსახულებებივით ეხლებოდა ერთმანეთს ჩემი ფიქრები. ღამე არ მეძინა, მეგობრებს ვეუხეშებოდი, საყვარელთან ველარაფერს ვახერხებდი, საქმეშიც უკან მივიდი. ერთი სიტყვით, გადაწყვეტილება უნდა მიმეღო და დღე შევარჩიე. ოქტომბერი იყო, გულის გამანვრლებლად ცრიდა. მძლილი დავითხოვე და მართო ნაველი მაღაზიაში. რა ექნა, წესის თანახმად, მევალედა, აღგინერო ჩემი ელენის პირველი საცხოვრებელი? ეს სულელური ჩვეულება სულ არ მანადღლებს. დიდი მაღაზია იყო, უშველებელი ფართი მხოლოდ ქალის ტანსაცმელსა და აქსესუარებს ეკავა. ესკალატორებიან დარბაზში მოწყენილება გამეფებოდა. კმარა. გეგმა მქონდა. შევედი.

მოლაპარაკების დეტალები უნდა გაგაცნოთ, სანამ იმ მომენტზე გადავალ, როდესაც სანატრელი არსება ხელში ავიტატე? დროს არ დავკარგავ. გამყიდველს დაველაპარაკე. ის მეორებს გამოელაპარაკა. მერე მესამეს დაუძახეს. სამივე ერთად მეოთხეს მოეთათბირა და მეოთხე ვილაც მეხუთის დასაძახებლად წავიდა. მეხუთე დირექტორის მოადგილე აღმორჩადა, ვიტრინების მოწყობა, თურმე, სწორედ მას ევალებოდა. ჩემ გააშემო შექუჩდნენ ცნობისმოყვარე ბავშვებივით, ფული, ძალაუფლება იყნოსეს, მაგრამ ვერ მიხვდნენ, როგორ ველაუფდი. ვუთხარი, უცნაური თხოვნა მაქვს-მეთქი. ავმუქდნენ, თვლებში არ მიყურებდნენ. აღვხნებული ვლაპარაკობდი. ვიტრინაში რომ პალტოა, იმის ყიდვა მინდა, ოღონდ ჩექმები და შარფიც მინდა ვიყიდე, რომელიც პალტოს ახლავს-მეთქი. მერე ვუთხარი, რომ ჩემი ცოლის დაბადების დღე იყო და მანეკენის (ღმერთო, ელენ!) ყიდვაც მინდოდა, ტანსაცმელს ასე უფრო ლამაზად დავახვედრებდი. მინდა, ცოლს სიურპრიზი მოვუწყო, უნდა დაემხმართო-მეთქი. აღვუწერე, გარდერობს როგორ გამოალებდა და იქ გამოწყობილი მანეკენი დახე-

დებოდა. ვეცადე, ცოცხლად დამეხატა სცენა. გამომივიდა. ვერაფერს მიხვდნენ. აღფრთოვანდნენ სიურპრიზით ვახარებელი ქალის წარმოდგენაზე. ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. მორიდებულად შემომხედეს. რა ქმარია! თითოეულმა თავი ჩემს ცოლად წარმოადგინა. ცხადია, თქვენც არ განყენიებით-მეთქი, ვუთხარი ბოლოს... რას ბრძანებითო, დირექტორის მოადგილემ დაბატებითი ვასამრჯელოს ვაგონებაც არ ისურვა და დაამატა, მოხარულები ვართ, რომ გეხმარებითო. ვიტრინისკენ ვამძივდა. უკან ავედევინე. სისხლისფერი ბურანი ჩამონვა ირგვლივ, ხელისგულები დამეცვარა, მეტყველების უნარი წამერთვა, გახევებული ენა კბილებზე ამეკრა, დაოსთებულმა, ძლივს ავნივ ხელი, რომ ელენზე მიმეთითებინა და ამოვივლულე: აი, ის.

ოდესღაც ვიყავი ადამიანი, რომელიც უდარდელად ჩაუტროლებდა ხოლმე მალაზიას და სწრაფად შეაგვლებდა თვალს ვიტრინას... ახლა უგონოდ შეეყვარებული კაცი ვიყავი, რომელსაც მანქანისკენ მიჰყავდა ხელში ატატებული სანატრელი არსება. მართალია, მალაზიაში შემომთავაზეს, ყველაფერს შეგიფოთათო, მაგრამ წარმოგდგენით მამაკაცი, თავის ერთადერთ სიყვარულს ოქტომბრის წვიმაში შიშველს რომ გაიყვანს ქუჩაში? მკლავებზე გადაწვნილი მიმყავდა და, ბედნიერებისგან გონებადბნელებული რაღაცას ვოდავდი. ის კი ტანზე მეკრობოდა, პანანინა მამიუნებით მებღალუჭებოდა პიჯაკის საყვლოზე. ვაიმე, ჩემო სიხარულო, ტკბილი ელენ. ფაქიზად გადავანვივინე უკანა სავარძლებზე და ციმციმ მივიყვანე სახლში.

ყველაფერი მზად მქონდა. ვიცოდი, რომ დასვენებას მოისურვებდა... საძინებელში შევიყვანე, ჩემქმები გაგზავნე და ახლადგებულ, ტკიცინა თეთრელში ჩავანვივინე. ნაზად ვაკოცე ლოყაზე, ჩემ თვალწინ ჩაეჩინა დაქანცულს. რამდენიმე საათი კაბინეტში ვმუშაობდი, მნიშვნელოვანი საქმეები მქონდა მოსაგვარებელი. მშვიდად ვგრძნობდი თავს, რალაცნარიდ, ზიგინდად ვიყავი ვაციკროვებული, გაბრუნდებილი. თითქოს შრომის უნარიც გამათავებოდა. მუშაობას მოვრჩი და ფეხის წვერებზე გავედი საძინებელში. ერთი უთქმელი სიმშვიდე და კდება გადაჰყვებოდა მძინარეს სახეზე. ბაგეები ოდნავ შეხსნოდა. დავიჩივრე და ტურქებზე დავეკოვრე. კაბინეტში გამოვბრუნდი, პორტო ჩამოვიხსი და ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლს მივუჯექი. განვლილ ცხოვრებაზე, წარუმატებელ ქორწინებებზე, ჩემს ბოლოდროინდელ სასონარკვეთაზე დავფიქრდი. მეჩვენებოდა, რომ იმ ტანჯვითა და უბედურებით დავიმსახურე ეს ბედნიერება. ახლა ჩემი ელენი მყავდა, ჩემს სანოლში ეძინა, ჩემს სახლში. არვიხი და აღარაფერი მანალვლებდა. ჩემი იყო. ათი საათი იქნებოდა, საბანქეშე მუშაუ-

ცურდი. ვფრთხილობდი, თუმცა ვიცოდი, ელენა. ახლაც გული მიბაგუნებს, როცა ვიხსენებ, რომ მაშინვე არც კი მიეკარებოდა ერთმანეთს. გვერდიგვერდ ვინეკით (ღმერთო, რა ცხელი იყო) და ვლაპარაკობდით. მოუწყვეი, როგორ დავინახე პირველად, როგორ გამიღვივდა გულში სიყვარული, როგორ გადავწყვიტე, მალაზიიდან წამომეყვანა. სამივე ქორწინებაზე მოუწყვეი, სამსახურზე, ჩემს საყვარლებზე. გადაწყვეტილი მქონდა, არაფერი დამემალა მისთვის. იმაზეც მოუწყვეი, რაზეც წელან, პორტოთი ხელში ვფიქრობდი, ცეცხლს მიჩერებულ. მომავალზე ველაპარაკებოდი, ჩვენს საერთო მომავალზე. ვუთხარი, რომ მიყვარდა, ჰო, ეს ნამდვილად ბევრჯერ გავუმეორე. მისთვის ჩვეული მდუმარე ყურადღებით და სითბოთი მისმენდა. მომინევიდა, მესწავლა ამ დუმილის პატივისცემა და სიყვარული. ხელზე მეფერებოდა, რალაცნარი, ბავშვური გაცოცხლები სახსე თვალებით მიყურებდი. პალტო ვაგზავდი. საწყალი გოგო. ქვეშ არაფერი ეცვა. არც ჩემს მეტი ჰყავდა ვინმე ამქვეყნად. მივიზიდე, მისი შიშველი სხეული ვიგრძენი ტანზე და უცებ, ფართოდ გახეილ თვალებში ენით გამოუთქმელი შიში დავინახე... ქალწილი იყო. რალაც უჭურჩულე. დაეპირდი, ფრთხილად ვიქნები, გამოცდილი კაცი ვარ, თავის გაკონტროლება შემიძლია, ნუ გეშინია-მეთქი. უბნოდ ჩავსრიალდი საბანქეშე, ბარძაყებს შორის მოვექეცი და ერთი ვიგრძენი მისი უმანკო და ავხორცი, სურნელოვანი სითბო. ხელზე ხელი მოვიკიდე. ქვევით ჩავაცურე მისი მტევანი. თლილი თითებით მეფერებოდა გამაგრებულ, მფეთქავ ასოზე (რა გრილი მქონდა ხელი). - ნუ გეშინია - ჩავჭურჩულე - ნუ გეშინია. და ისე უცებ, ნაზად შევეხრიალდი მასში, როგორც ვეებერთელა გემი ღამით - პანანინა, მოციმციმე ნავსადგურში. თვალებში რალაც გაუტურა, ტკივილივით, რომელიც წამში გადაფარა სიამის ტალღამ. მსგავსი ნეტარება არასოდეს განმეცადა. ბოლომდე გვესმოდა ერთმანეთის... თითქმის სრული იდილია იყო. თითქმის... უბნო ქალწული გაუმამლარ საყვარლად ქცეულიყო ჩემს ხელში. მეტი უნდოდა, ვერ ვანაყურებდი, არ მეშვებოდა, სულის ამოთქმის საშუალებას აღარ მაძლევდა. მთელი ღამე ასე ვაჭარეთ. მთელი ღამე კლდის ქიმთან იდგა თითქოს, წამიც და გადაეშვებოდა იმ ტკივილი სიკვდილის უძირო უფსკრულში... მაგრამ არა, ვერაფერი ვაძიულე (ყველაფერი ცვადე), ბოლომდე მისულიყო, ნეტარების ქვესკნელში გადაშვებულყო. დილის ხუთი საათი იქნებოდა, უცებ მოვწყვიდი მის სხეულს, ქანცალეული, გონებაამღერეული, გულმოკული და მარცხისაგან სასონარკვეთილი. კვლავ უბნოდ ვინეკით გვერდიგვერდ და მის დუმილში უთქმელი საყვედური ამოვიკითხე. განა მე არ წამოვიყვანე მალაზიიდან, სადაც, თავისთვის, მშვიდად ცხოვრობდა და სა-

წოლში არ ჩავინვინე? თავსაც ხომ ვინონებდი მასთან საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით? ხელზე ხელი მოვკიდე. მტრულად გახევევოდა. პანიკამ ამიტანა, მივხვდი, რომ შეეძლო, მივეტოვებინე. რა დროს ამაზე ფიქრი იყო, ჩვენ ხომ ახლა ვინყებდით ყველაფერს... თითქმის არაფერი ჰქონდა, რაც დააკავებდა. არც ფული, არც ხელთა, არც ტანსაცმელი, მაგრამ მაინც შეეძლო ჩემი მიტოვება. სხვა კაცები ხომ არსებობდნენ. შეეძლო, ისეც მაღაზიაში დაბრუნებულიყო სამუშაოდ. - ელენ - გული მიბაგუნებდა - ელენ... ხმას არ მესმოდა, უძრავად იწვა, მომიჩვენა, რომ სურთქვევდა კი იკავებდა. - ყველაფერი გამოგვივა, აი ნახავ... ნახავ... - და ისევ მის სხეულში ვიყავი, ჩემი სხეულის რიტმზე ვარნედი... ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ... და როცა ლონდონის თავზე გაქრობრის ღრუბლები აისის პირველმა სხივმა დაარღვია, ელენმა გაათავა, ხელში ჩამაღნა, ჩამაკვდა, სადღაც გაფრინდა და მიატოვა მთვარისქვეშეთი... პირველი ორგაზმი. კიდურები დაეჭიმა, მზერა სადღაც ჩაელვარა, ოკეანის დამანგრეველი ტალღასავით დაუარა ტანში კრუნჩხვამ და ბავშვით მოკუნტულს ჩაეძინა ჩემს მკლავებში.

მეორე დღით გვიან გამეღვიძა. ელენს ჩემს მკლავზე ძინა. ისე გამოვაცურე ხელი, რომ არ გამეღვიძებინა. საბინდან გამოვსრიალდი, ფაფუკი ხალათი გადავიცივი - ჩემი მეორე ცოლის საჩუქარი - და სამზარეულოში გავედი ყავის მოსამზადებლად. სხვა კაცი ვიყავი. მიმოვიხიდე. სამზარეულოს კედელზე უტრალიოს ნახატს გავხედე, მერე - როდენის ქანდაკების ასლს, წინა დღის გაზეთებს. ახლებური სხივი ჩასდგომოდა ძველ ნივთებს, თითქოს ველარაფერს ვცნობდი. ხელით მინდობდა, შევხებოდი ირგვლივ ყველაფერს. სამზარეულოს მაგიდის ხის ზედაპირს გადავუსვი გაშლილი ხელი. ვნეტარებდი, როცა ყავის მარცვლებს რაკარუკით ვყრიდი საფუქვებში, მწიფე ფორთოხალი გამოვიღე მაცივრიდან: მისი ქერქის გრილი ბორცვებიც მსვანირად იგრძნო ხელის ვულმა. მთელი სამყარო მიყვარდა, რადგან ჩემი ცხოვრების ქალი მყავდა გვერდით. ელენი მიყვარდა და ვიცოდი, რომ მასაც ვუყვარდი. თავისუფლება ვიგრძენი. სწრაფად გადავიკითხე დილის გაზეთები. მთელი დღე მახსოვდა უცხო ქვეყნების მინისტრების გვარ-სახელები იმ დილას თვალჩაყრული სტატეიებიდან. სასწრაფო წერილები დავწერე, გავიპარსე, წყალი გადავიფიქვე და ჩავიცივი. ელენს დავხვედ თოახში, ღრმად ეძინა, ნეტარებისგან გაათავულს. გვიან გაეღვიძა. ადგომა არ ისურვა, ტანსაცმელი არ ჰქონდა. მძლოლი გამოვიძახე და "უესთ ენდში" წავედი, ნახევარი დღე გვაგატარე მისთვის ტანსაცმლის ყიდვამდე. არ ვეტყვი, რამდენი დავხვარჯე, მაგრამ უკვე გითხარით, ლონდონში ბევრი არაა ჩემსავით მდიდარი. მხოლოდ ლიფი არ

მიყიდა. ყოველთვის მეზიზღებოდა ლიფები. მართლა გულს მირევს, თუმცა, მგონი, მხოლოდ სტუდენტურ გოგონას და ახალი გვინების აბორიგენი ქალები არ ხმარობენ ლიფს. ისინი და ელენი. არც ჩემს ელენს უყვარდა ლიფის ტარება. ამასი საშინლად გამიმართლა.

სახლში რომ დავბრუნდი, ელვიდა. მძლოლს ვუთხარი, მისაღებში დაეწყო ყუთები და დაგიუთხოვე. ნაყიდი ნივთები საძინებელში შევუტანე. ელენი მონუსხულივით შესცქეროდა ახალ ტანსაცმელს. თვალად უზრუნყინავდა, სურთქვა ევეროდა. ორასამდე ახალი კაბა ჰქონდა. ერთად შევარჩით, რა უნდა ჩაეცვა: გრძელი, ცისფერი აბრეშუმის, საღამოს კაბა. დავტოვე, რომ თავისი ახალი გარდერობით დამტკბარიყო და სამზარეულოში გავედი გემრიელი ვახშმის მოსამზადებლად. ცოტა ხანში უკან დავბრუნდი, რომ ჩამაცაში დავხმარებოდი. უძრავად იდგა, მოშვებული, მანებებდა, დავმტკბარიყავი მისი სილამაზით. თქმაც არ უნდა, რომ კაბა უნაკლოდ ადგა ტანზე. კიდევ ერთხელ მივხვდი, რა გვინალურად იცოდა ტანსაცმლის მორგება, ისე დავინახე ამ ქმნილების მშენიერება, როგორც არასდროს, არც ერთ მამაკაცს არ დავნახა... ნამდვილი ხელოვნება იყო ელენი, ხაზისა და ფორმის სრულყოფილება. გასხვოსნებული მეჩვენა. უხბომ შევხედეთ თვალელები ერთმანეთს. მერე ვკითხე, სახლს ხომ არ დაათვლიერებ-მეთქი.

ჯერ სამზარეულო დავათვალიერებინე. უტრილოც დავანახე კედელზე (თუმცა მოგვიანებოდა მივხვდი, რომ ფერწერა დიდად არ ხიბლავდა) და როდენის ასლიც ვუჩვენე. ხელში მივანოდე როდენი, მაგრამ თავი შეიკავა, არ გამომართვა. მერე აბახანაში გავიყვანე, რომ მარმარილოს ავენი მენახებოდა. ონკანების ნაცვალად ალებასტრის ლომები ანთხედნენ წყალს დაბჩენილი ხახებიდან. ვკითხე, ცოტა ზედმეტი ხომ მომივიდა და-მეთქი? ხმა არ გაუცია. სასადილო ოთახში შევიყვანე... სხვა ნახატებითაც მოვიწინე თავი. მგონი, გული გაუწყნალა. მერე ჩემს კაბინეტში შექსპირის პირველი ბექდური გამოვიცემა, ძველი ტელეფონები და სხვა ანტიკვარიატი დავათვალიერებინე. შეხვედრების ოთახიც ვანახე. ისე, რა საჭირო იყო ამდენი... გადავამლაშე. ბოლოს ელენი ვრცელ დარბაზში შევიყვანე, რომელსაც მე უზრალოდ ოთახს ვეძახი და ყველაზე მეტად მიყვარს ამ სახლში. აქ ვატარებ ყველაზე სასიამოვნო წუთებს, აქ ვისვენებ. ზედმეტი დეტალეზით თავს აღარ შეგანყენო... მოკლედ, კომფორტული და ფრიად ეგზოტიკური ოთახია.

მაშინვე მივხვდი, რომ ელენს მოეწონა ოთახი. დიდხანს იდგა ზღურბლზე, ნატოვი მკლავები ჩამოშვდა, თითქოს სურდა, თავად დამსვავსებოდა იმას, რასაც უყურებდა. რბილ, ფუმფუმულა მავარძელში ჩავსვი და ის დავუსხი, რაც სჭი-



რდებოდა: მშრალი მარტინი. ელენი სავარძელში დავტოვე და სამზარეულოს მივუბრუნდი. ეს იყო ყველაზე სასიამოვნო საღამო, რაც კი ოდესმე გამეტარებინა ქალთან, ან თუნდაც ნებისმიერ ადამიანთან. ათასჯერ მომიზადებია გემრიელი სადილი მეგობარი ქალებისთვის, მართლა შესანიშნავი მზარეული ვარ, მაგრამ აქამდე იმ საღამოებს ყოველთვის ამღვრევდა რაღაც. ქალები მუდამ დამნაშავედ გრძნობდნენ თავს, რომ მე ვამზადებდი ვახშამს და არა ისინი, რომ მე შემომქონდა კერძები, მე ვალაგებდი მაგიდას. გაუთავებლად, გაოცებულები ვიშვიშებდნენ ხოლმე, რომ მე, სამქორნინება გამოვლილი და თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე მამრი, ასეთ საოცარ კერძებს ვამზადებდი. ელენი - არა. ის ჩემი სტუმარი იყო და მორჩა. არც სამზარეულოში შემომვარდნია, არც გული გაუწყალებია შეკითხვებით: - მე რა გავაკეთო? რით დაგეხმარო? იყავი, როგორც სტუმარს შეჰფერის, მაცლიდა, და მეც ვემსახურებოდი. მერე, საუბარი?.. ჩემს სტუმარ ქალებთან საუბარი ბარიერებით სირბილს მაგონებდა ხოლმე, თხრილებითა და დასაძლევ სიმაღლეებით დანაღმულს, წინააღმდეგობებით, გაუგებრობებით, უთანხმოებებით, გაჯიბრებებითა და ათასი სხვა რამით სავსეს. ჩემთვის დიალოგი იდეალური მშინაა, როცა ორივე მხარეს აქვს საშუალება, შეუზღუდავად წარმოაჩინოს საკუთარი ნაფიქრი, ისე, რომ ყოველ წამს არ უწევდეს საწყისი მოცემულობის ხელახლა განსა-

ზღვრა, თავისი მოსაზრებების დაცვა, დასკვნების გამოტანა, მაშინაც, როცა არანაირი დასკვნა არ გააჩნია. ელენთან მოვახერხე ეს. შეეძელი, მესაუბრა მასთან. ის უძრავად იჯდა, თვალს არ აშორებდა რაღაც წერტილს თავისი თეფშის წინ და მისმენდა. უამრავი რამ ვუთხარი, რაც არასოდეს არავისთვის გამეგებია. ჩემს ბავშვობაზე მოვუყევი, მამაჩემის სიკვდილისწინა ხროტიწზე, ძრწოლაზე, რომლითაც დედა ალიქვამდა სექსუალობას სიცოცხლის ბოლომდე; პირველ სასიყვარულო თავგადასავალზე ჩემზე უფროს ბიძაშვილ გოგოსთან. მოვუყევი, როგორ მიდიოდა ქვეყნისა და მსოფლიოს ამბები, ვესაუბრე დეკადანსზე, ლიბერალიზმზე, თანამედროვე პროზაზე, ქორწინებაზე, ორგაზმზე და სხეულებზე. ისე გავიდა ხუთი საათი, ვერც კი შევნიშნეთ, ოთხი ბოთლი ღვინო და ნახევარიც - პორტო დავცვალეთ. საბრალო ელენი. ხელში ატატებული მივიყვანე სანოლთან და გავაშიშვლე. ტიტვლებს, ერთმანეთში გადახლართულებს ჩავეციხინა, ღრმა, ნეტარი ძილით.

ეს იყო ჩვენი ერთად გატარებული პირველი დღე. ასე გაატარეთ მომდევნო, ტკბილი თვეებიც. უბედნიერესი კაცი ვიყავი. ჩემს დროს ელენსა და ფულის კეთებას შორის ვანანილებდი. ფულის შოვნა კიდევ უფრო კარგად გამომიდოდა. ისე ვაგმდღერდი, რომ მთავრობაში გადანაცვოტეს, საშოში იყო, ჩემთვის რამე თანამდებობა არ შემოეთავაზებინათ. და როცა რაინდად დამასა-

ხელეს, დავთანხმდი და მე და ელენმა საგანგებოდაც აღვიშინეთ ეს მოვლენა, თუმცა, თანამდებობაზე უარი განვაცხადე. მთავრობა ყოველთვის ჩემს მეორე ცოლს მაგონებდა, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, დიდი ზეგავლენა ჰქონდა ქვეყნის მმართველ წრეებზე. შემოდგომა მალე ჩამთარსო გადაიზარდა, სულ მალე კი ჩემი ბაღის ნუშის ხეები კვირტებით გადაიპნენ და ხეივანში მუხებსაც ამოუნვერა პირველი, ხასხასა ფოთლები. ჩემი და ელენის ჰარმონიას არაფერი არღვევდა. ღამით სიყვარულით ვნეტარებდი, დღისით ფულს ვაკეთებდი და ვლაპარაკობდი, ელენი კი მისმენდა.

რა ბრიყვი ვიყავი. ხანგრძლივი ხომ ქვეყნად არაფერი. ეს ყველამ იცის, მაგრამ ყველას ჰგონია, რომ გამონაკლისი მაინც არსებობს. სამწუხაროდ, დროა, ბრაიანზე, ჩემს მძლოლზე, მოგვიყვებ.

ბრაიანი იდეალური მძლოლი იყო. ხმას მხოლოდ მაშინ იღებდა, თუ რამეს ჰკითხავდი და მხოლოდ პასუხით იფარგლებოდა. თავის წარსულზე, სურვილებზე, ხასიათზე კრიტიკა არასოდეს დაედრა და ეს სრულიად მაკმაყოფილებდა. არ მაინტერესებდა, საიდან იყო, რა უნდოდა ან თავი ვინ ეგონა. პროფესიონალურად, ზომიერად სწრაფად ატარებდა მანქანას. ყოველთვის იცოდა, სად გაეჩერებინა, სად დაეყენებინა მანქანა, სამინელო მოძრაობაშიც ახერხებდა, თანეში მოქცევადა მანქანების რიგს, იშვიათად, რომ საცობში გაჭედდებოდა. ყველა მოკლე გზა და ასახვევი იცოდა, ხუთი თითით იცნობდა ლონდონის ქუჩებს. დაუღალავი ადამიანი იყო. შეეძლო, მთელი ღამე ეცადა ჩემთვის, ნებისმიერ ადგილას, ისე, რომ არც სივარჯის მოუკიდებდა და არც პორნოგრაფიულ ჟურნალს გადაფურცლავდა. მუდამ იდეალურად გაკრიტიკებული ჰქონდა მანქანაც, ფეხსაცმელიცა და უნიფორმაც. ფერმკრთალი, ხმელი, მონესრიგებული კაცი იყო, ნებისმიერი ასაკის შეიძლებოდა ყოფილიყო, თვრამეტიდან ოცდაათამდეც წლამდე.

გავიკვირდებოდა ალბათ, რომ ასე ვამაყობდი ელენით და არასოდეს არავისთვის გამიკვირია ის. დიას, ჩემს არც ერთ მეგობარს არ ვანახებულენი. მეჩვენებოდა, რომ ჩემ გარდა არავინ სჭირდებოდა. მეც ასე მანყობდა. რატომ უნდა მეთვრა ძალით ლონდონის გატყლარჭულ წრეებში? თანაც, ელენი სამინელო მორცხვი იყო. თავიდან ჩემთანაც კი მორცხვობდა. არც ბრაიანთან დამიშვია გამონაკლისი. მართალი გითხრათ, არც მიფიქრია ამაზე, უბრალოდ, მძლოლს ოთახში არ ვუშვებდი, როცა იქ ელენი იყო. თუ სადმე ელენთან ერთად მსურდა ნასვლად, ბრაიანს ვითხოვდი (გარაჟის თავზე ცხოვრობდა) და თავად ვვადებოდი საჭესთან.

ყველაფერი მარტივად იყო. მაგრამ მერე ბზარი გაჩნდა. ნათლად მახსოვს, როდის დაიწყო ეს

ყველაფერი. მაისის შუა რიცხვები იქნებოდა, სამინელო დღე მქონდა, გასავათებული დავბრუნდი სახლში. მაშინ ჯერ არ ვიცოდი (თუმცა ეჭვი კი მქონდა), რომ ერთი პატარა შეცდომის გამო თითქმის მილიონი ფუნტი დავკარგე. თანაც, მხოლოდ ჩემი შეცდომა იყო. ელენი თავის საყვარელ სავარძელში იჯდა. ოთახში რომ შევედი, რაღაც დავიჭირე მის მზერაში, რაღაც უცნაური, მოუხელთებელი, აუხსენლად სისხლისგამყინავი. არ შევიძინე. ორივემ ჭიქა სკოჩი მიადევარი და თავი უკეთ ვიგრძინე. გვერდით გავუჯექი და დავუწყე მოყლი, როგორ გავატარე დღე, რა მოხდა, როგორ მომივიდა ის შეცდომა. ვუთხარი, ნარმოიდგინე, თავიდან სხვას დავაბრალე და მერე მისთვის ბოდიშის მოხდაც მომიინა-მეთქი... და ასე შემდეგ... ისეთ უსიამოვნო ეპოზოდებსაც ვუყვებოდი ხოლმე ელენს, რომ ლეგსაც მხოლოდ ცხოვრების მეგზურს თუ გაუზიარებ. ოცდაათამდეც წუთიც არ იქნებოდა გასული, რაც ვლაპარაკობდი და უცებ შევნიშნე, ელენი საერთოდ არ მისმენდა. მუხლებზე მოუქნელად დანყობილ საკუთარ ხელებს დასჩერებოდა. სადაც, აუტანლად შორს იყო. ისე შემადრწუნა ამ აღმოჩენამ, რომ რამდენიმე წუთი ვერაფერი მოვიფიქრე (პარალიზებული ვიყავი), ავტომატურად განვაგრძობდი ლაპარაკს. მაგრამ ბოლოს ვეღარ გავუძელი. სიტყვა შუაზე გავწყვიტე, წამოვდექი, ოთახიდან გავვედი და კარი გავიჯახე. ელენს არც გამოუხედავს. სამინელო ვიყავი გაცოფებული, ხმის გაცემაც არ შემეძლო მისთვის. სამზარეულოში დავჯექი და სკოჩი მოვიდეგი - კიდევ კარგი, სამსახურიდან გამოსულმა ვიყიდე. მერე აბახანაში შევედი წყლის გადასასვლელად.

ოთახში რომ დავბრუნდი, თავს აშკარად უკეთ ვგრძნობდი. მოვემეი, ცოტა ალკოჰოლიც მომეკიდა, მზად ვიყავი, დამეინწყებინა მომხდარი. ელენიც უფრო მომბლაბული მჩვენდა. მინდოდა, მეკითხა, რა მოხდა-მეთქი, მაგრამ ისევ ჩემს დღეზე წამოვიწყეთ საუბარი და იმედი მომეცა, რომ ყველაფერი ძველებურად იყო. უაზრობა იქნებოდა, ნელანდელს მიგრუნებოდი, ახლა, როცა ყველაფერი ჩვეულ ნესტრად დაბრუნებოდა. ნავახშმევს კარზე დარეკეს. იშვიათად ხდებოდა ასეთი რამ. წამოვდექი და წამით ელენის მზერაში იგივე შიში დავიჭირე, რაც ჩვენს პირველ ღამეს. ბრაიანი იყო. რაღაც ქალაქი მომიტანა ხელმოხანდა. მანქანის საბუთი იყო, მშვენივრად შეიძლებოდა, მეორე დილას მოვეგვეგრძობინა ის საქმე. სანამ ქალაქს ჩავყვებოდი, თვლის კიდით დავაფიქსირე, რომ ბრაიანს ჩემს მხარს უკან, ოთახისკენ ვაპრებოდა თვალი. - რამეს ეძებ? - ვკითხე მკვახედ. - არა, ბატონო. ხელი მოვუნერე და კარი მიხეხურე. გამახსენდა, რომ მანქანა გარაჟში ედგა ტექნიკური კონტროლისთვის, ამიტომ მთელი დღე

სახლში იქნებოდა. დილას სამსახურში ტაქსით წავედი. ეს ამბავი, თან ელენის უცნაური ქცევა... ამის გაფიქრებაზე ისეთი გულისრევა მომერია, რომ მეგონა, თავს ვერ შევიკავებდი და აბაზანში გავჯვრდი.

გული არ ამრევია. სარკეში ჩავიხედე. მიყურებდა კაცი, რომელიც შვიდ თვეში ორმოცდახუთის გახდებოდა, თვალების გარშემო სამი შემდეგარი ქორწინება შემოღარვოდა; ტუჩის უთხვარი ტელეფონზე გატარებულ წლებს მოემკვარა. სახეზე ცივი წყალი შევისხი და ელენთან დავბრუნდი. - ბრაიანი იყო - ვუთხარი. ხმა არ ამოული. თვალეში ვერ მიყურებდა. - ვიგრძენი, როგორ გაამიშრა ყული. ხმა ჩამეხრინნა. - ასეთ დროს არასოდეს მყოფი... - ის ისევე დუმდა. ან რას ველოდი? უცებ ადგებოდა და გამომიტყდებოდა, რომ ჩემი მძღოლის საყვარელი იყო? ელენი უხმო ქალი იყო, არ უჭირდა საკუთარი გრძნობების დამალვა. ვერც მე ვამხებდი, რასაც ვფიქრობდი. გული მისკდებოდა შიშისგან, რომ მართალი აღმოვჩნდებოდი. ვერ ავიტანდი, რომ დადასტურებულიყო ეჭვი, რომლის გაფიქრებაზეც კი ზიდავს გულ-მუცელს მიტრიალებდა. ისე, უაზროდ წარმოუთქვინს ის სიტყვები, რომ საშუალება მიმეცა ელენისთვის, განეგრძო თვალთმაქცობა... საშინლად მინდოდა, ეთქვა, ცდებოო, თუნდაც დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ტყუილდა. მივხვდი, რომ მის ხელთ ვიყავი.

იმ ღამეს ცალ-ცალკე გვეძინა. სტუმრების ოთახში გავიშალე ლოგინი. არ მინდოდა მარტო დაძინებოდა, ამის გაფიქრებაც კი გულს მიკლავდა. როგორც მასსოვს (საშინლად მქონდა გონება ამღვრეული), ვცდილობდი, მეხზაურა, საგანგებოდ ვფართხაფურთხოვდი, რომ ელენს ეკითხა, რას აკეთებო. მინდოდა, მისი გაოცება მომეხსინა, რომ ბედნიერად გატარებული ამდენი თვის შემდეგ, უსიტყვოდ, ცალკე ვიძლიდი ლოგინს. მინდოდა, ეთქვა, ნუ სულელობ, ჩვენს ლოგინში, ერთად დავიძინოთო. მაგრამ კრინტიც არ დაუტრავს. უხმოდ მიიღო ყველაფერი... მორჩა, ერთ სანოლში ვეღარ დავიძინებდი. მისი დუმილი მომაკვიდრებელ თანხმობას ნიშნავდა. ან, იქნებ, იყო მკრთალი, უსუსური შანსი (თვალეზა დაჭყეტილი ვინეკი სანოლში), რომ უბრალოდ გააღიზიანა ჩემმა კაპრიზებმა? ვეღარაფერი გამეგო. მთელი ღამე ვერ ამოვიგედი თავიდან ეს აზრები, ვწრიალებდი, ათასგვარად ვატრიალებდი გონებაში მომხდარს. იქნებ არასოდეს ენაზა ბრაიანი, იქნებ ეს ყველაფერი ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო? მძიმე დღე მქონდა, დაღლილი ვიყავი... ვერ ვიჯერებდი, რომ სხვადასხვა სანოლეში გვეძინა... ან რა უნდა მექნა? რა უნდა მეეთქვა? ათასი რამ ავწონ-დაწონე გონებაში, ვახუშტობდა, შურისმაძიებელი დღეობი, რამე ენამოსწრებელი გამოთქმა, რომელიც ნაშში ნაშისხვრევებად აქცევდა ჩვენს შორის აღმართულ

კედელს. იქნებ ახლა მასაც ევციდა, ფიქრობდა? თუ გემრიელად ეძინა? როგორ გამეგო ეს ისე, რომ არ მიმეხვედრებინა, თვალს რომ ვერ ვხეუჭავდი? რას ვიზამდი, რომ მივეტოვებინე? მუჭში ვყავი დიდ მომხრეული.

სიტყვები არ მეყოფა მომდევო კვირების განცდების აღსაწერად. კომპარი იყო. ერთი ალუნერელი საშინელება. ელენი შამფურზე ნამოგებული ხორცის ნაჭერივით მატრიალებდა ნელ ცეცხლზე. ვერ ვახერხებდი, თავი დამერწმუნებინა, რომ ჩემი ბრალი იყო ყველაფერი, თუმცა ახლა მეჯერა, შემედლო, ბოლო მომელო საკუთარი ტანჯვისთვის. სტუმრების ოთახში ძილი ნესად მექცა, სიამაყე ხელს მიშლიდა, საქორწინო სარეცელს დავბრუნებოდი. მინდოდა, ელენს გამოეთქვა ამის სურვილი. მას ჰქონდა სათქმელი ჩემთვის და არა - მე. ბროლივით სუფთა და უმანკო ვიყავი მის წინაშე. სასონარკვეთილსა და დაბნეულს, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. რამეს ხომ უნდა მოვბლაუჭებოდი... როგორც ხედავთ, გადავრჩი. ვაცვიდით, დავშორდით, ერთმანეთის მზერას თვალს ვარდებდით. სიგიჟე იყო, მაგრამ მეგონა, რომ თუ ვაძვლებდი და ხმას არ ამოვიღებდი, ელენი გაუცხდებოდა, დამელაპარაკებოდა, მეტყვოდა, რა ხდებოდა ჩვენს შორის. ნელ ცეცხლზე ვინვოდი. ღამით კომპარები მადღვიძებდა აკვირებულს, ცივ ოფლივ გაღვრილს, საღამოობით საათობით ვფიქრობდი და ვცდილობდი, ხელახლა გამეზარებინა, რაც თავს დამატყდა. საქმეებს ვერ მივატოვებდი, ხშირად მიწვევდა გამგზავრება, ხანდახან ასობით კილომეტრზეც და დარწმუნებულ ვიყავი, ბრაიანი და ელენი ზეიმოდნენ ჩემს სიშორეს. აეროპორტებიდან, სასტუმროებიდან ვრეკავდი სახლში, მაგრამ არასოდეს არავინ მპასუხობდა. ზარებს შორის მკაფიოდ ჩამესმოდა სანოლ ოთახში ნეტარების მწვერვალზე მყოფი ელენის გმიწვა. გონებას შავნელი ფიქრები მიბინდავდა, თვალეზა - ცრემლები. რასაც არ უნდა მიეპყრო ჩემი მზერა და გონება, ლეკვამ მოთამაშე ბავშვი იქნებოდა, მდინარეში არაკლივი ჩამავალი მზის ლიცლიცა სხივები თუ სარეკლამო ტექსტი, მაშინვე გული მიჩუყდებოდა. და როგორც კი, შორეული მოგზაურებიდან სითბოსა და სიყვარულს დანატრებულნი, სახლის ზღურბლს გადავაბიჯებდი, ვგრძობოდი, რომ ბრაიანი ახალი ნასული იყო. არაფერი მქონდა ხელშესახები, მაგრამ მისი ყოფნის შეგრძნება ჰაერში ტრიალებდა, რაღაც იყო სხვანაირი იდეალურად გასწორებული სანოლში, სხვაგვარი სუნი - აბაზანაში, სკოჩის ბოთლიც კი უჩვეულოდ იდგა სინზე. ელენი არ იმჩნევდა ჩემს იქ ყოფნას, გამწარებული დავქროდი ოთახიდან ოთახში, კედლებს ვანყევდობდი, მას კი ვითოო არ ესმოდა ჩემი სასწორეკეთილი სლუკუნი აბაზანიდან. ალბათ მკითხავთ, რატომ არ დავითხოვე მძღოლი. პასუხი

მარტივია: მეშინოდა, ბრაიანი რომ წასულიყო, ელენი თან გაყვებოდა. მძლოლთან არასოდეს არაფერი შემომჩნევია. რასაც ვეტყვობ, იმას ასარაფრად, მარად ინარჩუნებდა იმ თავის ცივ თავაზიანობას. არაფერი შემინიშნავს მის ქცევაში განსხვავებული, თუმცა, ყურადღებით არც დავკვირვებოვარ. დარწმუნებული ვარ, არასოდეს უფიქრია, რომ ყველაფერი ვიცოდი. ესლა მაძლევდა მასზე გარკვეული უპირატესობის შეგრძნებას.

მაგრამ ეს ყველაფერი პერიფერიული, უმნიშვნელო დეტალებია. სინამდვილეში შიგნიდან ვიხრწნებოდი. ვისპობოდი, ვინადგურდებოდი. ტელეფონზე მქინებოდა. თმის ცვენა დამეწყო, პირი წყლულებით გამეცხო, ჩემს ამონასუნთქს გახრწნილი ლემის სიმყარე მოყვებოდა. შევნიშნე, რომ კოლეგები, როცა ველაპარაკებოდი, უკან იხევდნენ. საჯდომი ჩირქიანი ფურუნკულებით ამევსო. განადგურებული ვიყავი. დამარცხებული. ვაცნობიერებდი, რა ფუჭი იყო ჩემი ლობი. აღარაფერი გვაკავშირებდა მე და ელენს, იმედი მენურებოდა. თუ სახლში ვიყავი, მთელ დღეს სავარძელში ატარებდა. ხანდახან დამითაც იქ რჩებოდა. დილაობით ხშირად დამხვედრია სავარძელში უშრავად, ხალიჩის სახატებს დასწერებოდა. ხშირად საღამოს, სახლში დაბრუნებულსაც ასე გაუხრევლად, იმავე ადგილზე მხედებოდა. ზეცამ იცის, როგორ მინდოდა, დავხმარებოდი, მიყვარდა. მაგრამ ვერაფერი გვაჯამებოდა, სანამ ის არ მოინდომებდა ჩემს დახმარებას. საკუთარი გონების სასონარკვეთილ მინისქვეშეთში გამოვიკეტე, გამოსავალს ვერ ვხედავდი. ადამიანი, ოდესღაც სულ რომ საღაც მიჩქაროდა და სწრაფად შეაგლეზდა თვალს მალაზიის ვიტრინებს, პირაპროლებულ კაცად ქცეულიყო, რომელსაც წყლულები და ფურუნკულები უღამობდა სხეულს. ცოცხლად ვიხრწნებოდი.

სამკვირიანი კომპარის შემდეგ, როცა მივხვდი, რომ არაფერი შეიცვლებოდა, გადავწყვიტე, დუმილი დამერღვია. დასაკარგი აღარაფერი მქონდა. მთელი დღე ჰშიდ პარკში გავატარე, ვცდილობდი, ჩემი დღეფანტული გონების უკანასკნელი სალი ძაფები მომეკრიბა, ნებისყოფისთვის მომეხმო, მთელი ჩემი სითბო და გულისხმიერება მომეკრიბა იმ საღამოს. სკოჩით ვაკრიბხვევ თავი და საღამოს შეიდ საათზე ფეხაკრეფით მივუახლოვდი საძინებლის კარებს. მეორე დღე იყო, ელენი ოთახიდან არ გამოდიოდა. ჩუმად დავუკაკუნე, დაველოდე. პასუხი არ ისმოდა, კარი შევალე. ჩაცმული იწვა საწოლზე, ხელები სწორად, სხეულის გასწვრივ ჩამოემუვა. გაცრეცილი, ჩითის წინსაფარი ეკეთა. ფეხები გაემშალა და თავი ოდნავ გვერდულად ედო ბალიშზე. თითქოს ძლივს მიცნო, რაღაც გაუკრთა მზერაში. გული ამოვარდნაზე მქონდა, ჩემმა გა-

მონასუნთქმა მზუთავი კვამლივით გაავსო ოთახი. - ელენ - ვუთხარი და გაეჩერდი, რომ ხმა ჩამეწმინდა. - მერე ხმის ამოღება არც დადავრადე, ყველაფერი ერთად ვუთხარი. ვუთხარი, რომ ვიცოდი მის საყვარელზე. ფურუნკულის ამბავიც კი გაუშხილე. მუხლი მოვიყარე საწოლთან. - ელენ, - ვემუდარებოდი - ასეთი ლამაზი, ასეთი მნიშვნელოვანი იყო ორივესთვის ჩვენი ურთიერთობა. იქნებ გადავარჩინო ჩვენი სიყვარული. - დუმილი. თვალზე დახუჭული მქონდა, მომეჩვენა, რომ ვიგრძენი, როგორ ამომივიდა სული სხეულიდან, მაკი ღრუბელივით ამოიშალა, მერე დააბატარადა და ქინძისთავითი წერლი, ნითულ სხივად გადაიქცა. თვალი ვავახილდი, შევხვდე. ელენის მზერაში მშვიდი, შიშველი ზიზღი დავინახე. ყველაფერი დამთავრებული იყო. გონება დამიბნელდა და ერთბაშად მომანვა ორი აზრი, ორი დაუძლეველი და ერთმანეთის მხავისი სურვილი: გამეუპატოურებინა და მომეკლა. გაუაზრებელი მოძრაობით ავაგლიჯე წინსაფარი. შიგნით არაფერი ეცვა. ჩასუნთქვაც ვერ მოასწრო, ისე მოვექციე ზევიდან. ნამში აღმოვჩინდი მასში, გიჟივით, ლონივრად, დაუზოგავად გუბიძგებდი, ვცდილობდი, რაც შეიძლება, ღრმად შემეძლია, როგორც ვერძი - რქებით რომ ეკვეთება მეტოქეს. მარჯვენა ხელი ნაზ, ქათქათა ყელზე შემოვაჭდე, მარცხენათი კი ბალიში დავაფარე სახეზე.

სული რომ დალია, იმ წამს გავათათვე. სიამყარი ვამბობ ამას. ვიცი, სიკვდილი მისთვის უძირ ვასტარების წამი იყო, ბალიშის ქვეშდან მესმოდა მისი ღმუილი. ჩემი სიტკბოების აღწერით თავს აღარ მოგაბუზრებთ. ნამდვილი ფერისცვალება ვიგრძენი. ელენი უსულოდ იწვა ჩემ ქვეშ. რამდენიმე წუთი დამეჭირა, რომ გამაზრებინა, რა ჩავიდინე. ჩემი ძვირფასი, ტკბილი, სათუთი ელენი ეკვდარი იწვა, უსულო და საწყისლოლად შიშველი. გონება დავკარგე. როცა გონს მოვეკე, მომეჩვენა, რომ უსაშველოდ დიდი დრო ვასულიყო. გვამი რომ დავინახე, თავის მიზრუნებაც ვერ მოვასწარი, ისე ამერია გული ზედ ელენის სხეულზე. მთვარეულივით გაელასლასადი სამზარეულოში, დანას დავწვიდი და ნაკუნებად ვაქციე უჭრილოს ტილო. როდენის ასლი ნაგავში ჩაუქდახე. დედმოპოხია, გადარეულივით დავექრდი ოთახებში და ელენავდი ყველაფერს, რაც ხელში მომხვედებოდა. მხოლოდ სკოჩის ბოთლის გამოსაცელოდ შევჩერდი ერთხელ. ვერმეერი, ბლეიკი, რიჩარდ დედი, პოლ ნეში, როტკო... ვფხრენდი, ვამსხერედი, ფეხით ვთელავდი, ვწიხლავდი, ვამარდავდი და ზედ ვარწყევდი ჩემს ძვირფას ქონებას... ჩემს ფასდაუდებელ... ვცეკვავდი, ვმღერობდი, ვხარხარებდი... დიდხანს, დიდხანს მოეთქვამდი ღამეში.

კოკერი თეატრში

ფიცარნაგი მტვრიანი იყო, სიღრმეში სანახევროდ შედებული კედელი მოჩანდა. სცენაზე ტიტველი ადამიანები იდგნენ. პროექტორების ჩახჩახა მუქზე თვალისმომჭრელად ჩანდა ხალიჩაზე უღიანი ტანების სიბიძგე და იატაკზე დაფენილი მტვერი. ჩამოსაჯდომი არსად იყო და ასე, რალაცნაირად, უმწეოდ ჩამომდგარიყვნენ, არც ჯვზე შქონდათ, ხელები რომ ჩაენწყოთ, არც სივარეტი.

- პირველად ხარ? - ყველანი პირველად იყვნენ, მაგრამ ეს მხოლოდ რეჟისორმა იცოდა. ზოგიერთები კი იცნობდნენ ერთმანეთს, დროდადრო რალაცნაირად გადუქურქულდნენ ხოლმე ვეკრდით მდგომს. როგორ გინდა, დედობილა უცნობს გაუბაასი? ჰოდა, ვერ ახერხებდნენ. პროფესიონალები - ცხადია, პროფესიული მიზნები - გარკვეულ ადგილებში აკვირდებოდნენ ერთმანეთს, დანარჩენები კი - რეჟისორის მეგობრები, ცოტა ფულის საშოვნად რომ იყვნენ აქ - მალულად ათავალიერებდნენ გოგოებს. დარბაზის ბოლოში უსმინდა კოსტიუმების ოსტატთან თათბირი მოათავა და უელსური აქცენტით გასძახა სცენისკენ:

- ხო ყველა დადამირთ, ბიჭებო? ძალიან კარგი. - (ისე, შეითვისება არაფის უპასუხია) - იცოდეთ, ვისაც აღდგება, გარეთ გავისვრია. სამაიმუნოდ არ ვართ აქ. - გოგოებს გაეცინათ. რამდენიმე ბიჭმა - დამწყებებმა - უკან დაიხია, თითქოს სურდათ, სინათლეს მორიდებოდნენ. სცენის მუშებმა ვეებერთელა, დახვეული ხალიჩა შემოიტანეს. - ზურგებს უფრთხილდით - უთხრა ერთმა ახალგაზრდებს. იმათ კიდევ უფრო ტიტველად იგრძნეს თავი. მიჭყლებდნენ რეჟისორს, თეთრპერანაგა ტიპმა მაგნიტოფონი ჩართო სუფლიონის ჯისურში. დამცინავი სახით იზნადებდა ფირს. სექსის სცენა.

- ჯეისი ჩართე, ჯექ - უთხრა უსმინმა - მინდა, ჯერ მოისმინო, სანამ დავიწყებ. სცენაზე ოთხი ვეებერთელა დინამიკი იყო დამონტაჟებული.

"მოგესხებოდა, სექსი ფრიად ინტიმური რამაა, ჰოდა, გეტყვით, ჩემო კარგებო, რომ მარჯვნივ თუ მარცხნივ, ზემოთ თუ ქვემოთ, ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-სამი... ჩვენი ცხოვრება ერთი დიდი, კოლექტიური ფიშობაა."

სამხედრო ორკესტრი უკრავდა, ვიოლინები წრიპინებდნენ, გუნდის შემდეგ ტრომბონების, დაირებებისა და ზანზალაკების ხალისიანი მარში შემოდიოდა ორ ტემპში. უსმინი სცენას მოუახლოვდა.

- აბა, ესეც თქვენი სატყნაურო მუსიკა. - პერანგის უნდა ლილი შეისხა. მისი დაწერილი იყო.

- დელი სადაა? დელი ინდა! - სცენის სიღრმიდან ქორეოგრაფი ქალი გამოჩნდა. მოხდენილი ლაბადა ეცვა. გამზდარ ნელზე მალალი ქაპარი შემოეჭირა. მკერდი თითქმის არ შქონდა, მზის სათვალუ ეკეთა და გადატყეცილი თმა ჩალმაშ დაემა-

ლა. სიარულისას მაკრატელს ჰგავდა შორიდან. უსმინმა, არც მიბრუნებულა, ისე დაუფერია მამაკაცს, პარტერის უკან კარიდან რომ გადიოდა:

- მინდა-მეთუ ის პარიკები, პარი. ფესმის? თუ პარიკები არ იქნება, შენც არაფერში მჭირდები. - და პირველ რიგში დაჯდა. ხელები მლოცველივით შეატყუპა ცხვირთან და ფეხი ფეხზე გადაიდო. დელი სცენაზე ავიდა. ფიცარნაგზე, ხალიჩის შუაში დადგა და დონიჯი მოიყარა: - გოგოები იატაკზე ნევიან, V-ს ფორმაზე, ხუთი იქით, ხუთი - აქით. თავად იქ დადგა, სადაც კომპოზიციის წვერი უნდა ყოფილიყო. გოგოები დასხდნენ, დელი მათ შორის დაფაცურებდა, აქეთ-იქით აჩოჩებდა, ასწორებდა ტიტველ სხეულებს. მახვილი, ნაგრძელეული კუთხე გააკეთა, მერე ცოტა გაავანერა, მერე ისევ შეავანეროდა, მერე რკალთან მოამრავალა და ბოლოს საერთოდ ნახევარმთავარსავით გაშალა. საბოლოოდ ისევ V-ს ფორმაზე განალავა გოგოები.

- შესანიშნავია, დელი. - კომპოზიციის წვერი სცენის სიღრმისკენ იყო მიმართული. დელიმა ერთი გოგო ნამოაყნა შუიდან და წერში მყოფით ჩანაცვლა. ხმას არ იუბნდა, იდევეში ნაწავილებს ხელს რომელიმეს, ნამოაპორნილებდა, ადგილს უცვლიდა. თვალები არ უჩანდა იმ მუქმუშებიან სათვალეში, ვერ მიხვდებოდი, რა უნდადა, ვის უყურებდა. მერე ბიჭები ჩამოაროგა გოგოებთან: ზურგში უბიძგებდა ახალგაზრდებს და ისე უთითებდა ყველას თავ-თავის პარტნიორს. წყვილებს ფეხები შეუერთა, ბეჭები საგულდაგულად გაუსწორა, თავებიც სათანადოდ დაუყნა და ერთმანეთს ჩახუტა. უსმინმა სივარეტს მოუკიდა. ფიცარნაგზე დაფენილ ხალიჩაზე ორ მწკრივად განლაგებული ათი წყვილი კუთხეც კრავდა სცენის ბოლოში.

როგორც იქნა, დელი მორჩა და ნელში გაიმართა: - ტაშს რომ დაუკრავ, მოძრაობას იწყებთ, წინ და უკან იხრებით, ტალღისებურად, ყველანი ერთ ტემპში!

რხევა აღმწყეს. ბავშვებს ჰგავდნენ, ნიშბოსნობანას რომ თამაშობენ. რეჟისორი ისევ პარტერის სიღრმეში გადაჯდა.

- საყვარელო, უფრო მკვეთრად უნდა იმოძრაონ, აქედან ეფეჭი საერთოდ არ იგრძნობა. - გამოსძახა დელი. დელიმა კიდევ უფრო მიატყუპა წყვილები. ახალგაზრდები ბოქვენებით ეხახუნებოდნენ ერთმანეთს. უჭრდათ ერთ ტემპში მოძრაობა. განაფვის ამბავი იყო, მეტი არაფერი. გვერდიდან ერთი წყვილი გადაყირავდა და გოგომ იატაკს დაარტყა თავი. ნამოინა, უხერხულად მოიქცა და რტყმული ადგილი. დელი მოუახლოვდა, დონიერად გაუსვა ხელისგული თავზე, ნამოსვა და საგულდაგულად გაასწორა. უსმინი გრძელი ნახტომებით მივიდა სცენასთან.

- მუსიკაზე ცვალოთ. ჯექ, მიდი. ბიჭებო, გოგო-



ებო, ყურადღებით, ხომ გახსოვთ, გუნდის შემდეგ
ორ ტემპში გრძელდება.

“მოგხსენებთ, სექსი ფრიად ინტიმური რამაა...”

შიშველი ხეულები ისევ ტალღისებურად მოძ-
რაობდნენ სცენაზე. დეილი ტაშს უჯრავდა. ერთი,
ორი, სამი, ოთხი. ჟასმინი დონიჯუშემოყრილი იდგა
პარტერის შუაგულში. უცებ ხელები გამალა და აყ-
ვირდა:

- ვიცი, ძნელია, მაგრამ ისეთი იერი უნდა გქონ-
დეთ, თითქოს ძალიან გიაშოვნებთ! - (ხმას აუწია)
- ზოგა მართლა მოსწონს ეს საქმე, გავიწილი გექ-
ნებათ, ალბათ. ფიქარობთ, ხალხო, პანაშვილზე კი არ
ხართ! - ისევ დაუნია ხმას: - თავიდან ვინწყებთ. მე-
ტი ენოუზიაში მინდა. ჯექ, მიდი, თავიდან. - დეი-
ლმა საგულდაგულოდ გაასწორა წვეცილები, რომ-
ლებიც ამ რხევა-რხევაში მწკრივდებოდა გამოსული-
ყვნენ. ჟასმინი კვლავ მიუახლოვდა ფიცარნაგს. დე-
ილი გვერდით ამოუდგა. ერთად გახედეს სცენას.
ჟასმინმა ხელი გადახვია ქალს და მუქ სათვალეში
შესცინა:

- კარგია, საყვარელო, მშვენიერი გამოდის.
დეილმა ჩუმად ჩაილაპარაკა: - ის ორი, ბოლო-
ში, შესანიშნავად მოძრაობს. - ყველას რომ ასე ეს-
მოდეს დავალება, უმუშევარი დავჩვენებოდა.

“ზევით-ქვევით! ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-
სამი! ვფიქრობთ, ვფიქრობთ!”

დეილი ტაშით ეხმარებოდა, რიტმიდან რომ არ
ამოვარდნილიყვნენ. ჟასმინი პირველ რიგში იჯდა,
ანკოდა, სცენას აკვირდებოდა. უცებ დეილს გას-
ძახა:

- ისინი, ბოლოში... - ყურზე იკიდებდა ხელს, ან-
იშნებდა, მომისმინეო. ვერ გაავგონა. წამოდგა, სცე-
ნას მიუახლოვდა.

- ის ორნი, ბოლოში, მგონი ცოტა ჩქარობენ,
არა? - ერთად გახედეს წვეცილს. გოგო და ბიჭი, ნე-
დად რომ ასე სანიმუშოდ მოძრაობდნენ, აშკარად
ამოვარდნილიყვნენ რიტმიდან. ჟასმინმა ისევ ნი-
კაპქვეშ ამოიღო ხელები, დეილმა კი მაკრატელა
ნაბიჯებით გადაჭრა სცენა, თავზე წამოაღდა ახა-
ლგაზრდებს და ტაში შემოკრა.

- ერთი-ორი-სამი! - დასქექა. მაგრამ იმათ არც
დეილის ხმა ესმოდათ, არც ტრომბონების, არც და-
ირების და არც ზანზალაკების.

- ამის დედაც, ერთი-ორი-სამი! - ისევ დაჰკვი-
ლა დეილმა. მერე ჟასმინს გამოხედა: - გაგვიფიქ-
რიტმის ზურზე არ არიან!

მაგრამ ჟასმინს მისი ხმა აღარ ესმოდა, თავადა-
ც ბლაოდა პარტერიდან:

- მორჩა, სტოპ! გამორთე-მეთქი ეგ დედააფე-
თქებული, ჯექ! - ახალგაზრდები გაჩერდნენ. ყვე-
ლანი, ბოლო წვეცილის ვარდა. მთელი დარბაზი მათ
მისჩერებოდა. სულ უფრო სწრაფად ირბოვდნენ.
თავიანთი რიტმი კი ჰქონდათ, ვერაფერს იტყო-
დი, რალაცნარი, დატეხილი, კონველსიური, ურ-
იტმო რიტმი.

- ღმერთო! - აღმოხდა ჟასმინს. - ესენი მართ-
ლა ფიქარობენ. - სცენის მუშებს ეცა: - გამორთე
ერთმანეთს და მორჩით ქირქილს, თორემ მთელ
ლონდონში სამსახური არ გეღირსებათ! - მერე
სხვებს დაუყვირა: - დაიკარგეთ აქედან, ახლავე!
ნახევარ საათში სცენაზე იყავით ისევე არა, უფრო
სწრაფად, დარჩით. - დეილს მუხბურუნდა. ბზარი ჰქო-
ნდა ხმაში: - მაპატიე, გეზვენებო, ვიცი, რასაც
გრძნობ. რა გულისამრევია. ჩემი ბრალია. თავიდა-
წვე უნდა შემემოწმებინა ყველანი. ასეთი რამ აღარ
მხობდა. - სანამ ის ლაპარაკობდა, დეილმა ნელა
დაიხია უკან, სცენის სიღრმისკენ, და კულისებში
გაუჩინარდა. წვეცილი ახლა მუსიკის გარეშე ირწე-
ოდა. დარბაზში მხოლოდ ფიცარნაგის ჭრიალი და
გოგოს მოვუღვლევი კვნესა ისმოდა. სცენის მუშები
გაშტერებულები ედგნენ თავზე, აღარ იცოდნენ,
რა ექნათ.

- გამორთე-მეთქი ერთმანეთს! - ისევ იბღაე-
ლა ჟასმინმა. ერთ-ერთი მხრებში სწვდა ბიჭს, ცდი-
ლობდა, გამოენია, მაგრამ მის გაოფლოვ კანზე ხე-
ლი უცდებოდა, ვერ მოეჭიდა. ჟასმინმა ზურგი აქ-
ცია სცენას. თვალმით ცრემლით ჰქონდა სასვე. ვერ
იჯერებდა. გოგო-ბიჭები რკალად იდგნენ და სან-
ხაობას მისჩერებოდნენ. თითქოს მოსწონდათ კიდ-
ეც. სცენის მუშამ, ნედან რომ უშედეგოდ ცდილო-
ბდა წვეცილის განცალკევებას, ვედროთი წყალი შე-
მოიტანა. ჟასმინმა ცხვირი მოიხოცა.

- გვეყოფა, სასაცილოა უკვე. - გამოსცრა. - გაა-
თათნო ბარემ. - სიტყვა არ დაესრულებინა, იმათ ერ-
თი ამოგვირნეს და გაათავეს კიდევ. სხეულები ძლი-
ერი ბიძგიტ მოსწყდნენ ერთმანეთს, გოგო წამოხ-
ტა და კულისებში მიიმალა. ბიჭი ფეხზე იდგა, მარ-
ტო. ჟასმინი სცენაზე ავიდა და მიუახლოვდა. ბრა-
ზისგან აკანკალებდა.

- ყოჩად, ყოჩად, პორტნოი, მაგარი იყო? ხომ
უკეთ ხარ ახლა? - ახალგაზრდა კაცს ხელები ზურ-
გზე ესყო. განთილებული, სველი, ნებოვანი ასო
მსუბუქად უფეთქავდა.

- დიახ, გამდლობთ, მისტერ კლივერ. - უპასუხა.

- რა გქვია, ჩემო კარგო?

- კოკერი. - სუფიორის ვიხუროდან ჯევის ხვი-
ხვინი მოისმა. ყველაზე მეტად ჰგავდა სიცილს იმ
ბგერებიდან, რასაც ჯევი გამოსცემდა ხოლმე. და-
ნარჩენებმა ტუჩები ჩაიკვნიტეს. ჟასმინმა ღრმად
ამოიხიზრა.

- ძალიან კარგი, კოკერ, შენცა და ეგ შენი კა-
ცუნცა, ზედ რომ გაბათა, გაქრით აქედან. ჩემმა თვა-
ლებმა აღარ დაგინახოთ. შეგიძლია, ნელიც თან წა-
იყოლო. იმედი, სადმე ნახათ განიერ საფლავს,
ორივე ერთად რომ დაგითვით.

- აუცილებლად ვნახავთ, მისტერ კლივერ, გამა-
დლობთ. ჟასმინი პარტერისკენ ვატრიალდა.

- დანარჩენები ადგილებზე - ჩაილაპარაკა და
დაჯდა. იყო ხოლმე დღეები, როცა კლივერი სია-
მოვნებით იტრებდა. მაგრამ არ უტირია, სივარ-
ეტს მიუთქიდა.


ახალი წიგნები სერიაში

მსოფლიო კლასიკა

გაქორწინებული
სამართალი


სერით „მსოფლიო კლასიკა“ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ საყოველთაოდ აღიარებული თანამედროვე მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებს გამოცემს.

უკვე გამოვიდა: მიშელ უელბეკის „პლატფორმა“, ორპან ფამუქის „მე წითელი მქვია“, მაქს ფრიშის „HOMO FABER. ვიქნები თუნდაც განტენზიანი“, კობო აბეს „ქალი ქვიშაში, ადამიანი ყუთი“, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ფუსტი“, ჯეიმს ჯოისის „ულისე“, უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“, პერმან ჰესეს „ტრამაღის მგელი“, თომას მანის „ჯადოსნური მთა“, კნუტ ჰამსუნის „მისტერები“, უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონი“, მარიო ვარგას ლიოსას „დეიდა ხულია“, მიგელ ანხელ ასტურიასის „სენიორ პრეზიდენტი“, ავგუსტ სტრინდბერგის რომანი და პიესები, იასუნარი კავაბატას „თოვლიანი მხარე, ათასფრთიანი წერო“. სულ ახლახანს სერიას ორი ახალი წიგნი შეემატა.



ვლადიმერ ნაბოკოვი
ლოლიტა

ფასი: 17.90



სულიო კორტასარი
სამხრეთის გზატკეცილი

ფასი: 14.90

პაატა შამუგია

ნერილი მეგობარს, რომელსაც კიბო აქვს და იმედია, მალე მოკვდება

შენ, ვინც ქეჩოში წვედები ნებისმიერ სასურველ მომენტს,
 თუ დაგჭირდება, სიყვარულსაც
 მოვალეობის ვინრო ყუნწში გამოატარებ,
 დანრეტ წარსულისგან
 და აავსებ დღევანდელი დღით...
 დიდი ხანია, არაფერი დაგვრჩა სათქმელი
 და როცა ერთმანეთს ვხვდებით,
 არაყს ჩუმად ვსვამთ
 და სიჩუმეებს უხერხულად ვაჩხარუნებთ,
 და თუ, ბედად, იქვე გვერდზე გამოჭენდება
 კომპლიმენტებზე ამხედრებული ლამაზი გოგო,
 ერთი-ორ უხამს აზრსაც გავადევნებთ,
 ისე, ყოველი შემთხვევისათვის,
 თითქოს კუდივით გაგვექნიოს
 სიტყვების თავზე ჩამოროლილი
 მნიშვნელობების მთელი სიმძიმე
 შენ, ნათელი ხეალის მქონე მეგობარო,
 საკუთარ ჩრდილზე ფეხი არ აგისხლტება,
 არ შემოღობობ, თუ დაჭრილი მეგობრის კენესა
 ჩიტივით მოცურავს მეზობელი კორპუსიდან,
 შენ, პერსპექტივებით გავსებული,
 საიმედო მომავლის და შენგენის ვიზის მქონე,
 პოეტები სიცილს გგვრიან, გულიან სიცილს:
 ("აჰ, ეს მალარმე, რილკე, რემბო...")
 და განა არ არის სასაცილო,
 დაკავდე ასეთი არარენტაბელური საქმით - პოეზიით,
 როცა არსებობს იბიცა და კურილია
 როცა არსებობს რამდენიმენულიანი საბანკო ანგარიში,
 პერსპექტივები, კარიერა, ქერა ნაშები...
 დამიჯერე,
 პოეზია გახდება ისევე მძაფრი,
 როგორც რელიგია ან პორნოგრაფია,
 და პოეტი გახდება ისეთივე გავლენიანი,
 როგორც მეუფე იაკობი ან საშა გრეი...
 (პოეზიის და ძალაუფლების გადაკვეთა...
 დისკურსები... დისკურსები...)
 ქვიშაზე ვაშენებ მე ჩემს იმედებს,
 ქვიშისაა ჩემი სხეულის
 გამომშრალი, ზანტი სტრუქტურაც...
 აქვე ლეთაა - დავინყების მდინარე,
 სადაც ერთხელაც ვერ შევედით,
 ტალღებმა სწრაფად გამოგვრიყეს.
 რალაც გვაკლდება, შესაძლოა, ხსოვნის სიმყარე.
 ჰო, ასეა,
 თუ არ ვალევე ხსოვნის კედელი,
 მდინარეში კი არა,
 ერთ აუზშიც ვერ შეხვალ ორჯერ...
 ქვიშაზე ვაშენებ მე ჩემს იმედებს,
 ქვიშისაა ჩემი სხეულის



გამომშრალი, ზანტი სტრუქტურაც.
იმედინად ვარ - ცა თავზე არ ჩამომემხოა,
რადგან მერცხელები შევუბჯინე, მამასადამე,
ჭერიც თავზე არ დამეცევა,
სიგარეტის ბოლს საიმედოდ შეუდგამს ბეჭი,
და არც მინა გამომეცლება ფეხქვეშ -
რადგან აღარ მყავს მეგობრები...
ესე იგი, აღარც მტრები.

"მე ვარ შენი მეგობარი!"
შენმა ყვირილმა
მთვრალი კაცები მოახედა ჩვენკენ ირიბად...
შენ არ ხარ ჩემი მეგობარი,
მე მოგიგონე,
ანდა, ასე ვთქვათ, გავიშაყირ-გავიქილიკე.
ეს კი არის ლიტერატურა -
სიცრუის მანქანა, წერითი ბოროტება...
თუმცა, აღარცაა, სხვა რამედ იქცა,
ჯერ სახელიც რომ არ ჰქვია.
"ყოველთვის, როცა წერას ვიწყებთ,
კითხვა დაესმის თვით ლიტერატურას".
მაგრამ ამჯერად პირიქით მოხდა:
აქ კითხვა დაესმის ჩემს არსებობას,
ლიტერატურა კი აგრძელებს ყოფნას,
ისე, თითქოს, მე არც ვიყო,
ანდა ვიყო, მაგრამ არც ისე.
შენი ყოფნაც ლექსის ბოლომდე გაგრძელდება,
ისე, თითქოს არც შენ იყო,
ანდა იყო, მაგრამ არც ისე
ანდა გქონდეს ყელის სიმსივნე,
იჯდე ჩემ წინ, ილუკემბოდე
და პირში ვარდივით გიყვავოდეს
ჰამბურგერი და ჩემთვის სათქმელი თბილი სიტყვები.

P.S. ლევან ცერცვაძეს ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია. მას ყელის სიმსივნე აქვს. გამოავაზენთ
ნებისმიერი თანხა ამ საბანკო ანგარიშზე:
საბანკო კოდი: TBCBG22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE09TB7492336010100002



ლევან შატბერაშვილი

ლურჯი მერანი აბსურდების მხარეში

თუკი ზაზა თვარაძის 2003 წელს გამოქვეყნებულ ლექსების კრებულს, "ტან-ცზი სიცივეში", 37-ე გვერდზე გადავლით, ერთ არაჩვეულებრივ ლექსს აღმოაჩენთ. "ლურჯი მერანი" თავად დაუფასებელი ზაზა თვარაძის ერთ-ერთი დაუფასებელი ლექსია. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ, შოთა იათაშვილმა, ყურნალ "არილში" დაბეჭდილ ძალიან საინტერესო წერილში - "ჭაფეზის ვარდი მე პრიუდომის ჩავდგი ვაზაში" - "ლურჯი მერანი" მოიხსენია როგორც უახლესი ქართული პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში, მაინც ვთვლი, რომ იგი სათანადოდ არ არის გააზრებული. იათაშვილი აღნიშნავს, რომ თვარაძის ეს ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილის "მერანის" და გალაკტიონ ტაბიძის "ლურჯა ცხენებში" პაროდიაა. მართლაც, ლექსის უმთავრესი მოტივი ძალიან მჭიდროდაა გადაჯაჭვული ბარათაშვილის და ტაბიძის პოეტურ სახეებთან, მაგრამ მისი მთავარი ღირებულება მარტო პაროდიალობა კი არ არის, არამედ ისიც, რომ მასში ქართული პოეზიის ტრადიციის, კერძოდ კი ამ ორი საეტაპო ლექსის ძალიან საინტერესო გადააზრებასთან გვაქვს საქმე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, "ლურჯი მერანის" მიზანია ირონიის საშუალებით კავში-

რი დაამყაროს ბარათაშვილის და გალაკტიონის მიერ შემოთავაზებულ ორ მსოფლმხედველობასთან, ერთგვარი ხიდი გადოს რეალობასა და პოეტური წარმოსახვის "სამუდამო მხარეს" შორის.

წინამდებარე წერილში მსურს "ლურჯი მერანის" ისეთ ასპექტებს გავუსვა ხაზი, რომელშიც მის ფესვებს დაგვანახებებს და იმ წყაროებზე გავვაძახვილებინებებს ყურადღებას, რომელთა საშუალებითაც ამ ლექსის პოეტური ქსოვილი იქმნება.

თუმცა სანამ "ლურჯი მერანის" უშუალო გარეგანზე გადავალთ, მინდა ნიკოლოზ ბარათაშვილის "მერანზე" და გალაკტიონ ტაბიძის "ლურჯა ცხენებზე" ვთქვა რამდენიმე სიტყვა, რადგან მათზე ალუზია "ლურჯი მერანში" სრულებითაც არ არის შემთხვევითი მოხმობილი. ორივე ეს ლექსი, შეიძლება ითქვას, იმ ორ უმთავრეს წინაპირობად გვევლინება, რომლითაც განსაზღვრულია "ლურჯი მერანის" ფორმა და შინაარსი.

"მერანიცა" და "ლურჯა ცხენებიც" ერთსა და იმავე თემას უტრიალებს. ორივეში საუბარია ადამიანის იმ სულიერი ენერჯის შესახებ, რომელსაც ჩვენ შემოქმედებით ტალანტს ვუნოდებთ. ჩვენში




არსებული ეს დაუოკებელი, შეუდრეკელი, ან თუნდაც "გაუხედნავი" ენერჯია გვიბიძგებს შემოქმედებისკენ. განსხვავება გალაკტიონისა და ბართაშვილის წარმოდგენებს შორის ისაა, რომ ბართაშვილის მერანი არ არის იღუმალი, მიღმური სამყაროს ბინადარი, პირიქით, ის ამ სამყაროს ეკუთვნის და მისთვის იღვწის. მისი მიზანი არა ეროვნული ან პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაა, არამედ მოძმისათვის გზის გაკვალვა, მისთვის გზის გაადვილება. ბართაშვილი მზადაა შეეწიროს ჰუმანისტურ იდეალებს, მისთვის უმაღლესი სიკვლე მოყვასისთვის თავგანწირვაა. ამის გამო იგი აპირებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მიჰყვას მერანის "გიჟურ ლტოლვას", რადგან საკუთარ თავს ამ ენერჯიის მხედრად განიხილავს, რომელსაც გაცნობიერებული აქვს საკუთარი სიკვდილი, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, სურს იდეალების სამსხვერპლოზე მიიტანოს საკუთარი სიცოცხლე.

გალაკტიონთან საქმე ცოტა სხვანაირადაა, მასთან მოყვასს და მოძმეს უკვე დაკარგული აქვს ბართაშვილისეული ფასეულობა და XX საუკუნის დასაწყისისთვის დამახასიათებელი ნიჭშეანური მოტივები იკიდებს ფეხს. აღარც სიკვდილისთვის მზაობას აქვს ღირებულება, აღარაფერს აქვს აზრი, "ყველინი არ არიან, არც შვება-სიზმარია". იგი უკვე მკვდარია, უკვე "ციც სამარეშია", და ერთადერთი, რაც ცოცხალია, რასაც არ სძინავს, რასაც სიკვდილის სუნთქვა არ შეხებია, ლურჯა ცხენებია, რომლებიც გიჟურად დაქრიან სამუდამო მხარეში. გალაკტიონთან შემოქმედებითი ენერჯიის გარდა, ყველა ღირებულებას საზრისი აქვს დაკარგული. არც ადვილს აქვს მნიშვნელობა, არც დროს, არც ისტორიულ მოცემულობას, არც სიკეთეს და არც ბოროტებას - ყველაფერი ანარაა. მის სამყაროში ნიჰილიზმს მძლავრად აქვს ფეხები გადგმული, მხოლოდ და მხოლოდ ლურჯა ცხენებ-

ში სუბლიმირებული პოეტური ენერჯიაა ცოცხალი, მხოლოდ ის არის ჭეშმარიტად არსებული, მხოლოდ მას აქვს საზრისი "ზევით თუ სამარეში".

სწორედ ამ ორი დაპირისპირებული მსოფლმხედველობის გაერთიანების მცდელობასთან გვაქვს საქმე ზაზა თვარაძის "ლურჯ მერანში". თვარაძე ამ პრობლემის გადაჭრის ძალიან საინტერესო ხერხს გვთავაზობს, მაგრამ მოცემული თავსატეხის გასაღებად არა უბრალო პაროდირება გვევლინება, არამედ ის, რაც ასე აკლიათ თვარაძის ამ ორ დიდ ნაშრომებს; კერძოდ კი მისი მთავარი იარაღებია საკუთარი თავისგან, საკუთარი შემოქმედებითი ენერჯიისგან, პათეტიკურობისგან დისტანცირება და თვითირონია. გარდა ამისა, თვარაძე ცდილობს კავშირი არ დაკარგავს ქართული პოეზიის ტრადიცია-სთან და თავად გალაკტიონ ტაბიძისა თუ სხვა, უკვე კლასიკოსი პოეტების დახმარებით გადალახოს ის სირთულეები, რომლებიც "მერანისა" და "ლურჯა ცხენების" დაწერის შემდეგ წარმოიქმნა.

ზაზა თვარაძე იმ პოეტთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც კარგად იცნობენ ქართული თუ უცხოური პოეზიის ტრადიციას და ამ ტრადიციით იკვებებიან კიდევ. მის ლექსებში ძალიან ხშირად შეხვდებით შეფარულ თუ დაუფარავ ციტატებს "ვეფხისტყაოსნიდან" ("ოდა რუსთაველს"), ცინიკურ ალუზიებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე (მაგ. "მას დაცქვეტილი დარჩა ყურები" - "მზიარული ლანდები"), ალექსანდრ ბლოკის პირდაპირ ციტირებას (ხედავ რეზუსებს: აფთიაქი, ქუჩა, ფარანი, / არხში წყალია ჩაყინული - ხსარტად, მარტივად. "იქ, აფთიაქთან"), ედგარ პოსეტული თემების ახლებურ გადამუშავებას ("Tyrannosaurus Rex"), გადაძახილს აკაკი წერეთლის "ურთული მოთქმით ტირილთან" (ვიფიქრე: აჰა ნარინჯო, / სვედასე-



ბული დედიჯან... "Tyrannosaurus Rex") და ა.შ.
 საინტერესო ისაა, რომ თვარაძის ლექსებში ციტირებას არა უბრალოდ პაროდის დანიშნულება აქვს, არამედ ძალიან კონკრეტული მიზანი. ეს მიზანი კი გახლავთ პოეტის სათქმელის ზუსტი გამოხატვა, ძველი, კლასიკური პოეზიის საშუალებით ახალი მსოფლმხედველობრივი და პოეტური განზომილების გახსნა და პოეტური შემოქმედებითობისთვის დამატებითი საზრდოს აღმოჩენა.

"ლურჯი მერანის" შემთხვევაშიც ანალოგიური სიტუაციასთან გვაქვს საქმე. თუკი მას უფრო მეტი დაკვირვებით ნავეიკთხავთ, მივხვდებით, რომ საქმე გვაქვს არა მარტო გალაკტიონის და ბარათაშვილის ლექსების პაროდისთან, არამედ ჩვენ წინაშე ერთგვარი გადაძახილი ქართული კლასიკური პოეზიის ისეთ შედეგებთან, როგორცაა ვაჟა-ფშაველას "დედების ქორნილი", ლადო ასათიანის "ბარდნალა", ისევ გალაკტიონ ტაბიძის "ათოვად ზამთრის ბაღებს" და "თეთრი პულიკანი" და ასევე შეიძლება აღმოვაჩინოთ გარკვეული მოტივები თბილისური სიმღერებიდან. მიუხედავად ამისა, ამგვარი ირონიის უმთავრესი მიზანი სრულებითაც არაა ნარსულის პოეტების გამარჯება ან სულაც ნარსულზე უარის თქმა. ზაზა თვარაძე ირონიის საშუალებით გვთავაზობს თანამედროვეობის აბსოლუტურად ახლებურ ხედვას, რომლის ცენტრშიც მოქცეულია პოეტის ერთგვარი პროტოტიპი - კომიკური, "მგოსანთ ნაფანტომარი" ლურჯი მერანი, რომელსაც, როგორც მოგვიანებით ირკვევა, ფლოტების ნაცვლად ხელები აქვს და, რაც მთავარია, თავისი ორი ნინამორბედისგან განსხვავებით ("მერანი" და "ლურჯა ცხენები") ძალიან მკაცრადაა განსაზღვრული დროისა და სივრცის კატეგორიებით, უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში მის ისტორიულობას აქვს გასული ხაზი. იგი არც სამუდამო მხარეში არ დაქრის "გრავინვა-გრაილით" და არც "უგზო-უკვლოდ მიაფრენს" თავის მხედარს. ლურჯი მერანი ერთი გაძვალტყავებული ჯავლაგია, რომელიც ძლივძლივობით მიჩაქჩაქებს მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის თბილისის თალხ ქუჩებში. მაგრამ იმისათვის, რომ უფრო უკეთ გავერკვეთ ლექსის სტრუქტურაში, აჯობებს თავად ლექსს მივუბრუნდეთ და ნაწილ-ნაწილ გავარჩიოთ. ლექსი ასე იწყება:

*მირბის ლურჯი მერანი
 მირბის და თან ჭიხინებს,
 მისი ფლოტის თქარუნი
 ზაფრავს ლამის ვიტრინებს.
 ვიტრინების ნათელში
 იცრიცება სისხამი
 და კვარტლები ჭადრაკის
 თალხ ფიგურებს ისხამენ.*

მართლაც, ლექსის პაროდული ხასიათი პირველივე სტრიქონებიდან ჩანს; შეიძლება ითქვას, თავიდანვე ნათელი ხდება, რომ პაროდის ადრესატები ნიკოლოზ ბარათაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე არიან. ლექსის პირველი სამი სიტყვა უკვე

შერეული ციტატაა ზემოხსენებული ორი ლექსიდან. სიტყვები "მირბის", "ლურჯი" და "მერანი" პირდაპირ გვიბიძგებს იმისკენ, რომ "ლურჯა ცხენებზე" და "მერანზე" ვიფიქროთ, მაგრამ სიტყვა "ჭიხინი" უკვე უხერხულ, კომიკური ელფერის სტენს მას და აბალღებული ნინამორბედებისგან განსხვავებით, მის "დამინებულობაზე" მიგვიბიძგებს.

შემდეგ სტრიქონებში კი ედევ ორი არსებითი მომენტი გვჩანს; პირველი: "ლურჯ მერანს" გალაკტიონის "ლურჯა ცხენებისგან" ის გამოარჩევს, რომ მისი სამყოფელი "სამუდამო მხარე", გონით სანვდომი მოელგებში ნაპირი კი არაა, არამედ რეალური სამყარო; და მეორე: განსხვავებით ბარათაშვილის "მერანისგან", რომელიც სრულებითაც არ არის განსაზღვრული კონკრეტული სივრცით ან დროით და სადაც დაუღალმდე იქ უთმოდება, თვარაძის ლურჯი მერანის სამყოფელი ძალიან კონკრეტულია, კერძოდ კი, ის ქალაქის კვარტლების ბინადარია და მისი ფლოტის თქარუნიც ქალაქის ვიტრინებს "ზაფრავს".

ლექსის შემდეგ სტრიქონებში ვკითხულობთ:

*მიქრის ჩემი მერანი
 შეშლილივით ხრჭიალებს,
 ჩანს მქისე რესტორანი,
 მქისე სუნიც ტრიალებს.
 უხმბი, უხმბი მერანი
 მკრთალი, ხმელი ზაფრანა,
 მდინარეზე - ბორანი,
 მოუსაკლავს გაფრენა.
 მოენატრა ვაფრენა,
 უკან არ დაბრუნება,
 აჩრდილების საუფლო,
 ფანტომების ბუნება,
 იქ ბუნების ფანტომი
 ისევ ყელში მიწვდება
 და მყის დაშლის საბრალოს
 ყანვიან საკისრებად...*

თუ აქამდე ლექსში მხოლოდ "მერანის" და "ლურჯა ცხენების" ხმა ისმოდა, ამ სტრიქონებიდან უკვე ვაჟა-ფშაველას "დედების ქორნილის" ციტატას ვაწყდებით - კერძოდ კი: "დედებსა აქვის ქორნილი, / დიდი დარბაზი ზრიალებს./ მეც დამპატიოეს, შევედი, - / რა მქისე სუნი ტრიალებს?". ვაჟას ეს თავზარდამცემი ლექსი, რომელიც საბოლოოდ ძმის ხორცის ჭამის შემზარავი ამბის მოყოლით მათვლიდა ("უკვენას ყურებითა / კვენის ხმა გამოდიოდა" / "ძმის ხორცი როგორა ვსჭამო?" - / ყმა ვინმე გამოჰკოიდა. / უხმელ-უჭმელად გავსძეხი, / ყელშია ც ამომდიოდა.), სულ ერთი სტრიქონით შემოდის "ლურჯ მერანში", მაგრამ ის ერთგვარი სილის განწმინ ფუნქციას ასრულებს ლექსში და მკითხველს მიახვედრებს, რომ ჩვენ წინაშეა თვითირონიით სავსე ტრაგიკული ნაწარმოები.

თბილისის ქუჩებში მორბენალი ლურჯი მერანი თითქმის გაორებულია ორ სამყაროს შორის, ერთი მხრივ ისმის ლადო ასათიანის "ბარდნალას" ნაზი ნოტები ("მდინარეზე ბორანი / მოუსაკლავთ

გაფრენა“), გვიჩნდება სნტიმენტალური ასოციაციები გალაკტიონის "თეთრ პელიკანზე", მეორე მხრივ კი, იმავე "თეთრი პელიკანის" რესტორანში "მქისე სუნი ტრიალებს", რაც ერთგვარი მინიმუმბაა ოთხმოცდაათიანი წლების თბილისის მძათამკვლელ ომზე, ჩვენს კანონალურ ბუნებაზე. რომანტიკული ტონები ნელ-ნელა იცრიცება და ილუზიების სამყაროც ნელ-ნელა საშარდება. ბუნების ფანტომი (რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება როგორც რეალობა, ისე ვაგივოთ) ამგვარი წარმოსახვითი იდეის არარსებობის შესაძლებლობასაც კი აღარ ტოვებს. რეალობას და ფანტაზიას შორის კავშირი ირღვევა და პოეტი უმოწყალო სინამდვილის პირისპირ რჩება - "ლურჯი მერანი" თავისი დანგრეული სხეულის და დაკარგული მოგონებების ამარა აღმოჩნდება.

შემდეგ სტრიქონებში თვარაძე კიდევ უფრო დაუნდობელია ლურჯი მერანის მიმართ:

*მისი უხმო ლივლივი
წყალზე ანარეკლია,
მისდევს შმაგი მერანი
გზას ძნელს და ნარ-ეკლებს,
დასისხლული ხელებით
ხარბად გლიჯავს ნარ-ეკლებს,
თავს დასწავის ყორანი:
დაუბერე!.. გარეკე!.."
კლდოდან გადაშეკეული
მიჰქრის თავქვე, ტაფოშში
და სივრცეებს, ყორანთა
ფრთებით შავად დაფოთილს
მისდევს ცივი ხივლით
აბსურდების მხარეში -
არ სურს თარაშ ემხვარი!
არ სურს ემხვარ-თარეში!..*

მერანის ქენებაც კი, რომელიც გალაკტიონთან და ბარათაშვილთან ფრენასთან და გრავიზავგრიალთანაა გაიგივებული, თვარაძისთვის ილუზიაა, ის უბრალო წყალზე ანარეკლია და მეტი არაფერი, სინამდვილეში ლურჯი მერანი ერთი დატანჯულ-დაფანჯული მოხრჭიალე ადამიანია, რომელსაც გალაკტიონივით ყორნების იდუმალი საუბარი კი არ ესმის ("დარეკე! დაუბარე! / ათოვდა ზამრის ბაღებს"), არამედ თბილისური სიმღერის თავზარდამცემი პერიფრაზი "თავს დასწავის ყორანი / დაუბერე!.. გარეკე!" ("არღანშიკო დაუკარ, / ფაეტონშიკო გარეკე"). ლურჯი მერანი "სამუდამო მხარეში" კი აღარ ცხოვრობს, არამედ რეალობაში, რომელიც, ამავე დროს, "აბსურდების მხარეა".

თუმცა ზემომოყვანილ სტრიქონებში ყველაზე მნიშვნელოვანი არაა ეს ციტატები და ალუზიებია, არამედ ის აზრი, რის ვადმოცმასაც თვარაძე ამ ციტატების საშუალებით ცდილობს; ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვებია: "დასისხლული ხელებით, / ხარბად გლიჯავ ნარ-ეკლებს", რომელიც ნათელს ხდიან ფაქტს, რომ აღარც ბარათაშვილისეული ჰეროიკული მერანი და მისი თავ-


განწირული მხედარი არსებობს და აღარც გალაკტიონისეული მარადიული ენერგიით მქროლავი ლურჯა ცხენები. თვარაძისთვის ორივე ეს სახე ლურჯ მერანშია გაერთიანებული. სინამდვილეში თავად პოეტიც მერანიც და ლურჯა ცხენიც, უფრო სწორად, პოეტი საკუთარ თავს ერთ სასაცილო ჯაგლაგს ადარებს, რომელიც თავისი თავის პათეტურ ანარეკლს ხედავს წყალში. და თუკი "ლურჯი მერანი" რაიმერ ჰაროდია, ის პირველ რიგში ჰაროდია საკუთარ თავზე, თავად ზაზა თვარაძის მიერ საკუთარი თავის უმოწყალო დაცინვაა, რომელსაც მწარე თვითშეშეცხვებისკენაა მიმართული. ლექსი კი ასე მთავრდება:

*ეს ბედკრული მერანი,
თარსი, როგორც ყორანი,
ცხოვრების ვეტერანი,
მგოსანთ ნაფანტომარი,
ლურჯი ფანტომასივით
და მთლად გადარეული,
როგორც დიდმის მასივი
ან საერთო რვეული.*

ლექსის ეს ბოლო სტრიქონები სევდიანი დაცინვით, ან უფრო სწორად, სიყვარულწარევი ირონიითაა დაწერილი და ლურჯ მერანს, უკვე ცხოვრებისეული "პერიპეტეიზისგან" გადაღლილ, მგოსნების ნაფანტომარ სივთის ზღვარზე მყოფ დიდმის მასივივით ან საერთო რვეულივით შეშლილ კომიკურ არსებად წარმოგვიდგენს. ზაზა თვარაძემ "ლურჯ მერანში", თვით-ირონიის საშუალებით, "მერანსა" და "ლურჯა ცხენებში" წარმოდგენილი მსოფლმხედველობების გაერთიანება მოახერხა და შედეგად დაბამწურბებული, სივთის ზღვარზე მყოფი "კენდავარი" მიიღო, რომელსაც შეევა არსაღდან აქვს, არც პოეტური შთაგონებიდან, არც მისი შემოქმედებითი ძალებისგან, არც ქალაქად ქცეული რელობისგან და არც მისი მარად მდევარი წარსულის ანრდილებისგან.

თუმცა ზაზა თვარაძის ამ ლექსის შთაგონების წყარო "მერანი" და "ლურჯა ცხენებია", ჩემი აზრით, მისი გაუნრფელობა მხოლოდ დათოთ გურამიშვილის პოეზიას შეიძლება შევალოდოთ.

მიუხედავად მისი ერთი შეხედვით პაროდული შეფერილობისა, "ლურჯი მერანი" უფრო მეტია, ვიდრე პაროდია, ის მწარე სიმართლისთვის თვალის გასწორებას უფრო ჰკავს. ეს ცხოვრების აბსურდულობაზე და პოეტის მიერ საკუთარი უმწიფობისადმი თვალის გასწორების შესახებ დანერგილი ლექსია. ეს არის ლექსი იმის შესახებ, რომ რეალობაში ზმანებას ზუსტად ისეთივე წილი აქვს, როგორც თავად სინამდვილეს. ეს არის ლექსი იმის შესახებ, რომ რეალობა და თბილისი ზუსტად ისეთივე ფანტომებია, როგორც მასში ლანდებივით (ფანტომებივით) გაბნეული ქართველი პოეტების ციტატები.



სალმან რუშდი

**"რატომ არ უნდა იყოს
 ლიტერატურა პროვოკაციული?
 ის არაპროვოკაციული არასოდეს ყოფილა"**

ჯეკ ლივინგსის ინტერვიუ სალმან რუშდისთან

სალმან რუშდი ბომბეში დაიბადა 1947 წელს (სწორედ ამ წელს გამოცხადდა ინდოეთის დამოუკიდებლობა). განათლება მიიღო ინდოეთსა და ინგლისში. ამჟამად ის, ძირითადად, ნიუ-იორკში ცხოვრობს. მწერალს ვესაუბრეთ 2005 წლის 14 თებერვალს (წმინდა ვალენტინის დღეს), ზუსტად 16 წლის თავზე იმ დღიდან, როდესაც აიათოლა პომეინიმ დაწყველა რუშდი თავის ფატვაში (რელიგიურ განაჩენში) და, ისლამური სამართლის შესაბამისად, სიკვდილი მიუსაჯა. 1998 წელს ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ დაგმო ფატვა. რუშდი ამჟამად დარწმუნებულია, რომ საშიშროება აღარ ემუქრება, მაგრამ, მაშაძლიანი ფუნდამენტალისტების აზრით, ფატვა გაუქმებული არაა. ამიტომ რუშდის მისამართი ჯერ კიდევ გასაიდუმლოებულია.

რუშდი, რომელმაც მთელ მსოფლიოში ასეთი ფურორი გამოიწვია, რომელსაც ერთნი ხოტბას ასხამდნენ და თავისუფალი აზრის სიმბოლოდ მიიჩნევენ, მეორენი კი წყველიდნენ, ემუქრებოდნენ და მისი ფიტულიც კი დანევს, საოცრად უდარდელი და გულლია ადამიანი. ჯინსსა და სვიტერში გამოწყობილი მწერალი ათი წლით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება, ვიდრე - რჩიარდ ავედონის ცნობილ პორტრეტზე (1995 წ.).

ფატვის გამო სალმან რუშდის სახელი ამჟამად ცნობილია მთელი მსოფლიოსთვის, მაგრამ მისი, როგორც მწერლის რეპუტაცია არ შეულახავს პოლიტიკურ დევნას. 1993 წელს რუშდი დააჯილდოვეს პრიზით "ბუკერთა ბუკერი" რომანისთვის "შულამის შვილები". ამჟამად ის ამერიკული პენ-ცენტრის პრეზიდენტია. რომანების გარდა, რუშდი არის პუბლიცისტური პროზის ხუთტომეულისა და მოთხრობათა კრებულის ავტორი. წმინდა ვალენტინის დღეს დანულს სავარძელში მჯდარმა მწერალმა გვაუწყა, რა საჩუქრის ყიდვას აპირებდა ცოლისთვის, შემდეგ კი პასუხი გასცა ჩვენს კითხვებს.

ჯეკ ლივინგსი

- რას იტყოდით თქვენი შემოქმედების შეხახვებ?

- სმირად მიიფიქრია: როგორ უნდა შევაგნებოთ ის ადამიანები, რომ ესა თუ ის ამბავი, ესა თუ ის აღწერილი ისტორია ყოველი ჩვენთვის ისტორიის ნაწილია? როგორ უნდა ვაიძულოთ მკითხველი, იგრძნოს, რომ ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენები მისი ცხოვრებისეული გამოცდილებაა? ბოლო სამი რომანი ჩანს მოადრეგნდა მცდელობას, პასუხი გამეცა ამ კითხვებზე. ესენია: "მინა მის ფეხთქვეშ", "მრისხანება" და ახალი რომანი "კლოუნი შალიმარი", რომელიც იწყება და მთავრდება ლოს-ანჯელესში, მაგრამ მოქმედება ვითარდება ხან ქაშშირში, ხან ნაცისტების მიერ ოკუპირებულ სტრასბურგში, ხან კი - 1960-იანი წლების ინგლისში. "შალიმარის" გმირი მიაქვს ოფალინა მონანილოვს წინააღმდეგობის მოძრაობაში მეორე მსოფლიო ომის დროს. წინააღმდეგობა, რომელსაც "პეროიკულს" ვუწოდებთ, იყო, ფაქტობრივად, ამბოხება ოკუპაციის პერიოდში. ამჟამად ხდება სხვა სახის ამბოხებები, რომელთაც პეროიკულს კი არა, ტერორისტულს ვუწოდებთ. არ მსურს, განვსაჯო ისინი. უბრალოდ, აღვწერ, რა ხდება და უწინ და რა ხდება ახლა. მკითხველი თავად უნდა დააკვირდეს, რა მიმართებაა ამ ორი სახის მოვლენებს შორის. არა მგონია, რომ რომანისტი თავის ნაწარმოებში დასკვნები უნდა გამოიტანოს...

- დასკვნებისგან თავს იკავებთ?

- დიას. ამის წინააღმდეგი ვარ. მამას, რომ მკითხველის ინსტრუქტირებით რომანი ზარალდება (თუ ტექსტს განმარტებით შენიშვნას ვურთავ, ეს სხვა საქმეა). მაგალითად, შალიმარი ბორტომოქმედია, მკვლელობა, მაგრამ გარკვეულ მომენტებში - თუნდაც, იმ სცენაში, რომელსაც ის სან-კვენტინის კედლის თავზე მირბის - თანაუქმონობთ მას. მინდოდა, მკითხველს კი არ განეკითხა გმირი, არამედ განეცხადა ის, რასაც შალიმარი განიცდის. სხვათა შორის, ეს ჩემი ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც "შექმნილია" პერსონაჟების მიერ. წიგნის თავდაპირველი ჩანაფიქრი უგულვებელყვავია, რადგან პერსონაჟებმა სიუჟეტი თავიანთ ნებაზე წარმართეს.

- რას გულისხმობთ?

- წერის დროს მოვლენები თავისთავად, ჩემთვის მოულოდნელად ვითარდებოდა. უცნაური განცდები დამეფულა. იმდენად გატაცებული ვიყავი ჩემი პერსონაჟების ბედ-იბოლით, რომ ზოგჯერ დავეტიროდი მათ. წიგნში არის ეპიზოდი, როდესაც ბუნის მამა, პანდიტი პიარელაი, თავის ხეხილის ბაღში კვდება. მაგიდასთან ვიჯექით და ვიცრემლებოდი. არ მესმოდა, რა მემართებოდა. რომანში არის, აგრეთვე, ეპიზოდი, რომელიც საუბარია ქაშშირის სოფლის განადგურების შესახებ. ძალიან გამოიჭირება მისი დაწერა. მგონია, რომ წერის უნარი დაგვარაგე. ბევრ მწერალს განუცდია ამგვარი რამ ტრაგიკული ამბე-

ბის აღწერისას. მანამდე არასოდეს მიფიქრია, რომ წერის სურვილს დაგვარავადი. სამინელე-ბა იყო.

- პოლიტიკისა და ძალაუფლებისადმი ინტერესის გარდა, თქვენს შემოქმედებაში უამრავი ფანტასტიკური გამონაგონიც გვხვდება. როგორც მახსოვს, ერთხელ თქვენი, რომ მწერლად გაქცეათ ფილმმა "ჯადოქარი ოზის ქვეყნიდან".

- ფილმის ნახვის შემდეგ დაწერე მოთხრობა, სახელწოდებით - "ცისარტყელაზე". ალბათ, ცხრა თუ ათი წლისა ვიქნებოდი. მოთხრობის გმირი იყო ბიჭი, რომელიც ბომბები იხილა ცისარტყელა, ავიდა მასზე და ზღაპრული თავგადასავლები შეემთხვა. საბედნიეროდ, მოთხრობა არ შემინახავს.

- იმხანად რას კითხულობდით?

- სანამ ინგლისში ჩამოვიდოდი, ჩემი საყვარელი მწერლები იყვნენ პ.ჯ. უელშაუსი და აგათა კრისტი. მათ წიგნებს სულმოუთქვლად ვკითხულობდი. ბაბუაჩემი ცხოვრობდა ალიგარში, ნიუ-დელოს მახლობლად. ალიგარის მაჰმადიანურ უნივერსიტეტთან არსებულ ტიბიას კოლეჯში მუშაობდა. ბაბუამ სამედიცინო განათლება ვეროპაში მიიღო, მაგრამ კარგად იცნობდა ინდურ ტრადიციულ მედიცინასაც. ვეულოსიპედით მივყავდი ხოლმე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და იქ მტოვებდა. მახსოვს წიგნების უზარმაზარი თაროები და კიბე, რომლის მოშვევობით ზედა თაროებიდან წიგნების ვადმოძებნა შეიძლებოდა. ბიბლიოთეკიდან გამოტანილ ვუდჰაუსისა და აგათა კრისტის ტომებს ერთი კვირის განმავლობაში ვკითხულობდი, შემდეგ კი სხვა წიგნები მომეჩონდა. ვუდჰაუსი მაშინ ძალიან მოპულარული იყო ინდოეთში და, ალბათ, ახლაც ასეა.

- როგორ ფიქრობთ, რატომ?

- როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ვუდჰაუსის იუმორი ნაავაგს ინდოელთა იუმორს.

- ესე იგი, თქვენ წერდით მოთხრობებს ცამეტი წლის ასაკამდე, სანამ რაგბიში (ინგლისი) გაემგზავრებოდით?

- არაფერი მახსოვს, გარდა მოთხრობისა "ცისარტყელაზე". იმხანად საგულდაგულად ვეცნობოდი ინგლისურ ლიტერატურას. მახსოვს, ერთხელ დაგვავალეს, დაგვეწერა ლიმერიკი რაინი თემაზე. ერთს თუ დავწერდით, შემდეგ ორი უნდა დაგვეწერა. სანამ ჩემი თანაკლასელები ცდილობდნენ დაეწერათ ერთი ან ორი უხეირო ლიმერიკი, მე ოცდარჩემდმეტი დაწერე. პუდგოგმა დაასკვნა, როგორც ჩანს, იცოდულტყო. მისი უსამართლო ბრალდება ახლაც მტკიცეს გულს. მე ხომ ედვარდ ლირის წიგნი მქონდა შინ და ბოლო სუთი წლის განმავლობაში უამრავი ლიმერიკი დავაზეპირე. შექების ნაცვლად, დამადანაშაულა.

- კითხულობთ თუ არა მხატვრულ ლიტერატურას, როდესაც რომანზე მუშაობთ?

- არც ისე ბევრს. ყოველ შემთხვევაში, არც ისე ბევრ თანამედროვე ნაწარმოებს. უფრო კლასიკა მიტაცებს. მაგალითად, როდესაც "მწიხნანებას" ვწვდები, ვკითხულობდი ბალზაკს, კერძოდ - "უფენი გრანდეს". თუ ნაიკითხავთ ამ რომანის დასაწყისს, დარწმუნდებით, რომ ბალზაკი იყენებს მეთოდს, რომელსაც კინოობიექტივის პრინციპი შეიძლება ვუწოდოთ. თავდაპირველად მწერლის თვალბინადვის არე ძალზე ფარულია - ქალაქი, მისი შენობები, ეკონომიკური სიტუაცია. შემდეგ მისი ყურადღების ცენტრში ექცევა ქალაქის ერთი რაიონი, ამ რაიონის ერთი სახლი, ამ სახლის ერთი ოთახი და, ბოლოს, ამ ოთახში მჯდარი ქალი. ეს ქალი თითქოს თავისი კლასის, გარკვეული სოციალური სიტუაციის, საზოგადოების ტყვეა. ეფენი გრანდე გალიაში მყოფ ჩიტს წაავაგვს. როდესაც მისი ამბის გადმოცემა იწყება, ხვდებით, რომ ყველაფერი ეს უნდა დაინგრეს.

- კინოში ხშირად დადიხართ ხოლმე?

- ძალზე ხშირად. ჩემი თვალსაზრისი ლიტერატურის შესახებ მნიშვნელოვანწილად ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის წლებში, როდესაც - მეოცე საუკუნის სამოციან და სამოცდაათიან წლებში - მსოფლიო კინემატოგრაფის უჩვეულო აღმავლობის ეტაპი დადგა. ვფიქრობ, ისევე ბევრი რამ ვისწავლე ბუნუელის, ბერგმანის, გოდარისა და ფელინის ფილმებიდან, როგორც ლიტერატურიდან. აღფრთოვანებული ვიყავი, როდესაც ერთი კვირის განმავლობაში აჩვენებდნენ ფელინის "8 1/2" -ს, შემდეგ კი, ყოველი მომდევნო კვირის განმავლობაში, გოდარის, ბერგმანის, სატი-აჯიტ რეის და, ბოლოს, კუროსავას ფილმებს. ეს რეჟისორები არა მარტო ახლებურად, არამედ დეტალურად ასახავდნენ თავიანთ მსოფლხედვას. მათ ქმნილებებს სერიოზული ჩანაფიქრი ედო საფუძვლად. ახლა კინოც და ლიტერატურაც გაზარდადნენ. რეჟისორები ტყურებურალოდ იღებენ ანაზღაურებას. იღებენ ერთ საინტერესო ფილმს და მდიდრდებიან. ვერ ნახავთ ფილმს, რომელსაც კოჰერენტული ინტელექტუალური და მხატვრული სტრუქტურა ჰქონდეს. ეს აღარავის აინტერესებს.

- რა მოგცათ თქვენ, როგორც მწერალს, ამ ფილმებმა?

- "ახალი ტალღის" ტექნიკურმა თავისუფლებამ მიზიდავა ენის თავისუფლებისადმი. კინომონტაჟის კლასიკური ფორმა ხომ ამგვარია: საერთო პლანი, საშუალო პლანი, მსხვილი პლანი, საშუალო პლანი, საერთო პლანი. ეს საშინლად მოსაწყენია. რომოცდაათიანი წლების ფილმები სწორედ ასეა გადაღებული. გოდარი კი მკვეთრად "გადახტება" ხოლმე ფართო სცენიდან მსახიობების, მაგალითად, ბელმონდოს ან ანა კარინას სახეებზე. ლოდარის ფილმებში გმირი ზოგჯერ უშუალოდ ელაპარაკება კამერას...

- რადგან რეჟისორს არ ჰქონდა საკმარისი

თანხა, რათა მთელი სცენა გადაეღო.

- მართალია. მაგრამ მომხონდა თეთი ეს იდეა, მოძველებულ სტრუქტურის რღვევა, ის, რომ ამ ფილმებში ერთდროულად გვხვდება კომიკური და სერიოზული ელემენტები. "ალფაველიში", რომელიც "შავი" ფილმია, არის შესანიშნავი სცენა, როდესაც კერძო დეტექტივი ლემი კოუშენი აღმოაჩენს, რომ ყველა სუპერგმირი მკვდარია. "ბეტმენი?" "მკვდარია". "სუპერმენი?" "მკვდარია". "ფლემ გორდონი?" "მკვდარია." ეს კომიკური შთაბეჭდილებას ახდენს. მიყვარს ბუნუელის სიურრეალიზმი, რაც არ ნიშნავს, რომ მისი ფილმები რეალობისგან შორსაა. "ბურჟუაზიის მოკრძალებულ სიბნელეში" პერსონაჟები უნიტაზებზე სხედან მაგიდის გარშემო, შემდეგ კი წარბშეუხრელად გადაიან მეზობელ ოთახში სასადილოდ; მიყვარს ბერგმანის მისტიციზმი "მემვიდე ბექედში" და მისივე ფსიქოლოგიზმი; აგრეთვე - კუროსავა, რომელსაც შევეყვართ აბსოლუტურად დაბურულ კულტურაში, სამურაების კულტურაში. ჩემთვის უცხოა სამურაების აზროვნება, მაგრამ მიყვარს ტოსიორო მიფუნე. ესაა ხელოვნების ერთ-ერთი ეფექტი. მას შევაგზავთ ახალ სამყაროში, რომელსაც თქვენი სამყაროს ნაწილად აქცევს. კინემატოგრაფის ამ დიადი პერიოდის შესწავლა რომანისათვის შეიძლება ძალზე სასარგებლო იყოს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სწავლა-განათლება კინოში მივიღე.

- შეგნებულად სწავლობდით?

- არა. უბრალოდ, კინოში სიარული მიყვარდა. კინოში უკეთ ვგრძნობდი თავს, ვიდრე - ბიბლიოთეკაში. ამჟამად ბევრი მკითხველი მეუბნება, რომ ჩემი რომანები ვიზუალურ აღქმას ემყარება.

ზოგიერთ ადამიანს ვუყვარვარ სწორედ იმის გამო, რის გამოც სხვებს ვძულვარ. მწერლის ძალა, იმავდროულად, მისი სისუსტეა. ზოგჯერ ერთსა და იმავე ციტატებს იმონებენ იმის დასამტკიცებლად, რომ კარგი ან ცუდი მწერალი ვარ. ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ ჩემი რომანები, ამბობენ, რომ მათში შთაბეჭქდავდა ასახული ქალთა სახეები, ხოლო ისინი, ვისაც არ მოსწონს ჩემი რომანები, რა თქმა უნდა, ამბობენ, რომ არ მეხერხება ქალთა სახეების ხატვა.

- დამწერილი თუ არა აპოლიტიკური რომანს?

- დიახ. დიდი სიამოვნებით. გული მწყდება, რომ აქამდე მსგავსი არაფერი დამინერია. ვფიქრობ, ამჟამად გაქარ ზღვარი პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის. უნდა მათ შორის მნიშვნელოვანი დისტანცია იყოს. მაგალითად, ჯეინ ოსტინს არც ერთხელ არ უხსენებია თავის რომანებში ნაპოლიონის ომები, თუმცა ბრიტანეთის არმიის წარმომადგენლები მათში გვხვდებიან. ოსტინი თავს კი არ არიდებდა ამ თემას, არამედ შეეძლო სრულად და ღრმად

დაეხატა თავისი პერსონაჟების ცხოვრება და, ამავე დროს, გვერდი აველო საზოგადოებრივი მოვლენებისთვის. ეს ახლა წარმოდგენილია, და არა მარტო იმის გამო, რომ ტელევიზორი ყოველ ბინაში დგას, არამედ იმიტომ, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები უდიდეს ზეგავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. გვაქვს თუ არა სამუშაო? როგორია ჩვენი ფულის ღირებულება? ყველაფერი ეს განისაზღვრება იმ მოვლენებით, რომლებიც ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება. ჰერაკლიტეს შეხედულება იმის შესახებ, რომ ხასიათი განსაზღვრავს ბედს, ამაჟამად არ მართლდება. ხდება ისე, რომ თქვენს ბედს თქვენივე ხასიათი კი არ განსაზღვრავს, არამედ - თვითმფრინავი, რომელიც ეჯახება იმ შენობას, სადაც იმყოფებით. გარე სამყარო შეუძლებელია რომანში არა იმის გამო, რომ პოლიტიკური მოვლენების აღწერა მსურს, არამედ იმიტომ, რომ ვწერ ადამიანების შესახებ.

- მაგრამ ამერიკულ ლიტერატურაში სხვაგვარი სიტუაციაა - პოლიტიკა გამიჯნულია ლიტერატურისგან. ის რასაც წერენ ამერიკელი რომანისტები, არ ზემოქმედებს ვაშინგტონის პოლიტიკაზე.

- დიახ, სამწუხაროდ, ასეა.

- როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა ინდოეთში მხატვრულ ლიტერატურას პოლიტიკური ღირებულება?

- არა. ნეტავ ჰქონოდა. მაგრამ თვით მწერლების შეხედულებებს ინდოეთში კვლავინდებურად ანგარიშს უწევენ - რაც დამახასიათებელი არაა ამერიკისთვის. მათი თვალსაზრისები საზოგადოებრივად ფასილია. ასეა ინგლისშიც. ასეა ევროპაში. ასე იყო ამერიკაშიც ცოტა ხნის წინ. ეს იყო მილერის, ზონტაგის, ართურ მილერის თაობა.

- რატომ მოხდა ასე?

- არ ვიცი. ბრიტანეთის იმპერიის ძლიერების დროს ინგლისელი რომანისტები არც ისე ხშირად წერდნენ ბრიტანეთის პოლიტიკის შესახებ. გასაკვირაა, რომ მაშინ, როდესაც ინგლისი ზეახტულმნიფო იყო, მისი პოლიტიკა მწერალთა უმრავლესობის ინტერესთა სფეროში არ შედიოდა. შესაძლოა, ახლა, როდესაც ამერიკა გლობალურ ზესახტულმნიფოდ იქცა, სიტუაცია მოერდება. ამ ქვეყნის საზღვრებს გარეთ სიტყვა "ამერიკა" ძლევამოსილების სინონიმია. აქ არიან პოლიტიკით დაინტერესებული მწერლები - დე ლოლო, რობერტ სთოუნი, ჯონ დიდიონი და სხვები. მაგრამ ვფიქრობ, რომ მრავალ ამერიკულ მწერალს სულაც არ აინტერესებს, როგორი წარმოდგენა აქვთ ამერიკის შესახებ საზღვარგარეთ. ამიტომ თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა გულგრილია პოლიტიკური პრობლემების მიმართ.

- გვიამბეთ, როგორ მუშაობთ.

- თუკი პრესას კითხულობთ, ისეთი შთაბეჭ-

დილება შეგექმნებოდათ, თითქოს წვეულებებზე სიარულის გარდა, სხვას არაფერს ვაკეთებ. სინამდვილეში ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში ჩემს კაბინეტში ვზივარ. როდესაც ვასრულებ მუშაობას, მთელი დღის განმავლობაში ვფიქრობ ტექსტის მომდევნო ნაწილის შესახებ. ამიტომ მეორე დღეს უფრო მიაღვივდება მუშაობის გაგრძელება, რადგან უკვე ვიცი, როგორია პირველი ნინადაება. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული წარმოდგენა მაქვს მის შესახებ. ძალიან მიჭირს წერის დაწყება. ახალგაზრდობისას გაცილებით უფრო იოლად ვწერდი, მაგრამ, საშუალებად რომ შექონდეს, იმდროინდელ თხზულებებს მთლიანად გადავასწორებდი. ახლა გაცილებით ნელა ვწერ და დიდ ხანს ვანდომებ გადასწორებას. დღის განმავლობაში რამდენიმე ასეულ სიტყვას ვწერ ხოლმე.

- დილით ადრე დგებით და მუშაობთ?

- დიახ. სწორედ ასე ვიქცევი. არავითარ უჩვეულო, მისტიკურ მანიპულაციებს არ მივმარტობ. უბრალოდ, ვდგები, ქვემოთ ჩავდევარ და ვწერ. დილით მოზღვავებულ ენერგიას ვგრძნობ და ამიტომ სანამ ნავიკითხავ გაზეთებს, შევამოწმებ ელექტრონულ ფოსტას, ვიბანავებ ან დაუურეკავ ვისმაც, პიჟამაში ჩაცმული ვუჯდები სანერ მაგიდას. ადგილიდან ფეხს არ ვიცივლი, სანამ ნანერით კმაყოფილებას არ ვიგრძნობ. როდესაც მაგობრებთან ერთად სადმე ვსადილობ, მინ დაბურუნებისას სანერ მაგიდას ვუბრუნდები და ვკითხულობ იმას, რაც დილით დავწერე. იმისდა მიუხედავად, მომწონს თუ არა ჩემ მიერ შეთხზული ტექსტი, ის ყოველთვის საჭიროებს რალაციის ჩამატებას ან ამოშლას. მაღობრავს ღმერთს, რომ კომპიუტერი აადვილებს ამ სამუშაოს.

- როგორ შეიქმნა "შუალამის შვილების" პერსონაჟის, სალიმ სინის სახე?

- ყოველთვის მინდოდა დამეწერა ნანარმოები, რომელშიც აისახებოდა ჩემი - ბომბეიში გაზრდილი ბავშვის - განცდები. ინდოეთში აღარ ვიმყოფებოდი და ვშიშობდი, რომ ჩემი მოვლენები სამშობლოს შესახებ მნიშვნელოვანილად გაუფერულდა. ამასთან, თუ ბავშვის დაბადების თარიღი ემთხვევა სახელმწიფოს შექმნის თარიღს, მაშინ ისინი, გარკვეულწილად, ტყუებენ არიან და ერთი მათგანის შესახებ თბობისას მეორეც უნდა გაითვალისწინოთ. ამიტომაც დავწერე რომ უნდა ერთი მიზეზი, რომლის გამოც ამ რომანზე მუშაობას ხუთი წელი მოვანდომე, იყო ის, რომ არ ვიცოდი, როგორ უნდა მეწერა ერთ-ერთი პირველი ვარიანტი ინყებოდა სიტყვებით: "თქვენი ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა თქვენს დაბადებამდე მოხდა". გგულისხმობდა, რომ ახალდაბადებული ბავშვების ცნობიერება ცარიელი არაა. მასში აკუმულირებულია ამ ბავშვების ოჯახისა და მათი ქვეყნის ისტორია. ეს ძალიან ნაავაგს ტოლსტოის თვალსაზრისს. თუმცა, ზოგადად, ამ ნიგნს

საერთო არაფერი აქვს "ანა კარენინასთან". ეს წინადადება რომანის საბოლოო ვარიანტში ჩაერთო, მაგრამ დამოუკიდებლად - სად.

მესამე პირობი თხრობა ვერ ვიგეფ და გადაეწყვიტე, პირველ პირობი მომეხირო ამბავი. დაღვა დღე, როდესაც დავეწერე ის, რაც ახლა "შუალამის შვილების" პირველი გვერდი. ძალიან აღვზნებული ვიყავი. ეს იყო ერთ-ერთი მომენტი, როდესაც ვგვტრიათ, რომ შემოქმედება ხორციელდება თქვენი საშუალებით და არა თქვენ მიერ. ვხედავდი, როგორ ერწყმოდა ერთმანეთს ძველი ინდური ზეპირმეტყველებით ნარატული ფორმები, ინდური ქალაქის სხაური და მუსიკა. პირველმა აბზაცმა მიჩვენა, რა მიმართულებით ნარმართებოდა თხრობა. სალიმს ტანსაცმლის კალთებზე ჩაებლაუჭე და მის ნებას დავემორჩილე. იყო მომენტები, როდესაც ის იმედებს მიცრუებდა. სულ უფრო პასიური ხდებოდა. ცვდილობდი, უფრო აქტიური ყოფილიყო, თავისთავზე აელო პასუხისმგებლობა მოუღებების გამო, მაგრამ არაფერი გამომდებოდა. შემდეგომში მიკითხვები ვარაუდობდნენ, რომ ეს იყო ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. რადგან ჩვენ შორის ყოველთვის მიმდინარეობდა მოძიება, რომელიმე დაემარცხდი.

- თქვენი რომელი ნაწარმოები დაინერა ასევე დამოუკიდებლად, თავისთავად?

- ყოველი ნაწარმოები თვითონვე განსაზღვრავს, როგორ უნდა დავეწეროთ ის, და ამის აღმოჩენის მომენტი ძალზე მნიშვნელოვანია. მსგავსი რამ განვიცადე, როდესაც ვწერდი "ჰარუნს და ისტორიების ზღვას". თხრობის მართებული კოლოსთვის უნდა მიმეგრე. ერთ მშვენიერ დღეს დავეწერე რომანის პირველი სტრიოენები. და მივხვდი, რომ უნდა უნდა მომეძებნა "იყო და არა იყო რას" მსგავსი სიტყვიერი ფორმულა. იგავარაკების თავისებურება ისაა, რომ გამოყენებული სიტყვები მარტივია, ვადმოცემული ამბავი კი - რთული. ეს კარგად ჩანს ინდურ იგავ-არაკებში, მაგალითად, "პანჩატანტრაში", ასევე - ეზოპის თხზულებებში და თანამედროვე იგავ-არაკებშიც, თუნდაც, კალკინოს ნაწარმოებებში.

ჯობზევ ჰეღერამ ერთხელ თქვა, რომ არსებობს წინადადებები, რომლებიც ას წინადადებებს შეიცავს. როდესაც მან "ზაფანგი-22"-ს თხზვა დაიწყო და აღწერდა, როგორ შეუყვარდა იოსარინას კაპელანი, ერთმა წინადადებამ განსაზღვრა, როგორი უნდა ყოფილიყო რომანის დანარჩენი ნაწილი. ასე მომივიდა მეც, როდესაც ვწერდი "შუალამის შვილების" დასაწყისსა და "ჰარუნს". მართლაც განვიცადე შთაგონების წუთები, მაგრამ როდესაც "სატანურ ლექსებს" ვწერდა, დიდხანს ვინვალე, სახამ მოვიფიქრებდი სცენას, რომელიც ახლა იწყება რომანი - პერსონაჟები ცოლიან ძირს ცვივან. როდესაც ამ სცენას ვწერდი, თვითონაც მიკვირდა, როგორ მომავიქრდა რომანის ამგვარი დასაწყისი.

- ყველა მწერალს აქვს შენახული თუნდაც ერთი დაწუნებული ხელნაწერი მაგიდის უჯრაში.

- უფრაში სამი დაწუნებული ხელნაწერი მიდევს. "შუალამის შვილებზე" მუშაობის დაწყებამდე (დაახლოებით 1975 წლის ბოლოს თუ 1976 წლის დასაწყისში) კრიზისის პერიოდი გადავიტანე. საკუთარ თავში ვერ გავრკვეულიყავი, ვერ ვხედავდი, რომელი გზით უნდა მეკვლი ლიტერატურაში. ამიტომ ვწერდი ნაგავს - ზოგჯერ ჭკვიანურს, მაგრამ მაინც ნაგავს. ვფიქრობ, ასეთი იყო "გრემუსიცი". ჩემს სხვა თხზულებებს არ ჰგავს. ამ მხოლოდ ნაწილობრივ ჰგავს. ზოგჯერ ძალიან მრცხვენია ამის გამო, მაგრამ უკვე ვერაფერს გაგანვობ. ის გამოქვეყნებულია. ვერაფერს შევცვლი. თუ რაიმეს დაბეჭდვისას შეცვლენ დაუშევი, ის უწყველად უნდა დავტოვო. არიან ადამიანები, რომლებიც ამის გამო შეგაქებენ კიდევ, ჩემდა გასაკვირად.

როდესაც კრიტიკოსებმა დაიწუნეს "გრემუსი", საკომენტოში ჩავვარდი. ძალიან დავფრთხი. ვფიქრობდი, რომ ჩემი, როგორც მწერლის კარიერა არ შედეგებოდა. ჩემი თაობის უმარავ მწერალს - მარტინ ემისს, იან მაკიულეს, ჯულიან ბარნსს, უილიამ ზოლას, კაპოი იმიჯურს, ტიმოთი მოს, ანჯელა კარტერს, პრიუს ჩეტუინს უკვე აღიარება ჰქონდა მოპოვებული, მე კი - არა. ძალიან დაბნეული ვახლდით.

- მაგრამ გავიდა დრო და არმუბი საკულტო ფიგურად იქცა. ფიქრობთ თუ არა ამის შესახებ, როდესაც საწერ მაგიდასთან ზიხართ?

- როდესაც ჩემს კაბინეტში ვიმყოფები, სა-მუშაოს გარდა, არაფერი ვფიქრობ. ლიტერატურული შემოქმედება ძალზე ბევრ ძალეხს მოითხოვს მწერლისგან. უმეტესი დროის განმავლობაში უძღურებს ვგრძნობთ სიტყვასთან ჭიკილიტა. განსაკუთრებით რთულია მუშაობის საწყისი ეტაპი. ამ ეტაპზე ყოველთვის ვიშობ, რომ თავს ვერ გავართმევ დასახულ ამოცანას. კარგად არც კი მესმის ხოლმე, რაში მდგომარეობს ეს ამოცანა. და ამ დროს სულაც არ მაინტერესებს, ვართ თუ არა საკულტო ფიგურა.

უფრო ძნელია პრესის მტრული დამოკიდებულების ატანა. გამიკვირდა, როდესაც ბრიტანულ პრესაში უსიამოვნო ადამიანად მომიხსენიეს. არ მესმის, რით დავიშასაზურ ამგვარი შეფასება. ვიცი, რომ არის პერიოდები, როდესაც გაქებენ და პერიოდები, როდესაც გაძაგებენ. როდესაც "მრისხანება" გამოქვეყნდა, ის პერიოდი იყო, როდესაც ძაბავდნენ. ვგრძნობდი, რომ კრიტიკული გამოხატულებების უმრავლესობა ანგინის წინააღმდეგ კი არა, ჩემ წინააღმდეგ იყო მიმართული. ისიც გამიკვირდა, რომ "მრისხანებისადმი" მიძღვნილ კრიტიკულ სტატიებს ახლდა ჩემი ფოტოსურათი მეგობარ ქალბატონ ერთად, რომელიც ახლა ჩემი ცოლია. რა კავშირი ჰქონდა ამას რომანთან? განა ჯონ აპდაიკის ან

სოლ ბელოუს წიგნების მიმოხილვებს მათი ცო-
ლების ფოტოსურათებს ურთავენ?

**- თქვენ ახსენებ ინგლისელი მწერლების
თაობა. რას იტყვოდით ნიუ-იორკელი მწერლე-
ბის შესახებ?**

- ამერიკელ მწერალთა ახალგაზრდა თაობა-
ზე დიდ იმედებს ვამყარებ. მაგრამ იყო დრო, რო-
დესაც ამერიკული ლიტერატურა რამდენადმე
გაუბედავი გახლდათ. მაგალითად, არაჩვეულებ-
რივად ნიჭიერი მწერლის, რეიმონდ კარვერის
მიმდევრთა უმრავლესობის ნაწარმოებები ძა-
ლზე ბანალურია. თითქოს ლიტერატურას სხვა
დანიშნულება არ ჰქონდეს, გარდა იმისა, რომ
აღწეროს ამგვარი სურათი: ორი ადამიანი მჯი-
ვას უზის, ვისკის ვეასი და კლიბირეზული ფა-
ზებები ესაუბრება ერთმანეთს. ახლა ამერიკელი
მწერლები ცდილობენ, შექმნან ახალი, საინტე-
რესო ლიტერატურა. ზოგიერთს ეს გამოსდის,
ზოგიერთს - არა. მაგრამ კარგი იქნება, ეს სული-
სკვეთება შეინარჩუნონ.

უცნაურია, მაგრამ სამოცდაათიანი და ოთხ-
მოციანი წლების ინგლისში არ გვსურდა, ჩვენთ-
ვის "თაობა" ეწოდებინათ. ერთმანეთს, უმეტეს-
ად, არ ვიცნობდით და ვერ გხვდებოდით გვერ-
თიანებდა თუ არა რაიმე. არ გვავდიოთ სიურრეა-
ლისტებს, რომლებმაც საერთო მანიფესტო შეი-
ქმნავეს. ერთმანეთის ნაწერების შესახებ არ ვსა-
უბრდებოდით. საკმაოდ გამიჭირდა საკუთარი
გზის მოძებნა და არ მინტერესებდა სხვათა შე-
ხედულებები.

- დანართი თუ არა ოდესმე მეჭურავს?

- სანამ განაჩენს გამომოიტანდნენ, აზრადაც
არ მომსვლია, რომ ჩემი ცხოვრება ვინმესთვის
შეიძლება საინტერესო ყოფილიყო. გწერდი მხო-
ლოდ რომანებს და ვიმედოვნებდი, რომ ისინი
საინტერესო იყო. მაგრამ როდესაც ეს საბჭოური
ამბები შემემთხვა, დღიურის წერა დავიწყე, უბ-
რალოდ, იმისთვის, რომ არ დამეჩინებოდა რაიმე.
როდესაც ყველაფერი ჩანყინარდა, ვფიქროვ, რომ
კარგი იქნებოდა, მეშუარები დამეწერა.. მაგრამ
შემდეგ გავფიქრე, რომ ერთი წელი დასჭირდე-
ბოდა მომხდარის გააზრებას, ერთი წელი - წერ-
ას, და კიდევ ერთი წელი საჯარო გამოსვლებს
მეშუარებში აღწერილ მოვლენებთან დაკავში-
რებით. ყველივე ამას ერთობლივად სამი თუ
ოთხი წელი დასჭირდებოდა. ამიტომ მეშუარებ-
ის წერაზე ხელი ჩავიქნიე.

**- შეგვიყვით თუ არა ფაქტვამ საკუთარი თა-
ვის რწმენა?**

- თავდაპირველად მართლაც მაიძულა, სა-
კუთარ ძალებში დავეჭვებულყიყიყი. ბევრი ვიფი-
ქრე, შემდეგ ერთი ამოვიოხრე და კვლავ განვაგ-
რძე მუშაობა. ამ წიგნის წერას ხუთ წელზე მეტ
ხანს მოვუნდი. დაძაბულად ვმუშაობდი მასზე.
ნამითაც არ მიფიქრია ფულის ან სახელის მოხ-
ვეჭაზე. ვცდილობდი მხოლოდ, შემიქმნა რაც შე-
იძლება სრულყოფილი ნაწარმოები, საინტერე-

სო პერსონაჟებითა და სიუჟეტით. მხოლოდ ამა-
ზე ვფიქრობდი. იმდენად დაძაბულად ვმუშაობ-
დი, რომ სრულიად არ მალეღებდა ისეთი საკი-
თხები, როგორცაა, მაგალითად, წიგნის გასა-
ღება და ა.შ. ასე გავატარე ხუთი წელი. საპასუხ-
ოდ საქვეყნოდ გამოსაძლეს. ვარდა ამისა, სი-
ცოცხლე საფრთხეში ჩავივდე. მუქარის გარდა,
დამამცირეს, დააკინეს ნაწარმოების ღირსებე-
ბი. ამბობდნენ, რომ მე ვარ უღირსი პიროვნება,
რომელმაც დაწერა უღირსი წიგნი. საუბედურო-
ოდ, დასავლეთშიც კი ზოგიერთი ასე ფიქრობ-
და. ვფიქრობდი, რა უშემაკად მინდა ლიტერატუ-
რა-მეთქი. ხუთი წლის თავდადებული მუშაობის
საპასუხოდ დამბარალეს, თითქოს ქარაფშუტა
და მუქანტილური ადამიანი ვიყავი და ეს რომა-
ნი განზრახ დავენერე. რა თქმა უნდა, განზრახ
დავენერე! განა შეიძლება, ხუთი წელი შემთხვევ-
ით საქმიანობას ეწეოდო??

**- ისინი გულისხმობდნენ, რომ პროვოკა-
ციული მიზანი გქონდათ. ხვდებოდით თუ არა,
რომ თქვენი სეკულარული თვალსაზრისი ის-
ლამთან დაკავშირებით შეიძლებოდა პროვო-
კაციული ყოფილიყო?**

- ვიცოდი, რომ ჩემი ნაწარმოები არ მოენო-
ნებოდათ რადიკალურად განწყობილ მოკლებს.

- და სწორედ ამან გამოიწვია ფაქტა.

- რა თქმა უნდა. რასაც არავინ მოელოდა.
არავინ. ეს ადრე არასოდეს მომხდარა. შემდგო-
მში შევიტყე, რომ ირანელებს ფარსიზე უკვე ეთ-
არგმნათ ჩემი წინამორბედი რომანი, "სირცხვი-
ლი", და პრემიაც მიიღეს საუკეთესო თარგმა-
ნისთვის. ამიტომ, როდესაც "სატანური ლექსე-
ბი" გამოქვეყნდა, თვით ირანელი წიგნით მოვაჭ-
რენიც ფიქრობდნენ, რომ საგანგაშო აქ არაფე-
რი იყო, რადგან მოღებმა მოინონეს ჩემი წინა-
მორბედი წიგნი. ამდენად, რეაქციამ, რომელიც
მოჰყვა "სატანური ლექსების" გამოქვეყნებას,
ირანელებიც კი ძალზე გააოცა.

**- მაგრამ ის, რომ წინაწარ არ გაითვალის-
წინებ ამგვარი რეაქცია, ძვირად დაგიჯდათ.**

- რომანზე მუშაობის დასრულების შემდეგ
ის ნაგავითვე ეღვარდ საიდან. მან მირჩია, დავ-
დაპარაკებოდი იმათ, ვისაც შემდგომში ესოდნე
მძაფრი რეაქცია ჰქონდათ ამ წიგნზე. მე, გულუ-
ბრყილოდ, უარით უპასუხე. არ მესმოდა, რა-
ტომ უნდა შეშფოთებულყიყენ ინგლისურ ენა-
ზე დაწერილი ხუთასორმოცდაათვერდიანი რო-
მანის გამოცეცის გამო. და, საერთოდ, არ მეგო-
ნა, რომ ეს რომანი მათი თვალთახედვის არეში
მოექცეოდა. ამიტომ თავი არ შემიწუნებია.

გარდა ამისა, რატომ არ უნდა იყოს ლიტერა-
ტურა პროვოკაციული? ის არაპროვოკაციული
არასოდეს ყოფილა. და წარმოდგენა იმის შესახ-
ებ, რომ ადამიანი, რომელსაც თავს ესხმინან, პა-
სუხისმგებელია ამ თავდასხმების გამო, უდანა-
შაულოს დანაშაულს მიაწერს - რაც არც ისე ძნე-
ლი გახლდათ 1989 წელს. უკანასკნელ ხანებში

ალ-ქაიდას მიერ განხორციელებულ აქტებთან დაკავშირებით ინგლისელი ჟურნალისტები წერდნენ, რომ ყველაფერი "სატანური ლექსები" დაიწყო. უკვე ყველა თანამედროშის იმის გამო, რაც იმხანად შემემთხვა. ადამიანებს რადიკალური ისლამის არსი ახლა უკეთ ესმით.

- ასე რომ, ახლა ჩვენ ვაჩვენებთ სალმან რუშდის მდგომარეობაში ყველა?

- დიახ. ამგვარი ფრაზები ახლა განუწყვეტლივ გაისმის ინგლისურ პრესაში. 1989 წელს კი სწორედ ამ პრესაში წერდნენ, რომ ვიყავი მეამბოხე, რომელიც იზოლირებული უნდა ყოფილიყო საზოგადოებისგან მთავრობის მიერ. როდესაც გადავწყვიტე ნიუ-იორკში მეცხოვრა, მათი აზრით, გადადასტურე ჩემი "უმაღლრობა". თითქოს, მაღლირი რომ ვყოფილიყავი, მთელი ჩემი ცხოვრება ლონდონში უნდა გამეტარებინა.

- 1989 წლის დასაწყისში თქვენ თქვით, რომ ფატმა გაიძულათ დაფიქრებულიყავით, ღირს თუ არა ლიტერატურა ამდენ დავიდარბად.

- მრავალი თვის განმავლობაში დარწმუნებული ვიყავი, რომ ლიტერატურულ შემოქმედებაზე ხელი უნდა ამეღო. და არა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს სახიფათო იყო. ლიტერატურა შემოქმედდა და როგორ უნდა შეენარა, თუ ეს პროცესი სიამოვნებას აღარ მანიჭებდა? დავაპირე, ავტობუსის კონდუქტორად შემეშვა. ვფიქრობდი, მთვლილბას ყველაფერი სჯობს-მეთქი. ხშირად მითქვამს (და ეს სრული სიბრძნელაა): ლიტერატურულ შემოქმედებას მხოლოდ იმიტომ არ დავავენებ თავი, რომ ჩემს შვილს წიგნს დავუპირდი. ჩემი რომანის ირგვლივ ატიხილი სკანდალი მის ცხოვრებასაც შეეხო. ამიტომ დაპირება უნდა შემესრულებინა. როდესაც მივხვდი, როგორ უნდა დამენერა "ჰარუნი და ისტორიების ზღვა", და როცა კვლავინდებურად მიყვარდა ჩემი საქმი, ბედნიერების გრძნობა დამეძულა. ეს იყო ბედნიერების პირველი განცდა 1989 წლის თებერვლის შემდგომ.

იმ პერიოდში ბეკეტის ტრილოგიას ვკითხულობდი. "უსახელო" ისეთივე რთულია, როგორც "ფინეგანის ქლეხი", მაგრამ მისი სტოიციზმი მამხნევებდა. ვკითხულობდი, ასევე, ვოლტერს - და ვხვდებოდი, რომ მე არ ვიყავი ერთადერთი მწერალი, რომელმაც რეპრეზენტი განიცადა. საშობლოდან განდევნილმა ოვიდიუსმა, სკვადილისჯილმა დოსტოევსკიმ, პატიმრობაში მყოფმა ჟენემ შექმნეს ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორებიცაა: "მეტამორფოზები", "დანაშაული და სასჯელი", ჟენეს მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. თუ მათ შეძლეს, მეც უნდა შევძლო-მეთქი, გადავწყვიტე. ამან ბევრი უსიამოვნო განცდა აპარდა.

მაგრამ ახლაც ვერ ვხვდები, როგორი რეაქცია ექნებათ მკითხველებს ჩემს წიგნებზე... არავითარი წარმოდგენა არ მაქვს ამის შესახებ... ვფიქრობდი, რომ "სატანური ლექსები" ჩემი უკ-

ანასკნელი პოლიტიკური რომანი იყო. მთელი ამ დავიდარბის შემდეგ მან "აფეთქა" ლიტერატურული სამყარო, განსაკუთრებით - უნივერსიტეტებში. ამ რომანს მხოლოდ რელიგიანა შედარებითი ისტორიის კურსებზე ან ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის კურსებზე როდი კითხულობენ. ვიღებ წერილობ, რომლებიც არც კი მოისხენიან ისლამი. ასევე, ვიღებ წერილებს ადამიანებისგან, რომლებსაც მოსწონთ კომიკური ელემენტები რომანში, რის შესახებაც, ჩვეულებრივ, არავინ საუბრობს. მე კი ვფიქრობ: მაღლობა ღმერთს! ღირდა ბრძოლა, რომ ეს წიგნი გადარჩენილიყო. ის ხომ წიგნია და არა ცხელი კარტოფილი. ის, ბოლოს და ბოლოს, რომანია.

- "სატანურ ლექსებშიც" და "შუალამის შვილებშიც", ისევე, როგორც ზოგიერთ ესეში გვხვდება გამოთქმა: ღვთის მსგავსი ნაპარალი. ეს ფრაზა კვლავ რაიმეს გეუბნებათ?

- ადამიანებს სჭირდებათ რწმენა იმისა, რომ, ფიზიკურის გარდა, არსებობს არამატერიალური სამყაროც. თუ ვისმე დემით არ სწამს, მაინც სურს, დროდადრო განიცადოს ამაღლებული, მანუგებებული გრძნობები. ადამიანს სჭირდება, აგრეთვე, ის, რასაც გვაძლევს რელიგია - ეს არის ზოგადი ზიარებულობის გრძნობა, საერთო მეტაფორული სტრუქტურა, საერთო ენა, რომლის მეშვეობითაც საკუთარ თავს განუმარტავთ სხვებს. რელიგია ყოველივე ამას აძლევს ადამიანებს. თუ დემით არ ვნამთ, მაშინ ეს არსებითი დეფიციტი სხვაგან უნდა შეავსოთ. ამას ნაპარალს ვუნდებ. რელიგიის ორი მნიშვნელოვანი საკითხია, საიდან მოვედით და როგორ უნდა ვიცხოვრობო. ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, საინტერესოა ლიტერატურული წარმოდგენები ჩვენი წარმომავლობის შესახებ, მაგრამ არ მაინტერესებს მათი განმარტებები. არ მივდივარ სასულიერო პირებთან, რათა პასუხი მივიღო ამ კითხვებზე. როდესაც მათთან მივდივართ, ნახეთ, რა ხდება! ხდება ჰომინი! ხდება თალიბანი! ხდება ინკვიზიცია!

- მამ სად მიღიხართ ხოლმე?

- არსად. კითხვაზე, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, პასუხის გაცემა შეუძლებელია. ეს მუდმივი დისკუსიის საგანია. თავისუფალ საზოგადოებაში ვკამათობთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიცხოვრობო, და ნახეთ, როგორ ვცხოვრობთ! ეს დემოკრატიაა: ყველაზე ნაკლებად უვარგისი სისტემა შესაძლო სისტემათაგან. ადვილია, უარი თქვა რელიგიის განმარტებებზე, ნუგეშზე, ეგზალტიაციაზე. საზოგადოებაზე უარის თქმა უფრო ძნელია. ჩემს ცხოვრებას ავსებს ლიტერატურა, და არა მარტო ლიტერატურა, არამედ - ფილმი, მუსიკა, მხატვრობა, საერთოდ, ხელოვნება. და კიდევ, არსებობს სიყვარული. სიყვარული ცოლის, შვილების, მშობლების მიმართ. სიყვარული მეგობრების მიმართ. მეგობრები ჩემთვის საგანგებო ღირებულებაა. ყოვე-

ლთვის ასე იყო. ალბათ, იმიტომ, რომ სამშობლო და გტოვე და იძულებული ვიყავი, მეხეტიალა მთელ მსოფლიოში. ოჯახის წევრებთან კავშირი არ გამინწყვეტია, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულებები დაიძაბა. მეგობრები ის ოჯახია, რომელსაც ჩვენ თვითონ ვქმნით. ძალზე მიყვარს ის ადამიანები, რომლებიც ჩემი ოჯახის წევრები არიან. ეს მიქარგებს მარტოობის განცდას და მაგრძობინებს, რომ, უბრალოდ, მექანიზმი არა ვარ.

- რა სახის ლიტერატურა გეხმარებათ შემოქმედებით მუშაობაში?



- ლექსებს ვკითხულობ, რადგან პოეზია შემახსენებს, რომ მეტი ყურადღება უნდა დავუთმო ენას. უკანასკნელ ხანებში ვკითხულობდი ჩესლავ მილოშს, აგრეთვე - ბობ დილანის შესანიშნავ "ქრონიკებს", რომლებშიც ხშირად გაუმართავი გამოთქმები გვხვდება. მაგალითად, *evidently*-ს ნაცვლად *eentially*, ხოლო *Incredulously*-ს ნაცვლად *incredibly*. რედაქტორი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი დილანიზმები იყო.

რენდალ ჯარელი წერს: "რომანი არის მოუწესრიგებელი პროზაული ტექსტი". ჩემი აზრით, ეს სწორია. თუ აპირებთ დანეროთ ასი, ას ორმოცდაათი ათასი, ორასი ათასი სიტყვა, სრულყოფილება გამორიცხულია. შექსპირის თოთხმეტსტრიქონიანი ლექსები უზაღოა, მაგრამ რო-

მანი რომ დაენერა, შეცდომებს უსათუოდ დაუსვებდა. მის პიესებში შეინიშნება დეფექტები - მოსაწყენი ადგილები. მაგრამ თუ კითხულობთ იმ მიზნით, რომ დატკბეთ ტექსტით, ყურადღებას არ მიაქცევთ ხარვეზებს. ასე ხდება ლიტერატურულ კრიტიკაშიც. არიან კრიტიკოსები, რომლებიც განიხილავენ ნაწარმოების დადებით მხარეებს. და არიან სხვები, რომლებიც ნაკლოვანებებს ეძებენ. ჯულიან ბარსის "ფლობერის თუთიყუში" (იმ თავში, რომელსაც ეწოდება "ემა ბოვარის თვალები") მიუთითებს, რომ ემას თვალების ფერი რომანში სხვადასხვანაირადაა მითითებული.

- ღიზიანდებით, როდესაც ვერ ახერხებთ ყოველდღე წერას?

- თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, როდესაც ვწერ. მეორე მხრივ, შემოქმედებითი პროცესი არ წყდება, როდესაც ვამთავრებ ერთ ნაწარმოებს და ჯერ არ დამწყია მეორის წერა. გონება მაინც მუშაობს. მოულოდნელად წარმოიშლება ხოლმე პერსონაჟი ან აბზაცი ან სიუჟეტი, რომლებიც შეიძლება იქცეს მოთხრობის ან რომანის საფუძვლად. ისევე დაძაბულად ვმუშაობ, როდესაც არ ვწერ, როგორც მაშინ, როდესაც ვწერ. წმინდა შემოქმედება სხვა არაფერია, თუ არა ჭვრეტა.





რწმენის მოთხოვნებისა და ევროპული კულტურის შესახებ

რუთ შნაიდერის ინტერვიუ იულია კრისტევასთან

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

იულია კრისტევა მიეკუთვნება იმ თანამედროვე ინტელექტუალთა რიცხვს, რომელთა სახელებს ყოველთვის პატივისცემით და მონივნებითაც კი მოიხსენიებენ ხოლმე.

კრისტევა გახლავთ ფსიქოანალიტიკოსი, ესეისტი, რომანისტი; რვა უნივერსიტეტის (ჰარვარდის ჩათვლით) საპატიო დოქტორი; კითხულობს ლექციებს კოლუმბიისა და "ნიუ-სკულის" უნივერსიტეტებში (ნიუ-იორკი). მისი ნაშრომები, რომელთა თემატიკა მოიცავს მეცნიერების მრავალ სფეროს, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ევროპისა და ამერიკის მეცნიერთა და ფემინისტთა შორის. კრისტევას ორიგინალური ფილოსოფიური და ფსიქოანალიტიკური იდეები, შესაძლოა, აღიზიანებს ზოგიერთს, მაგრამ მრავალი ინტელექტუალისთვის სიხარულისა და სიამოვნების წყაროს წარმოადგენს.

იულია კრისტევას ვესაუბრეთ რწმენის მოთხოვნებისა და ევროპული კულტურის შესახებ.

- თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ, ევროპელები, საკმარისად თავდაჯერებულნი არ ვართ. კერძოდ, თქვენი ლექცია ბერლინის ფესტივალზე შეეხება ევროპული კულტურის თემას. ეს საკითხი განუხებთ? გგონიათ, რომ ევროპული იდენტობა კრიზისს განიცდის?

- იდენტობა გამუდმებით განიცდის კრიზისს. ეს ევროპული აზროვნების დამახასიათებელი თვისებაა. კითხვაზე - რა არის იდენტობა - ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია. თუ იდენტობა კრიზისს განიცდის, მით უკეთესი მისთვის, რადგან ესაა განვითარებადი, ელსი იდეა. იდენტობის ამგვარი კონცეფცია მემკვიდრეობით მივიღეთ ბერძნული დიოალოგური ფილოსოფიიდან, ბიბლიური აზროვნებიდან, ქრისტიანული მისტიკიდან და ფილოსოფიიდან. ყველა ეს საკითხი ნამოიჭრა განმანათლებლობის ეპოქაში: თავისუფლება, ქალთა ემანსიპაცია, სექსუალური თავისუფლება, ჩაგრულთა განთავისუფლება, ასევე - ბრძოლა თვითმყოფლის შენარჩუნებისთვის, რომელიც ამჟამად მიმდინარებს არაბული სახელმწიფოებში. ეს ძალზე დადებითი ტენდენციაა. პერმანენტული კრიზისი, მარადიული სწრაფვა განახლებისკენ უაღრესად ნაყოფიერი პროცესია.

- მიჭირს, დავეთანხმო თქვენს შეხედულებას.

- რა თქმა უნდა. ისიც აშკარაა, რომ ევროპა კარგავს სწრაფად რეაგირების უნარს. უსასრულო დებატებს კარგი არაფერი მოაქვთ - ეს ევროპის ტრაგედიაა. მას არ ძალუძს, ჩაერთოს თანამედროვე კონფლიქტებში და, იმავდროულად, შეინარჩუნოს იდენტობის ღია, განვითარებადი გაგება.

- რა საშუალებაა გვიქადის არასაკმარისი თავდაჯერებულობა? შესაძლებელია თუ არა, რომ ერებმა, ადამიანების მსგავსად, განიცადონ ეგზისტენციალური კრიზისი და დეპრესია? რამდენად შეუძლია ფსიქოანალიზს დაეხმაროს ერებს კრიზისის დროს?

- ვფიქრობ, შესაძლებელია ფსიქოანალიზის გამოყენება არა მარტო ცალკეული ინდივიდების, არამედ - ერების მიმართაც. რას ნიშნავს ეს? დათრგუნულ ინდივიდს დაკარგულს აქვს საკუთარი თავისი რწმენა. ის შეძლებს გაიაზროს თავისი ნაკლოვანებები და პრობლემები, გააცნობიეროს მიღებული ტრავმები და აღმოაჩინოს თავის თავში ახალი უნარები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექნება საკუთარი თავის რწმენა. ფსიქოანალიტიკოსის ძირითადი ამოცანაც ისაა, რომ აღუდგინოს ეს რწმენა. ამჟამად ბევრი ევროპული საზოგად-

ობა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. ამავე დროს, ტრადიციულ კულტურებს ავინროებენ ტალღები სხვა კულტურებიდან და კონტინენტებიდან შემოჭრილი იმიგრანტებისა, რომელთაც განსხვავებული ტრადიციები აქვთ. შეიცვალა ოჯახური ცხოვრების ფორმები, დამკვიდრდა ახალი სოციალური, ექსპულსური და ქცევითი ნორმები და ა.შ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვცდილობთ გავიაზროთ ყოველივე ეს, რათა გადავჭრათ პრობლემები. მაგრამ, ზოგადად, ევროპის და, კერძოდ, ევროპული ერების ეროვნული იდენტობის პრობლემის გადაჭრას ხელს უშლის, ძირითადად, დანაშაულის გრძნობა ნარსულში დაშვებული შეცდომების გამო.

- მაგალითად?

- კოლონიალიზმი, ინკვიზიცია, მამაკაცური შოვინიზმი, ჰოლოკოსტი და ა.შ. კერძოდ, მემარცხენეების (მათ რიცხვს მეც მიეკუთვნები) შემოხვევაში ამგვარმა ისტორიულმა ტერორმა ძალზე უარყოფითი როლი შეასრულა და ხელი შეუშალა, სათანადოდ დაეფასებინათ ევროპული კულტურის პროგრესი და მიღწევები, რომელთა დახმარებითაც შეეძლოთ გავაზრებინათ და გადავლახათ ეს შეცდომები, მიეგნოთ ახალი გზებისთვის.

- თავისუფლების იდეის პროპაგანდისას თავს ხომ არ ვახვევთ სხვა ხალხებს ევროპულ უნივერსალიზმსა და ევროპულ ტრადიციებს?

- ჩვენ არა მარტო ვავრცელებთ უნივერსალიზმს სხვა ქვეყნებში და სხვა კონტინენტებზე, რომლებიც მიისწრაფვიან თავისუფლებისადმი, არამედ უკვე ვსაუბრობთ არა სამყაროს, არამედ - მულტისამყაროს შესახებ, რათა მოხდეს სხვა საზოგადოებების ინტეგრაცია უნივერსალიზმის ევროპულ იდეაში. ამ საზოგადოებებს პატივს ვცემთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრსებობს ზოგადი ნორმები, რომლებიც ევროპულ ტრადიციაში უფრო მყარად იქნა შემუშავებული, ვიდრე სხვა ტრადიციებში. მათი გაზიარება სხვებსაც შეუძლიათ და ასეც იქცევიან. რაც შეეხება თავისუფლების იდეას, ჩვენ ვიცით, რამდენად სახიფათოა ეს ცნება, რადგან მისი სახელით მოხდა უამრავი ბოროტმოქმედება, მაგრამ მსწრედ თავისუფლების სახელით დაამხეს უკანასკნელ ხანებში დიქტატორული რეჟიმები არაბულ სამყაროში.

- არავის გგონია, რომ არაბულ სამყაროს შეეძლო თავისუფლების მოპოვება...

- ღიახ, ევროპის მთავრობები მხარს უჭერდნენ იმ რეჟიმებს, მაგრამ ეს იყო ბიუროკრატიული, სტატუს კვოს ევროპა. ახლა არა-

ბები აჯანყდნენ ამ ევროპისა და საკუთარი დიქტატორების წინააღმდეგ. ახალგაზრდებსა და სხვა რევოლუციონერებს სურთ თავიანთ ქვეყნებში დაამკვიდრონ ევროპული ფასეულობები. ხომ ხედავთ, რაოდენ მრავალფეროვანი და მრავალმერობრივია ევროპული კულტურა. ჩვენი დანიშნულებაა განვაგრძოთ ის პროცესი, რომელსაც ნიქსე "ტრადიციის გადაფასებას" უწოდებდა და ვცადოთ ამ სულისკვეთების რეალიზება.

- ამგვარად, არაბთა ბრბოების ყიჟინამ ძილი დაუფრთხო მთელმარე ევროპელებს. მათ გაითავისეს ის ევროპული იდეა, რომელიც ჩვენ, ლამისაა, დავივიწყეთ.

- დიახ, ადამიანის უფლებების იდეა. ის მძლავრი სტიმულია თვითმადიებელი ჰუმანიზმისთვის, როგორც უსასრულო სამშენებლო მოედნისთვის.

- ესე იგი, თქვენთვის არსებობს ერთადერთი ევროპა, ერთადერთი ევროპული იდეატობა?

- ევროპა მრავალფეროვანია. მას რამდენიმე იდეატობა აქვს. ესაა ცვალებადი, მერყევი იდეატობა, რომელიც შედგება მრავალი განსხვავებული ერის იდეატობებისგან. ევროპელი - კალიდოსკოპული პიროვნებაა, რომელიც შეიძლება მეტყველებდეს ოცდახუთ ენაზე. ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერი სტუდენტს ამჟამად ლაპარაკობს, სულ ცოტა, სამ ან ოთხ ენაზე. ეს კი ნიშნავს განსხვავებული მოდუსებით აზროვნებას. თანამედროვე ევროპას აერთიანებს თვით მისი მისწრაფება მრავალფეროვნებისადმი. მაგრამ ის ერთგვაროვანი როდია.

- ამჟამად თქვენ აპირებთ მონაწილეობა მიიღოთ ვატიკანის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, სადაც გაიმართება პაექრობა ფილოსოფოსებსა და მორწმუნეებს შორის. რამდენად მნიშვნელოვანია ქრისტიანული მემკვიდრეობა ჰუმანიზმის ცნების განსაზღვრისთვის?

- კონფერენცია ტარდება ვატიკანის ინიციატივით. ესაა მორწმუნეებისა და ჰუმანიზტების შეხვედრა, სახელწოდებით ურწმუნოთა კარიბჭე (Parvis des Gentils). ჩემი აზრით, ჰუმანიზმი ნარმოიშვა ქრისტიანობიდან, შემდეგ გამოეყო ქრისტიანობას და შეინარჩუნა რამდენიმე ქრისტიანული ფასეულობა, მაგრამ მთლიანად გადაასხვავებდა და გააღმრთა ისინი, სხვები კი უგულვებელყო. ერაზმუსის, დიდროს, მარკო დე სადის (მისი რადიკალურობის მიუხედავად) ნაზრევი, განსაკუთრებით კი - ფროიდი გვეხმარება გადავაფასოთ კაცობრიობის სხვა ცნებები, რომლებიც მრავ-

ლობითია, რთული, და ითვალისწინებს არა მარტო მამაკაცებს, არამედ - ქალებსაც, ახალგაზრდებს, მოზარდებს, ბავშვებს, მოხუცებს, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებსაც და ა.შ. მთელი ეს მრავლობითობა უკვე არსებობს ჩვენს კონცეფციაში, რომელიც განუწყვეტილად განახლებას განიცდის.

არ არსებობს ინერტული, უმოქმედო ჰუმანიზმი. ამჟამად მარწმუნებს მონოტეობა, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის გაღმა ნაპირიდან გაისმის. ვხედავ, როგორ ანადგურებს კადაფის ტყეები იმ ადამიანებს, რომლებიც არ მიემხრნენ ნევრულეზიან ფუნდამენტალიზტებს. რა თქმა უნდა, ამჟამად მთავარი პრობლემა ისეთი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც ჩაენაცვლებიან ძველ კორუპირებულ რეჟიმებს. შესაძლოა, ეს ფუნქცია იკისრონ მაჰმადიანურმა საძმომ და სხვა ისლამისტურმა ორგანიზაციებმა. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ადამიანი შეიძლება ისწრაფოდეს თავისუფლებისკენ და, ამასთან, თავი აარიდოს ისლამიზმს, იპოვოს ახალი ფორმები, ახალი გამოხატულებები.

- რა ადგილი უკავია რელიგიას თავისუფლების ძიების პროცესში? შეძლებენ თუ არა თანამედროვე "განჯადოებული" (ვებერის თქმით) საზოგადოებები, შეეგუონ იმ აზრს, რომ ადამიანს აქვს რწმენის მოთხოვნილება?

- განა რელიგიის დანიშნულება მოჯადოებაა? ამ თვალსაზრისის მიხედვით, რელიგია სხვა არაფერია, თუ არა "ოპიუმი ხალხისთვის". რა არის მოჯადოება? ყალბი ილუზიების შექმნა, რათა გამოიწვიოს ენთუზიაზმი, რათა ანაგეგმოს ვინმე ან ერთმანეთს გადაამტეროს განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანები ან ხალხები. არა, რელიგია არავის აჯადოებს. რელიგია არის ადამიანის მიერ მიგნებული ზოგიერთი ჭეშმარიტების სათავსი. ებრაული ან ქრისტიანული რელიგიების (რომელთაც შედარებით უკეთ ვიცნობ) ემოციონისა და ვნებების საფუძველია კითხვები: ვინ ვარ მე? რაში მდგომარეობს ცხოვრების საზრისი? რა მიმართება არსებობს სიცოცხლეცა და სიცოცხლის შორის? ჩემი ემოციები, ჩემი სურვილები, ჩემი აღქმა, ჩემი ენობა, ჩემი ინტერპრეტაციები, მთელი ჩემი შინაგანი ცხოვრება, არის საგანძური, რომელსაც გვთავაზობს რელიგია და რომლის უკეთ გააზრებასაც ცდილობენ სოციალური მეცნიერებები ამჟამად, იქნებ ეს ანთროპოლოგია, ხელოვნების ისტორია, რელიგიის ისტორია, ფსიქოლოგია თუ სხვა. ესაა ადამიანის შინაგანი ცხოვრება, რომელიც აკავშირებს მას სხვა ადამიანის შინაგან ცხოვრე-

ბასთან, ერთობლივად კი წარმოქმნის საზოგადოებას. შინაგანი ცხოვრების გარეშე საზოგადოება შეიძლება იყოს მხოლოდ ბანკები და ინტერნეტი; ესაა მარტოოდენ წერტილები ან ლაქები, რომლებიც ურთიერთობენ ფეისბუქის საშუალებით. ჯებირის ჰიპერკომუნიკაციის და ახალი ტექნოლოგიების სიჭარბის წინააღმდეგ წარმოადგენს მხოლოდ თანამედროვე მეცნიერებებით და, ასევე, ტრადიციით გაცისკროვნებული შინაგანი ცხოვრება.

- თქვენ გულისხმობთ რწმენის მოთხოვნებს, რომელიც შესანიშნავად განიხილეთ ამავე სახელწოდების წიგნში?

- რწმენის მოთხოვნდება ფსიქოანალიტიკური გამოცდილების მეშვეობით აღმოვაჩინე. ესაა უნივერსალური, ანთროპოლოგიური მოთხოვნდება, რომელიც შეიმჩნევა ყველა რელიგიაში. ის წინარერელიგიური, წინარეპოლიტიკურია და მდგომარეობს ადამიანის უნარში, მოახდინოს თავისი თავის "ინვესტირება" სხვა ადამიანში. აქ ვგულისხმობ უნარს, მიუძღვნა შენი თავი სხვა ადამიანს, ჩასწვდე მის ემოციებს, იზრუნო მასზე და მოელოდე ამავს მისგან. ამის მაგალითია დედის ზრუნვა თავის შვილზე, ფროიდს კი ეს წარმოადგება, როგორც პირველადი იდენტიფიკაცია მამასთან. იცით, რა სიტყვით აღინიშნება სანსკრიტში ინვესტირება? გერმანელები ამბობენ *Besetzung*, ინგლისურში კი იყენებენ სიტყვას *cathexis*. ინდოევროპული ძირია "*cred*", რომელიც იძლევა *credo*-ს და ისეთ სიტყვებს, როგორცაა, მაგალითად, კრედიტი. კათექსისი ნიშნავს არა დაქვემდებარებას ან ექსპლუატაციას, არამედ - ორმხრივ კავშირს, ორმხრივ ურთიერთგამსჭვალვას. ესაა თავისუფლების უკიდურესი ფორმა - სიყვარულის ნაირსახეობა, რომელიც, ალბათ, ყველაზე ღრმად, ყველაზე მგზნებარედ და ცხადად არის წარმოდგენილი ქრისტიანულ, ბერძნულ და ებრაულ ცივილიზაციებში. ჩემთვის, როგორც მწერლსა და ფსიქოანალიტიკოსისთვის, სწორედ კათექსისია ის უნარი, რომელსაც ძალუძს, წინ აღუდგეს ადამიანის ტექნოკრატიზაციის, რობოტიზაციისა და ბანალიზაციის ყველა სამიშროებას.

- რა ადგილი უკავია ღმერთს ამ სურათში?

- ღმერთი რელიგიის საყრდენია. ადამიანს კი სჭირდება "ინვესტირება" სხვა ადამიანში, თბილი, ემოციური, მღელვარე, სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულება საზოგადოების წევრებთან. სიტყვა *ღმერთი* ცოტათი ბუნდოანეა, რამდენადაც ირანზორვანი და ზოგჯერ უშინარსო. როგორც ჰუმანისტები, ჩვენ თავს

ვარიდებთ მას, როდესაც კათექსის ვერ ვახორციელებთ.

- არის თუ არა რელიგიის მდგრადობა შედეგი "რობოტიზებული", "ტექნოკრატიზებული" საზოგადოებისა, რომელიც უგულვებელყოფს ამ მოთხოვნებს?

- ესაა თანამედროვე საზოგადოების მხოლოდ ერთ-ერთი შედეგი. იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ადამიანმა დაიწყო მეტყველება, ის ტექნოლოგიაშია, "ფეისბუქობს", კომუნიკაციის საშუალებებს იყენებს. მაგრამ როდესაც ადამიანი მხოლოდ ამ საქმიანობას ეწევა, და როდესაც ეკონომიკა და პოლიტიკაც მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება, სრულიად ვივინყებთ გრძობებს. ინტერნეტი არ უნდა ვავაუქმოთ, მაგრამ მისი დანიშნულება უნდა ვაფართოვდეს. ადამიანები რელიგიაში გრძობებს ეძიებენ - უფრო ღრმა, უფრო ემოციურ, უფრო სენსუალურ კონტაქტს. "*Le mond*"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში (მისტიკური ცდუნების შესახებ) ვნერძი, რომ ჩვენი მიდრეკილება მისტიკურის ძიებისადმი ადასტურებს - თანამედროვე სეკულარიზებულ საზოგადოებას არ ძალუძს შექმნას სიყვარულის დისკურსი. "პრაქტიკული გონის კრიტიკაში" კანტი ამბობს, რომ არ შეიძლება შეიქმნას მორალი მთელი კაცობრიობის "*corpus mysticum*"-ის გარეშე, მაგრამ როგორ უნდა შექმნათ ეს *corpus mysticum*-ი? ეს შეუძლებელია ინტერნეტით, რადგან ინტერნეტი სხვა არაფერია, თუ არა კომუნიკაცია ენის ელემენტების მეშვეობით. ენის ელემენტები ეს ის სიგნალებია, რომლებიც მიქმნის ილუზიას, თითქოს მეგობრები მყავს. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ეს *corpus mysticum*-ი. საჭიროა, უბრალოდ, უფრო ხშირად ვწერთ და შევხვედეთ ერთმანეთს, უფრო ღრმად ჩავწვდეთ სხვა ადამიანების სულს მეცნიერების, ფსიქოანალიზის და ა.შ. აგრეთვე - მორწმუნეთა და ურწმუნოთა შეხვედრების მეშვეობით. საჭირო არაა რელიგიების რეაბილიტაცია - უნდა ვცვალოთ მხოლოდ, გავიზაროთ სიკეთე, რომელიც მათ მოუტანეს კაცობრიობას.

- თქვენ თქვით, რომ ჩვენ, ევროპელები, უცხოელებად აღვიქვამთ თავს. რას გულისხმობდით?

- ვგულისხმობდი, რომ ევროპელი ერებისთვის დამახასიათებელია არა მარტო ერთიანობის, არამედ - ერთმანეთისგან გაუცხოების განცდაც. ამ განცდას მიყვარული განსხვავების იდეამდე. ვაცნობიერებ, რომ ადამიანები ერთმანეთში კი არ არიან, არამედ - განუშემორებელი. ეს შეიძლება იქცეს ახალი ჰუმანიზმის მორალის საფუძვლად.

- ასეთი განცდა გქონდათ, როდესაც საფრანგეთში გადასახლდით?

- ეს იყო ჩემი ბედისწერა, პოლიტიკა და ისტორიული მოვლენები კი ამგვარ შემთხვევებში დამატებითი ფაქტორის როლს ასრულებს. ადამიანმა კარგად უნდა გაიაზროს შესაძლებლობები, რომელთაც მას ცხოვრება სთავაზობს და სცადოს ადაპტირება ახალ პირობებთან.

- თქვენი რომანის ("სიკვდილი ბიზანტიაში" - "Meurtre à Byzance") მთავარი პერსონაჟი ამბობს: "მე ვმოგზაურობ ჩემს თავში". ეს განცდა მსჭვალავს მთელ თქვენს შემოქმედებას და მომდინარეობს წმ. ავგუსტინეს ცნობილი სიტყვებიდან: "ზოროტი სულით შეპყრობილი, საკუთარ სახლში ყოფნისას...". სად იმყოფებით ამჟამად?

- კვლავ ვიმყოფები ენებს შორის და ვაკვირდები ჩემი სულის განსხვავებულ ნახნაგებს. პიკასოსეული პორტრეტები წარმომიდგება თვალწინ.

- რომელი პერიოდის პორტრეტები?

- იმ პერიოდისა, რომელიც ყველას როდი უყვარს. ჩემი აზრით, პიკასომ, რომელიც ქალებს კუბისტური მანერით ხატავდა, ძალზე ღრმად განჭვრიტა თავისი მოდელების სულის სიღრმეები. ვმოგზაურობ, აგრეთვე, შამპანურში - ლეინოში, რომელიც ძალიან მიყვარს,

რადგან ის ჩემთვის ასოცირდება მულტისამყაროსთან. არსებობს შამპანური როგორც ერთიანობა, ესე იგი, ერთგვარი "სამყარო". მაგრამ ეს სამყარო შედგება შამპანურის უამრავი პანანინა ბუშტუკისგან. თითოეული მათგანი არის განსაკუთრებული სამყარო, მაგრამ ერთობლივად ისინი ექვემდებარებიან საერთო კანონებს. ჩემი აზრით, შამპანური "საკუთარ თავში მოგზაურობის" შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. საკუთარ თავში ვმოგზაურობ და ვაგემოვნებ უსასრულო მრავალფეროვნებას შამპანურის ბუშტუკებისა, რომლებიც სხვა ადამიანების სამყაროებს წააგავს.

- ამას შეიძლება ვუწოდოთ გურმანის მეტაფიზიკა.

- დიახ. გრძნობა - სამყაროა.

- მე კი მეგონა, გრძნობათა შორის უპირატესობას შეხებას ანიჭებდით.

- ნამდვილად ასეა. არისტოტელე ამბობდა, რომ შეხება ყველა სხვა გრძნობის საფუძველია. დაგემოვნებაც შეხების სახეობაა, ოღონდ - კანში არსებული სხვა რეცეპტორების მეშვეობით...

ინტერვიუ ჩანერილია 2011 წლის
 მარტში

© exberliner.com




გიორგი კაკელიძე

ნიგნი, სექსი, ცეცხლი და მახვილი

“მურტალი ის არის, რომ ნიგნებისგან ბევრი ფერფლი გროვდება, და მერე, როცა ლუმელის კარს ალებ, ჰაერში დაფრინავს ქალაქის შავი ფერფლი და იატაკს ეფინება, ჩვენც გვეფინება, როცა იატაკზე ვენევართ, მაგრამ არ ვაქცევთ ყურადღებას”.

ზურა მესხი - "საპაშემბე"



“დონ კიხოტს ჯერ ისევ ეძინა. მღვდელმა დის-
ნულს იმ ოთახის გასაღები სთხოვა, სადაც ესოდ-
ენ დიდი უბედურების მიზეზი - ნიგნები ინახებო-
და”. - ასე იწყება მეექვსე თავი - “თუ რა გულდას-
მითა და სეირით გასინჯეს მღვდელმა და დალაქმა
ჩვენი მახვილგონიერი იდაღვოს ბიბლიოთეკა”. ყო-
ველადაგენიალური სერვანტესი. ყოველადაგენიალუ-
რი ლამაზჩელის ამბავი. ხოლო სცენა და დიალოგი
ისე ვითარდება, მთელი მანამდელი და შემდეგი
მსოფლიოს ამბებს აღწერს ამ მიმართულებით. დი-
სნულის და სახლის გამგე ქალის მოსაზრებით ყვე-
ლა ნიგნი მავნეა, რადგან მათში ცხოვრებისგან მო-
წყვეტის და სხვისი ცხოვრებით გადარევის ვარდა
არა ყრია რა. ლიცენციატის წინადადებით კი საჭი-
როა მათი გადარჩევა სათაურების (აქ ქართული
სამამულო სპორტი მოგაგონდებათ - სახელწოდებ-
ების მიხედვით ნაწარმოებების განსჯა) მიხედვ-
ით უნდა მოხდეს - მავნენი დაისაჯონ, უვნებელი
გადარჩნენ.

ნიგნი ადამიანივითაა. მასავით იბადება და ცო-
ცხლობს. ებრძვიან. იწონებენ ან იწუნებენ. უყე-
ართ და სძულთ. ხშირად აპატიმრებენ კიდევ. მა-

გალითად, თბილისში, ყოფილი ნიგნის პალატის
შენობაში ოდესღაც ზუსტად მსგავსი სატუსალო
იყო მოწყობილი, სადაც რობაქიძისა და ჯავახიშ-
ვილის ტექსტები იხდიდნენ სასჯელს. ავად ხდება
ან პირდაპირ ავადმყოფი იბადება. სიკვდილის კი
რა მოგახსენოთ - ნიგნები ადამიანისგან განსხვავ-
ებით, უცნაურად მრავლდებიან. მათი ცალები ხან
რომელიმე სარდაფს აფარებენ თავს, ხან ვიღაცის
უბეს. ძნელია ნიგნის მოკვლა. ყველაზე უფრო უიმ-
ედოდ დაკარგული ნიგნის პოვნა შეიძლება სადმე,
სრულიად შემთხვევით. ამ თვალსაზრისით მისი
მაძიებელი კრიპტოზოოლოგებზე იმედინად უნ-
და იყვნენ.

რაც შეეხება მოკვლის მცდელობას, აქ მიზეზი
ვახლავთ სხვადასხვა. პირველი და უმთავრესი -
შიში. გავანდგურით ჩვენთვის მიუღებელი ჩვენი-
ვე სიმშვიდისთვის. მეორე, უფრო ცივილური - გა-
დარჩევა. უკვე უვარგისი ნიგნებისთვის არსებობს
საერთო სასაფლაო - მაკულატურის საწყობი. ეს
გზა საბოლოო ამონყევტას არ გულისხმობს, მათი
ეგზემპლარები ინახება, ხოლო უმრავლესის სხეუ-
ლიდან სხვა, ახალი სხეული იბადება. ეგვიპტისა

მიაგავს ეს საქმე, მაგრამ ბექდური ეპოქებისთვის გარდაუვალი იყო. ელექტრონულ ეპოქაში, ბუნებრივია, ამგვარი მეთოდის აუცილებლობა ქრება. აქ უკვე მარადიული და თანაბარი სიცოცხლეა გარანტირებული. ჰო, კიდევ არის მესამე ამბავიც - საჭიროება. მაგალითად, იმისთვის, რომ ცეცხლი დაწვით, ოთხმოცდაათიანების ბნელ დამეგებში 1970 წლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ან მის ამხანაგს განირაგდნენ ხოლმე. რაღა შორს წავიდეთ - ჩვენში ბებერი წიგნების უმეტესობამ ჩჩჩმება და საპირფარეოებში განუტევა სული.

მაგრამ მთავარი და სამიწილი მტერი - ცხადია, შიშია. სიძულვილი და შიში.

სწორედ შიში და სიძულვილი კარნახობდათ, ესპანეთსა და პორტუგალიაში - ერეტიკოსების და მათი ნაწერების საჯაროდ დაწვას რომ მიჰყვეს ხელი. იქ, ბოლოს ეს საქმე 1826 წელს, ვალენსიაში აღსრულდა.

1933 წელს ნაცისტურმა რეჟიმმა დიდი აუტოდაფე მოაწყო. მანები, ბრეხტი, ფოხტვანგერი, რემარკი და სხვა "საეჭვო" ხალხის წიგნები ცეცხლს მისცეს და ამ ავტორების წინაპრის წინასწარმეტყველების ასრულება დაიწყეს - "იქ სადაც წვავენ წიგნებს, მაღე ადამიანებსაც დაწვავენ" (ჰაინე).

წიგნის დაწვა მაგიური აქტია. სულ ტრიუფოს 451 ფარენჯიტის კადრები გახსენდება - თან საშიშვლად და თან რაღაცით ავად მომხიბლავიც. როგორც ბევრი ცუდი რამ - მაგალითად, შენი სოფლისკენ მიიდან დაძრული ვულკანი.

ჩვენთან, ახლო-მახლო რაც მახსენდება, - 2009 წელს, ცხინვალში, იქაური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მოიძიეს იქ დაცული ყველა ქართული წიგნი და საერთო საცხოვრებლის ეზოში კოცონად აქციეს. მანამდე ოთხმოცდაათიანების დასაწყისში წიგნების დაწვა ძირითად პატრიოტ-

ულ-პოლიტიკური მოტივით ხდებოდა - ვინ ვისისტი იყო და მსგავსი ამბები თამაშობდა გადამწყვეტ როლს.

ბოლო საქმე ასეთი გახლავთ: ბათუმის ერთ-ერთი წიგნის მაღაზიაში, წლებს წინ ჯერ ზაზა ბურჭულაძის "ხსნადი კაფკა" დაუნვათ - ერთიკუთლიოს უწყინარ ნაწარმოებს მაღავენ სექსის და მარხვის შეუთავსებლობის მოტივით. ბოკაჩო, დე სადი (ფუი, ეშმაქს!) ან სარამაგო, ეტყობა, არ ჰქონდათ. ან სათაურმა არ მიიზიდათ. ამ საქმემ მცირე სამამულო სკანდალი გამოიწვია და სოციალური ქსელში ერთი-ორი კონსილიუმიც გაიმართა. არ მინდა დაევიყურო, რომ გულში უმრავლესი მაინც დამწველებს უთანაგრძნობდა, მაგრამ ამ განხილვებს ჰა-ჰა რამდენიმე ასეული კაცი თუ შეუერთდა.

კონსულტანტებს კი სრულიად კეთილშობილური მიზანი ჰქონდათ: მკითხველისგან დაემალოთ ის, რაც მათი სულებისთვის საშიშად მიაჩნდათ. ამ მოცემულობაში იმაზე საუბარი, რომ ეს წიგნის მაღაზიის რაობის ზოგად პრინციპს ეწინააღმდეგება, ცოტა გაულუბრყვილო საქმედ მიმაჩნია. ვერც ჩვენი მხრიდან დამუხათება და ნამდვილ ქრისტიანულ მორალზე მითითება და სხვა მსგავსი იდეები შეეცვლის საქმეს. არც შეხსენება, რომ დრო იყო ბიბლიასაც წავადნენ. "ვეფხისტყაოსანსაც" წყალს ატანდნენ. არ გაამართლა ამგვარმა მიდგომამ არასდროს. მთავარი ამოცანა, ამ ხალხის შიშის დაძლევაა. ეგებ და ეს დროებითი შიშია, უწყინარი აკვირდება. დაძლევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ადამიანები წიგნებს ნაკითხავენ. ამგვარ ამბებზე საკულტო რომანის ავტორი, რეი ბრედბერიც ხომ ამას გვეუბნება: "არსებობს უფრო დიდი ბოროტება, ვიდრე წიგნების დაწვა - მათი არნაკითხვა".



ზაზა ციციშვილი აქა ამბავი ანემოში გახირულთა

"- რას გაუმარჯოს? - დაეკითხა მეძვანი გუმანს.
- ხეტიალს! - უპასუხა გუმანმა.
- რატომ? - გაუკვირდა მეძვას.
- ანემოში გახირულთა ხეტიალს, - დააზუსტა გუმანმა"

ირაკლი სამსონაძე, ლეას საათი",
თბ. "ინტელექტი", 2011.



ყველა ცოცხალი არსება მეტ-ნაკლები დოზებით ბუნებრივ ინსტინქტებზე დგას და მოძრაობს. როდესაც ბუნებრივი ინსტინქტიც კი "ურევს", ნამსდარიანი შინი საქმე, მით უმეტეს, თუ ისეთი უწყინარი და მოდიპორდაპირ ვთქვათ - უტყინო ფრინველი ხარ, როგორიც მწყერილა. აბა, მწყერს რა უნდა ბინამი? ბინას რომ თავი დაევაებოთ, საერთოდაც თბილისის თავზე რაღა ესაქმებათ მწყერს? მათმა ბუნებრივმა საათებმა თუ აურიეს ალბათ და ლეას საათის რიტმში დაიწყეს ტიკტიკი, რამაც კარგად არაფერი მოუტანა არც მწყერებს და არც ბავარებს.

არის ერთი შეგრძნება, რომელსაც პირობითად გერმანული სახელი მიყვარდავ, რადგან უფრო უხდება - zu hause. ძალიან ბუნებრივი რამაა ეს ჩვენი zuhause და სახლში ყოფნით გამოწვეულ მაქსიმალურ შინგან კომფორტსა და პარამონიას აღნიშნავს. იოლონეს ეს "სახლი" შეიძლება სულაც არ იყოს არსებული ბინა კონკრეტულ მისამართზე. ჩემი აზრით, მოგწონს ეს თუ არ მოგწონს, ცოცხალი არსებები ამ ქვეყანაზე სამკვიდროდ ვართ გაჩენილები და არა სახეტიალოდ. ის, ვინც ბევრს ბორიალობს უთავბოლოდ, სწორედაც რომ zuhause-ს მწვავე დეფიციტით იტანჯება და

ესწრაფვის მას, ჩემის ღრმა რწმენით. მწყერებიდან დანყებულნი - ადამიანებით დამთავრებული, ყველანი სადმე დამკვიდრებას ვცდილობთ, პირადი ტერიტორიის პოვნას და თუ მას ვერ ვპოულობთ, მეურვე ვეყვალავთ და ვართ უკიდურესად უბედურები, არადა არც ისე მარტივი საპოვნია ეს ოხერი. როგორც ჩანს, იმდენად ძლიერი ყოფილა ადამიანებში ხსენებული ინსტინქტი და მისწრაფება, რომ ბავარებისნაირ ავანტიურისტ, მედრონი, მოუსვენარ და კარიერისტ კაცებსაც კი ტანჯავთ და აწვალბთ ის. სხვა მხრივ, კონსტანტინიც და ლასლო ბავარებისნაირი ადამიანი სადმე დამკვიდრებას რატომ უნდა ესწრაფვოდეს? განა იმისთვის არ შექმნა ღმერთმა ბავარები, რომ ხან პრუსიის ჯამშუბები იყვნენ, ხან გერმანიის მსახურები, ხან მეფის რუსეთის გენერლები და ხანაც საბჭოთა კავშირის ჩეკისტები. როგორც ჩანს, მათშიც, ისევე როგორც ყველა სხვა ადამიანსა თუ ცხოველშიც, ეს ინსტინქტი ყოფილა ერთ-ერთი ნარმმართავი მონაგანი ძალა, რომელზეც მთელი მათი ვნებათა დღეღამე აღსაყვებ ცხოვრება აწყობილ-გასწორებული... ან ასე ვთქვათ: უნდა ყოფილიყო აწყობილ-გასწორებული.

ბავარების შემთხვევაში სხვა შინგანაწესრიგთან ანთუ უწესრიგობასთან გვაქვს საქმე, კერძოდ კი - ლეას საათთან. რა არის ლეას საათი? რატომ არიან ბავარები ლეას საათზე მომართულები?

საქმე იმაშია, რომ ლეას საათი ვერდამკვიდრებულთა სულის სასონარკვეთილი, გაუცნობიერებელი ამოძახილია. ლეას საათი ტრავმადიანია ხალხისა, რომელსაც zuhause-ს მწვავე დეფიციტით ტანჯავს. ის გაუკულმარებელი, პერვერსიული აღქმა-გრძობის, პრემიუმულ გათქვებდენ და გამოსავალს ვეღარ პოულობენ ლაბირინთში გაბნეული თავგებები. ასეა - ადამიანი, რომელიც ვერ იმკვიდრებს, განწირულია სამუდამოდ ანემოში ხეტიალისთვის. მას არ აქვს წარსული და არც მომავალი, ის სულ აქაა - ახალი ეპოქის ახალი კაცი, რომელზე ძველიც სინამდვილეში არაფერია, როგორც ავტორი აღნიშნავს. ეს საქმელეონია, დღენიდაც გარემ-

ოს ფერებზე მომართული. დიდი ტრავმადიანია ასეთი ანემოში გახირული კაცების ცხოვრება. იმდენად დიდი, რომ ამ ყველაფრის გასიგარმეგანების შემდეგ შეიძლება უთანაგრძობ კიდევაც ამ პირნავარდნილ ნაბიჭვებსა და არამზადებს და აპატიო ყველაფერი, რადგან გაუცნობიერებლად იტანჯებინა, ნელი მოქმედების ნაღმებზე შეთქმულებანი ნაწილ-ნაწილ. განა რა მათი ბრალია რომ ლეას საათზე მომართულან, ლეას საათი ხომ ბუნებრივი (თუმცე კი მაინც პერვერსიული) გამოძახილია მათი ქვეცნობიერის. აბა გაიხსენეთ რამხელა ფინით, გატაცებითა და ვნებით ემეფა კონსტანტინე ლეას, როგორ ესწრაფვოდა მასში სამუდამოდ დარმბინა და როგორ უკულმა დატრიალდა ისტორია - ლეამ კონსტანტინესგან ტყვეა მიიღო, თესლი კი მარგოს დარჩა. ტრავმადიან და ბედის უკუღმართობაა, აბა რა არის?

ორი მინუსი ერთად პლიუსდება. სწორად გიგლას მოხედნენ ბავარები? იქნებ სულაც ჯობდა გერმანიამ დარჩენილიყვნენ ან უნგრულ ფესვებს დაჩრუნებოდნენ? უნგრულის და გერმანულის რა მოგახსენიოთ და საქართველოც თავისი ხალხიანად ორი საუკუნის მანძილზე, ბავარებთან ერთად და მათ კვალდაკვალ უთავბოლოდ, zuhause-ს დეფიციტით ვატანჯული დავთრევა ეპოქიდან ეპოქაში და ვერსად მკვიდრდება. დამკვიდრებისა რა ვითხრათ და სწორედ საქართველოში კი იმთვის ბავარებმა მონათესავე სულები თუ უსულები და აქი ბოლოს ცირკის წინ მდგარი მსუქანი ბოთი უერთდება კიდევ ასევე ლეას საათზე მომართული, ხეტიალით დაუქნაცავ ხალხთა მასას? იმკვიდრებს იქნებ? თურმე ცად ყოფილა და ვერსად მკვიდრდება. ცოტათი პარადოქსს კი ჩამოჰვავს, მაგრამ რაცაა ვეცა.

"ლეას საათი" სუფთა ქართული რომანია, ქართული და აქამდე არსად ნახსენები პერვერსიული ბუკეტი, ანემოში სამუდამოდ (?) გახირულ ხალხთა ტრავმული ამბავი, რომელსაც ირაკლი სამსონაძე-ვახთაძემ მწერელმა დიდი ოსტატობით მოუყარა თავი.

ჯაბა მარქუა

ჰოლდენა კოლფილდაძის love story

ლაშა მილორავა, "ბაბუა ბუკოვსკი", თბ. "ბაკურ სულაქაურის გამომცემლობა", 2013.



ჩარლზ ბუკოვსკი არასდროს აღმაფრთოვანებდა, არც ბიოგრაფიით და არც პროზით, მით უმეტეს, მისი ერთმანეთის მსგავსი ფანებისა და გადაძნერების გავება მიჭირდა ყოველთვის და, ალბათ, სწორედ ამიტომ შევუდექი "ბაბუა ბუკოვსკის" კითხვას სკეპტიკური განწყობით, თუმცა როცა აღმოვაჩინე, რომ სათაური ნიგნთან არაფერ შუაშია, შევბით ამოვისუნთქე.

"ბაბუა ბუკოვსკი" ძალიან ახალგაზრდა ქართველი ავტორის, ლაშა მილორავას სადებიუტო მცირე რომანია. ასაკს სპეციალურად გავსევი ხაზი - პირველი რადენდემო თავის კითხვისას რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი საკუთარი თავის გაპერსონაჟებით მოჭარბებულად ერთობა და სიუჟეტი განზე რჩება. სრული უძრაობაა, არადა მცირე რომანის წერისას ავტორს ნამდვილად არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ნახევარი ნიგნი მიუძღვნას დიალოგს, რომელიც არაფერს სჭირდება, პერსონაჟებს, რომლებსაც არაფერი იყენებს და უბრალოდ გარემოსა და სამოქმედო არეალის შექმნას დახარჯოს დრო და ენერჯია. ვაგაკვირდებთ და მთავარი გმირის ბაბუა, რომელიც ბუკოვ-

სკის მხოლოდ გარეგნულად ჰგავს, არაფერ შუაში არ არის სიუჟეტთან (გარდა მთავარ გმირთან გენეტიკური კავშირისა) და გაუგებარია, რატომ ჰქვია მაინცდამაინც მისი სახელი ნიგნს, ალბათ, ქართველი ბუკოვსკოპოლიკების გულის მოსაგებად.

"ბაბუა ბუკოვსკისა" რა გითხრათ და, სიტყვაზე, "შვილიშვილი კოლფილდი" უფრო შეფერება ნაწარმოებს სათაურად, ვისზე ნაკლები ფანი ჰყავს ჰოლდენა ბოლოლო? თუ ამაზე მიდგა საქმე. მოკლედ, მინდა გითხრათ, რომ მთავარი გმირი ნიკა ვერშემდგარი ჰოლდენ კოლფილდა, მისი ქართული ნახევარფაბრიკატი, ერთგვარი ჰოლდენა კოლფილდაჟე. აღსანიშნავია მისი სამეტყველო ენა. თითქოს სერ ენტონის (ან თუნდაც იმავე სელინჯერის, მაგრამ კითხვისას სელინჯერზე მეტად ბერჯესი მახსენდებოდა) მსგავსად ლაშაც ცდილობს შექმნას რაღაც მუტანტი სლენგი, თუმცა ეს მცდელობა წარუმატებლად მთავრდება და მკითხველს ხელში რჩება მთავარი გმირის გამაღიზიანებლად არაბუნებრივი ქართულ-ინგლისური სლენგი, holy pants of david bowie!

მთავარ გმირს რომ თავი დავანებოთ, თავად ავტორის თხოობის მანერაც ვერ გამოირჩევა დიდი დახვეწილობით. ეს პატარა ნიგნი გაქვილია უამრავი უღდეგო სტილური ნიუანსით, ასე მაგალითად:

"ნიკა დავამაინათა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, მაიკლ სტალბერგს რომ ჰგვანან, ანუ მათი შინაგანი სამყაროს სახეზე ამოკითხვა შეუძლებელია";

"იმ მომენტში ნიკას ალბათ მხოლოდ ლუდვიგ ბორხარდტი გაუგებდა";

"მძლიერი საოცრად გავდა ხავიერ ბარდემს";

"აბა რა კერუაკობა აგიტყდა" (ეს ბოლო განსაკუთრებით ამოვარდნილია და საერთოდ არ ერგება ნიკას მამის ტიპაჟს).

როგორც ზემოთ მოყვანილი ფრაზებიდან ან სულაც სათაური-

დანაც მიხვდით, ნიგნი დახუნძლულია უამრავი ავტორის გვარ-სახელით, სხვადასხვა ნიგნებით და ავტორიტეტებით. მქონდა იმედი, რომ ბოლოში ავტორი თავადვე იცინებდა ამ მოჭარბებულ "ფუფე ინტელექტუალიზმზე", მაგრამ რახან ეს არ გაუკეთებია და თურმე სრულიად სერიოზულად ყოფილა დაკავებული ავტორიტეტების ხსენებით მთელს ნიგნში, დავასკვენი, რომ ლაშას ეს დომხალი საკუთარი ხმის გამაძლიერებელი დასჭირდა, ეს კი ნაკლებ გამბედაობას ნიშნავს, ნაკლები გამბედაობა კი ძალიან ახალგაზრდა მწერლისთვის ყველაზე არასასურველი რამაა, თუმცა გამოსწორებად.


უნდა აღვნიშნოთ, რომ იმედი-სმომცემია სიუჟეტური წყობა (მისუხედავად საწყისი უძრაობის), ინტერესის დატოვება და ყველაფერი, კვიანის გახსნის გარდა. მართალია, ნიგნში ნააოგნი ბოლდერის სტროფები ლოგიკურად ვერაა დაკავშირებული შემდეგ ნაპოვნ მინიშნებასთან და ამ ყველაფერს უჩვეულო შემთხვევითობის იერი დაჰკრავს (არადა კარგი იქნებოდა, რომ საპირისპიროდ ყოფილიყო), მაგრამ მაინც: ავტორი ითრევს მკითხველს თამაშში (ერთადერთი ესაა, რაც კითხვის მოტივაციას ბოლო გავდამდეგ არ ვიჭრობს და ეს კარგია) და უჩენს ფინალის ინტერესს. ფინალი, სამწუხაროდ, დიდი არაფერი ხდება, პოლდენა პოულბოს მონათესავე სულს, უყვარდება და არის დენიფორი. ალაგ-ალაგ ნიგნის "ამერიკულ" ესთეტიკას მსგავსი ფინალი (და ეპილოგი მით უმეტეს) კიდევ უფრო "ამერიკულებს", შედეგად კი ვიღებთ ჰოლდენა კოლფილდაძის love story-ს happy end-ით.

და მაინც: მისუხედავად ყველაფრისა, ავტორის ასაკი, ახალგაზრდული მამართობა და ნიჭი მე პირადად მაძლევს იმედს, რომ მომდევნო ნაწარმოებებში ის შეძლებს საკუთარი ხმით დამაჯერებლად (თუნდაც დაუხვეწავად, მერე რა) საუბრას და თავს დაანებებს ავტორიტეტების ხელოვნურ საბჭერ იოგებს.

მაშო სამადაშვილი

ნარცისების ბაღნარი

გოგი გვახარია, ცრემლიანი სათვალე, თბ. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 2013.



"31 მისი რაინერ ვერნერ ფახინდერის 60 წელი შეუსრულდება" - ასე იწყება გოგი გვახარიას ჩანაწერების ციკლი, ახლა უკვე წიგნად ქცეული "ცრემლიანი სათვალე". თუ უკვე იცით - ხომ კარგი, თუ არადა, გადაამოწმებთ და მიხვდებით, რომ ჩანაწერების კეთება ავტორმა 2005 წელს, ჟურნალ "ცხელი შოკოლადის" მე-8 ნომრისთვის დაიწყო. ჟურნალის იმჟამინდელმა მთავარმა რედაქტორმა, შორენა შავერდაშვილმა მას რუბრიკის მოფიქრება შესთავაზა.

სწორედ მაშინ ნახა გოგი გვახარია იმ მტვან საბოს ფილმი "მზის სინათლის გემო", რომელშიც სამი თაობის - შვილის, მამის და ბაბუის მეშვეობით უნგრეთის ისტორია მოყოლილი.

"ძალიან საინტერესო იყო ამ პერსონაჟებზე დაკვირვება, როცა წინასწარ ვიცოდი, ისტორიის მიხედვით, რა უნდა მომხდარიყო და მივხვდი - ისეთი ამბავი უნდა დამენერა, რომელშიც მოლოდინი იმაზე იქნებოდა აგებული, რაც

უკვე იცი" - ამბობს ავტორი და ამბობს, რომ ჩანაწერების წიგნად გამოცემაზე არასდროს უფიქრია, კატეგორიული წინააღმდეგობა კი იყო. თვლიდა, რომ რაიმე "დანატორის" შექმნა აუცილებელი არაა (იხ. პირველი თავი, ამბავი რაინერ ვერნერ ფახინდერის ანდერძისა) და აი, ბევრი წლის შემდეგ ამ ექსპერიმენტს მაინც დათანხმდა, სულ სხვა წიგნის გამო, თუმცა ამაზე - ქვემოთ. "ცრემლიანი სათვალეში" თხრობა 1973 წლიდან იწყება და 2004 წელს მთავრდება. მართალია, თხრობა ქრონოლოგიურია, თუმცა ამბები, რომელსაც წიგნში შეხვდებით, არამც და არამც არ არის საქართველოს ისტორია, ეს არის ავტორის მიერ სუბიექტურად შერჩეული წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც, ჩემი აზრით, წიგნს უნიკალურს ხდის, რადგან მხოლოდ ასეთ წიგნში შეიძლება იყვნენ 1981 წლის მთავარი მოვლენა კოჭლ ყოფრეი დე პეირაკზე შეყვარებული, კინო "ყაზბეგში" შეკრებილი ქალები და არა 13 მაისს "კარლ ცაისთან" გამარჯვებული დინამოელები.

წიგნის შესავალშივე წერია, რომ "ცრემლიანი სათვალე" იმ თაობის ისტორიაა, რომელიც ხრუშჩოვის გადაყენებისა და "ოტტავულის" დასრულების შემდეგ მივიდა სკოლაში, ბრუნევის ექიქაში ისწავლა და "პერსიკტორიის" ხანაში დაიწყო მუშაობა... მერე კი დაიშალა, დანაწევრდა - სამოქალაქო ომით, აფხაზეთით, ქვეყნიდან გაქცევით, კულტურის დანგრევითა და კულტურის ნაცვლად ფსევდოკულტურით, ნარცისების ბაღნარში უნებურად". ამ ერთი კონკრეტული თაობის ისტორიის ნაკითხვა ორნარიად შეიძლება, იმის მიხედვით, საბჭოთა საქართველოში დაიბადეთ თუ თავისუფალში. პირველ შემთხვევაში თქვენთვის წიგნი ნოსტალგიური აღმოჩნდება: ზუსტად გათვებით,

რას გულისხმობს ავტორი ბიჭვინთის სურნელში, რომელიც, როგორც თავად წერს "დავრდობილს აყენებს, სასოწარკვეთილს გაამხნევებს, იმპოტენტს ალაგზნებს, მხეცს ჩაკლავს კაცში". გეხსოვებათ კინოს სახლში დასავლური ფილმების და ერთმანეთის სანახავად მისული ცეკას მდივნები, მათი ცოლები, პარიკმახერები და "მანიკურშიცები". რომერტ სტურუას ანშლაგებით ჩატარებული სპექტაკლები, რომლებიც საბჭოთა დროს თავისუფლებისა და გამბედაობის ნამდვილი მაგალითი იყო. მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა, ჩვენ არც ბიჭვინთა გვიწინავე თვლით, "კინოს სახლიც" კინოთეატრებმა "რუსთველმა" და "ამირანმა" შეცვალა, რომერტ სტურუა კი ამასობაში დიდი რეჟისორიდან თეატრის ძალაუფლების მოყვარულ მმართველად იქცა, ამიტომ ჩვენ მის სპექტაკლებზე არ დავდივართ. სწორედ ამიტომ, იქნება ჩემთვის უფრო საინტერესოც კი იყოს "ცრემლიანი სათვალის" კითხვა, რომელში მოყოლილი ამბებიც ყურმოკერით მსმენია, გამირების შესახებ კი მხოლოდ ლეგენდები იცი.

გარდა საყოველთაოდ აღიარებული და ყველასთვის ცნობილი პერსონაჟებისა, როგორიცაა ალფრედ შიჩკოკი, სერგო ფარაჯანოვი, ჯონ ლენინი და სხვები, ეს წიგნი ათობით სხვა ადამიანის ამბავს გაიმშობთ. ჩემთვის გოგი გვახარიამ სახეების გალერეა შექმნა და ამაში მაშინვე დამეთანხმებით, როგორც კი ბოძა ლილას ამბავს ნაკითხავთ, რომელიც კინო "კომკავშირელის" წინ ჩუმჩუმად პოლიუფელედი მსახიობების ფოტოებს ყიდდა, რომელიც ავტორს 22 წლის ასაკში სიკვდილი უწინასწარმეტყველა, შემდეგ კი მასთან ერთად ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებიანზე გულიანად იცინა, ან ავტორის სკოლებს, 16 წლის ქეთინოს გაიცნობთ, რომელიც მეზობლებთან ყოველდღიურად რა-



მდენიმე წუთით შეირბენდა, ხან-მოკლე მოკითხვის შემდეგ კი ტელევიტში გახვალის ნებართვას ითხოვდა და ასე დაუარსებლად, რადგან ბარაკში მცხოვრებს ფეხსალაგი არ ჰქონდა, შემდეგ კი საკოლაში დაირსულა და ოჯახში დაძალით გაათხოვა რუსეთში. ასეთი პერსონაჟები ნიგნში უხვად არიან, მათი დავიწყება შეუძლებელია, ალბათ, სწორედ ეს დამიანები აქცევენ "ცრემლიან სათვალეს" დოკუმენტური პროზის პატარა სამოთხედ:

ნიგნს გამოარჩევს მარტივი და გადაუტყვირთავი თხრობაც, რომელიც დაცლილია ზემდგირ პათეტიკისა და პრანჭვისგან, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი არ მალავს და თვითორნიულად აღნიშნავს, რომ თავად ბურჟუაზიული, მადალინტელექტუალური საზოგადოების ნაწილია, საზოგადოებისა, რომელში ცხოვრებასაც თავისი ნესები აქვს. და მაინც, "ცრემლიანი სათვალე" არ არის სწობური ლიტერატურა, ამისთვის კი ყველაზე მყარი არგუმენტი ამ ნიგნში თუნდაც ქეთონის დალილიას არსებობაა. ამ ნიგნს არ ჰყავს გმირები, მათში ადამიანების ამბებია მოყოლილი.

"ცრემლიან სათვალეს" მკითხველი რამდენიმე წელია ელოდება, ამიტომ სოციალურ ქსელში ნიგნის გამოსვლის შესახებ გავრცელებული პირველი ცნობისთანვე, სასიამოვნო არეულობა შეიქმნა, ნიგნისადმი დიდი ინტერესი ჯერ ივლისის ბოლოს, პრეზენტაციაზე მწერალთა სახლში შეკრებილმა ასობით ადამიანმა დადასტურა, შემდეგ კი იქმიტანილი ყველა ეგზემპლარის გაყიდვამ. საბოლოოდ, ნიგნის გამოსვლიდან თვენახევარში მიღწეული შედეგი ასეთია: სრულად გაყიდული პირველი ტირაჟი (1500 ცალი), ახლად დაბეჭდილი მეორე ტირაჟი (2000 ცალი), ნიგნის ონლაინ-ვერსია და გასული თვის ბესტსელერობა ნიგნის სხვადასხვა მაღაზიაში. სხვათადად არც იქნებოდა ერთი მხრივ ავტორის, მეორე მხრივ კი ამ ჩანაწერების ისტორიის გამო, რომელსაც ნომრიდან ნომრამდე წლების განმავლობაში ელოდნენ "ცხელი შოკოლადის" ერთგული მკითხველები. სწორედ ამიტომ, ჩემთვის გა-

უგებარი ხდება გამოცემლობის გადწყვეტილება - ყდაზე ავტორის გვარ-სახელი დაუჯერებლად დიდი შრიფტით, ხოლო სახელწოდება შედარებით მოკრძალებულად გამოეცხათა. ცხადია, მესმის, რომ ჩვეს დროში ნიგნის მარკეტინგული მხარე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შინაარსობრივი, თუმცა, როგორც ვთქვი, ყველა ვისაც "ცრემლიანი სათვალის" ერთი თავი მაინც ნაუკითხავს, იმათივე თანხმდებოდა, რომ ნიგნს ბესტსელერობის ყველა ნიშანი ჰქონდა.

თუკი ნიგნის ნაკლოვანებებზე ვისაუბრებთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნიგნი ცუდადაა ილუსტრირებული, არადა "ცხელ შოკოლადში" გიორგი მარისა და მათი სუბმადის ორიგინალური ილუსტრაციები, ციკლის ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, როგორც ტექსტი. თავად ავტორიც ამბობს, რომ მცირე დროის (საავტორო ფულგებების მოსაგვარებლად დიდი და ხანგრძლივი მოლაპარაკებების წარმოებაა საჭირო) და მაღალი ბიუჯეტის გამო, ნიგნი ამჯერად ამ საბით გამოვიდა, თუმცა ოდესმე ის აუცილებლად გამოილუსტრირებულ ალბომად, ისეთად, როგორც "ცრემლიანი სათვალე" სინამდვილეშია. ავტორის სურვილი ასევე იყო, ნიგნს თან დართოდა საძიებელიც და მოკლე ვანმარტებები იმ ავტორების, ნიგნების და ფილმების შესახებ, რომელიც ტექსტშია ნახსენები. რა თქმა უნდა, ეს დანართი ნიგნის საგანმანათლებლო მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრ-

დიდა. თუმცა ნიგნი უამისოდაც შემეცნებითა, მისი ნაკითხვის შემდეგ წასაკითხი ნიგნების და სანახავი ფილმების გრძელი სიის ჩამონერა შეიძლება.

"ცრემლიან სათვალეში" კინორში უდიდესი ადგილი უჭირავს, სრულებით გასაგებია - გოგი გვახარია კინორტიკოსია (და როგორც თავად წერს, შემუშავარი კინორეჟისორი). ტექსტში არსებული ნებისმიერი აზრისკენი კინო-კადრად დაჩაბვა შეიძლება.


მე გგონია, აქ უნდა დავამთავროთ, ისევე როგორც "ცრემლიან სათვალეში", რომელიც 2005 წელს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ამბით ნაუცბათედად სრულდება. როგორც კი ნიგნს დახურავთ, აუცილებლად დაწყდებათ გული და გაიჭირვებთ, რომ საიამოვნებთ ნაკითხავდით კიდევ 400-მდე გვერდს, უკვე იმ 9 წლის შესახებ, რომელზეც დღეს, გგონია ყველაზე მეტს საუბრობენ. თუმცა გოგი გვახარია ამბობს, რომ გაგრძელებას არ დანერს, ცოტა ხნის წინ სცადა კიდევ და არაფერი გამოეუქცა, რადგან ახლა სულ სხვა ტექსტითა გატაცებული, რომელსაც ერთკრომერისა და კინოს თეორიის შესახებ წერს და რომელსაც "ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა" სულ მალე დაბეჭდავს. როგორც გოგი გვახარია ამბობს, "ცრემლიანი სათვალის" გამოცემა სწორედ ამ ახალი და მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნიგნისთვის გავლილი გენერალური რეპეტიციაა.



დალი კუპრავა

ძარცვა ანუ საკონცენტრაციო ბანაკში დაბადებული ერი

პიტერ კერი, ძარცვა, მთარგმნელი ქეთი ქანთარია, თბ. "დი-ოგენე", 2013



ბუკერის ლიტერატურულ პრემიას, ორმოცდლიან ისტორიაში, ორჯერ გამარჯვებული მხოლოდ ორი მწერალი ჰყავს - სამხრეთაფრიკელი ჯონ მაქსველ კუტზე და ავსტრალიელი მწერალი პიტერ კერი.

იქნებ, ეს ფაქტი თანამედროვე მკითხველის მოთხოვნის ნიშანია, რათა განსხვავებული გეოგრაფიის, ისტორიისა და კულტურის ქვეყნები ლიტერატურამ მეტად დააახლოვოს, ერთ ოჯახად აქციოს.

ლიტერატურა უცხო კულტურულ სამყაროში, უცნობ სოციალურ სივრცეში, სხვა გეოგრაფიულ არეალში "საბოდილო გზამკვლევი". მიუხედავად იმისა, რომ დღეს მსოფლიოში მიმოსვლა გაიოლდა, ინფორმაციაც სწრაფია და ვიზუალური, მკითხველს, ძველიდან მოყოლებული - დღემდე, მაინც უყვარს ამბის ნაკითხვა და რაც უფრო ახალია ეს ამბავი, რაც უფრო ახლოსაა მის დროსთან, ჩნდება "საკუთარი" განცდა...

ანწყოს ამბების წყურვილით,

ნასაკითხად ბოლოდროინდელი გამოცემებიდან პიტერ კერის "ძარცვა - ერთი სიყვარულის ამბავი" ამ პრინციპით შევარჩიე: რაც შეიძლება "ახალი" და "ახლა". რომანი 2006 წელს გამოვიდა. ავტორიც, ახალგაზრდა არა, მაგრამ საშუალოდ ხნიერი თაობისაა და დღესაც ცოცხალია, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს.

ავტორს და რომანის გმირს საერთო სამშობლო აქვთ: ჩემთვის და, ვფიქრობ, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვისაც უცნობი ქვეყანა - ავსტრალია. უენგურუ, ოპერის თეატრის მწიგნობი, ბუმერანგი, აქა-იქ შემორჩენილი დაჩაგრული და თითქმის განადგურებული აბორიგენების ამბავი და ყურსმილმაგატარებელი ინფორმაცია, რომ დიდი ბრიტანეთი დღეს განიცდის და დიდ ელშია ამ კონტინენტთან, რომლის სახელმწიფო დროშაზეც ვარსკვლავებიან ზღვისფერთან ერთად ცინიკურად მოჩანს ინგლისურ-შოტლანდიური დროშების ნაჯვარი ბრიტანული დროშაც. ამ უკანასკნელში ფაქტმა, დროშებითა და პომეხებით გატაცებული, ჩემი ოთხი წლის შვილიშვილიც დააფიქრა - ასაკისთვის ნაადრევი, მაგრამ ბუნებრივი შეკითხვა გაუჩნდა: რატომ არის ავსტრალიის დროშაზე დიდი ბრიტანეთის დროშა?!

რა თქმა უნდა, არ მოვეყვები კრიტიკას - როგორია ფორმა, აგებულება, რა იქნებოდა უკეთესი, რა ვერ გააკეთა ავტორმა ან რითი დაიპყრო მკითხველი და მისთანები. მე დავწერ, რომ 21-ე საუკუნეში დედამიწაზე ერების დაბადების უწყვეტი პროცესისა უკვე შევჩერა, რომ თვისობრივად იმ რაოდენობის გარდაქმნასაც შეეცნნარი და დედამიწაზე ცხოვრება წარმატებულად გრძელდება. აქამდე თუ გამქალაქებულზე მომითხრობდა ისტორია, ახ-

ლა ვიცი, რომ ავსტრალიელი ერი არსებობს: ის არც აბორიგენია და არც "ბრიტანეთის ციმბირში", ავსტრალიაში გადასახლებული პატიმარი. ამ რომანით, გავიგე, რომ ავსტრალიელი მსოფლიოს ბუნებაში არსებობს. დავიჯერე რომანის ეპიგრაფისა, რომ ავსტრალიელი ტიპი "ქვეყანა რომ თავზე დაშობოდა, ყოველთვის ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც თავად სურდა".

განსხვავებულ კულტურას რომ ვეცნობოდი, იმითაც მივხვდი, რომ რომანში თანამედროვე ლიტერატურისთვის სახადივით მოდებული ცინიზმის ნატამალიც არ ჩანს. უხვადაა იუმორი, იროქია და სატირა, მაგრამ ცინიზმი - არ ჩანს. მთარგმნელმა ქეთი ქანთარიამ რომანი შესანიშნავი ქართულით მოგვანოდა როგორც ავტორისეულ ტექსტში, ასევე პერსონაჟების მონათხრობშიც, დიალოგებშიც. თუმცა ეს ერთი და იგივეა: რომანი ორი ძირის მიერ მონათხრობი ამბავია, ორი ძმის ოდისეა ავსტრალიის კონტინენტიდან იაპონიის კუნძულების გავლით ამერიკის კონტინენტზე. ორი ძმისგან ერთი ქალის სიყვარულის ისტორიაა. ერთსა და იმავეზე ორი განსხვავებული ხედვა: ერთი პირველყოფლი, გულუბრყვილობისა და გულწრფელობის განსახიერება, რომელიც ბავშვობაში მშვიდ ხანად ასწავლეს და ცხოვრების საუკეთესო ხანად ის წლები მიაჩნია, როცა ძმისშვილს უფლდა; მეორე ძმა - მეოცე საუკუნის განხილვებულ და გაულტურებულ მხატვარია, რომელიც ფიქრობს, რომ თუ ადამიანს მხატვრობასთან არაფერი აკავშირებს, მას ბევრი რამ ეუხეშება და მხატვრის სახელსნოს იატაკი მისთვის მსხვერპლშეწირვის ადგილია. ძმები ერთად ქმნიან ერთი, საერთო ავსტრალიელის სახეს: ბავშვის და



პრიმიტიული კულტურის ადამიანის სახეს. მეოცე საუკუნის პოსტმოდერნისტი მხატვარი როტკო აიგივებდა ბავშვისა და პრიმიტიული კულტურის ადამიანის ნაშრომის ფორმის შინაგან შეგრძნებას; ამბობდა, რომ გონება არ ერევაო - ის გონების ჩაურევლა იქმნება, მხოლოდ ფიზიკური და ემოციური გამოცდილებით და არა ინტელექტითო. აი, მხატვარი როტკო რამ გამახსენა, ან რომანის ფიზიკურად არასებულ გმირსა და ფიზიკურად არსებულ მხატვარს შორის მისტიკურ კავშირებზე თავად ნაიკითხეთ, ამ სიამოვნებას ვერ მოგაკლებთ.

მხატვარი უფროსი ძმა მეურვეობს თავის უმცროს გონებასუსტ ძმას. მსგავსება-განსხვავება გონებასუსტსა და გონებასრულს შორის ქრება, ხვდები, რომ ეს პირობითობა ის მოყანყალე კრიტერიუმი, რომელსაც ადამიანი საკუთარი ფიზიკური არსებობის გადასარჩენად აწესებს. ძმები ყასბის ოჯახში გაიზარდნენ, სადაც დილა იწყებოდა ცხოველების ხოცვა-ჟლეტით და მთავრდებოდა იმით, რომ დედა 27 გაპრიალებულ დანას საგულდაგულოდ მალავდა. ჰიუს, გონებასუსტს, ცხოვრებაში აზრად არ მოსვლია ვინმესთვის ზიანი მიეყენებინა: რა - დანა, რის - და-

ნა. ლიტერატურაში ბევრი წინაპარი ჰყავს ამ ტიპის ადამიანს, ფიზიკურად თუ გონებრივად - სხვანაირს. გონებაში მთელი ვალურეა ციკოცხლდება: ნოდარ დუმბაძის ბეჟანა, ფოლკერის ბენჯი, ჰიუგოს კვანიმოლო, კეპოტის ჰოლი... ბევრია, ძალიან ბევრი.


ჰიუსთან ერთად მეც, ამერიკო ვესპუჩისა არ იყოს, ამერიკა, ნიუ-იორკი აღმოვაჩინე. იმასაც მივხვდი, თუ რატომ აქებენ ამერიკაში ნამყოფები ამერიკულ თავისუფლებასა და სილადეს, ამერიკულ დემოკრატიას. ის, რასაც ბოლომდე ვერ მივრია უილიამ ფოლკენერი, ამერიკა - ვერა, მხოლოდ მისი რომანები და პერსონაჟები შემეყვარა, მოახერხეს ავსტრალიელმა მწერალმა პიტერ კერიმ და ჰიუმ: გამიქრა აკვირტებული "აშშ-ში არ ყოფილვარ, მაგრამ არც მინდა წასვლა, არ მომწონს".

ცოდვა გამხელილი სჯობსო, და მიყვარს მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა ყველგან და ყველაფერში, ეს თვისება გათავისებაში მეხმარება. გათავისების გარეშე კი ვერაფერს ვაფასებ - ვერ ვინახებ ან ვერ ვერ უარყვოვ. "ძარცვა" რომ "სოფის სამყაროსთან" დავაკავშირე, ესეც ბუნებრივია ჩემი ცნობისმოყვარეობისთვის - ნივთიან გვამოგ-

ზაურებს იმ სამყაროში, რომელსაც სულ ვეძებთ, ხან ხელისცეცებით, ხანაც - ყნოსვით, თვალთ, სმენითა თუ გემოთიც; ნიგნი ხომ იმ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში გეხმარება, დავით გურამიშვილმა რომ დასვა: ვინ არის, საიდან მოსულა, სად არის და საით წავაო?! ვაჟა-ფშაველამ კი უტოპიური არჩევანიც გააკეთა: რად გაეჩნდი ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადო?! ჰოდა, თუ "სოფის სამყარო" ამბებით მკითხველს ფილოსოფიურ აზრში ამოგზაურებს, "ძარცვა" მხატვრობის აზრში დაატარებს მას. ვინმე რომ შემეკითხებოდეს, ამ რომანის მიხედვით ხელოვნებათმცოდნეობაში საუნივერსიტეტო კურსსაც "დავამუშავებდი", ანუ მწერალთან და სტუდენტებთან ერთად გავარკვევდი, თუ რატომ ექიმება ავსტრალიური სამყარო ნიუ-იორკის სახელთლებო სამყაროს, რა აქვს მასთან გასაყოფი.

როცა "ბუკერი" მოიგო, არ მახსოვს - პირველად თუ - მეორედ, პიტერ კერის უთქვამს: "შოკირებული ვარ".

მართალია, რომანი "ძარცვა" გამარჯვებული არ ყოფილა, მაგრამ მისი ნაკითხვის შემდეგ, ავტორის ემოციას დავესესხები და გავიმეორებ: შოკირებული ვარ!





დავით ანდრიაძე

ოლესია თავაძის სამყაროს ზღურბლთან

"Жалость - в маленьком. Вот почему я люблю маленькое".

В.В. Розанов
"Опавшие листья"



ლე კორბუზიე და ოზანფანი ჯერ კიდევ 1918 წელს ჯოჯობად ამტკიცებდნენ, რომ ხელოვნებაში არსებობს მკაცრი იერარქია, რომლის თანახმადაც დეკორატიული ხელოვნება მუდამ ფსკერზეა, სახვითი ხელოვნება კი - მწვერვალზე.

და ამას მოხდევს მოკლე და უაპელაციო განმარტება: "იმიტომ, რომ ჩვენ მამაკაცები ვართ".

გაიფიოს ხანი, და მერიაში შაპირო და ჯოის კოზლოვი, ისევე როგორც მათთან მიტმანხილი მამაკაცი მხატვრები - რობერტ კუშნერი თუ რობერტ ზაკანჩი დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ ეს იერარქია აბსოლუტურად მცდარია; და რომ დეკორირების ხელოვნება არაფერით ჩამოუვარდება თუნდაც აბსტრაქტულ მინიმალისტურ ფორმებს, ორნამენტი კი, ძველთაგან იყო ხელოვნებათა განუყოფელი ელემენტი.

და მაინც, ფაქტი ფაქტად რჩება: დეკორატიული ხელოვნება, როგორც ასეთი, შუა საუკუნეებიდან მოკიდებული, XX საუკუნემდე, ხელოვნების ფანრებისადმი სპეციფიკური გენდერული რაკურსით განიხილება.

ასე დაიკავა დეკორატიულმა ხელოვნებამ საკუთრივ "სახლის" ანუ ქალური ხელოვნების ადგილი.

"ქალური" თვითგამოხატვისათვის მართლაც გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება ესთეტიკურად მოწესრიგებულ გარემოს - ტანისამოსს, ბინას, ანტურაჟს, ბალს...

და ყველაფერი ეს - ფანჯრიდან მოჩანს... თავად ფანჯარა შესაძლოა, არც ჩანდეს, მაგრამ იგლისხმობოდეს, როგორც "გამოსახულების რეგულარული ველი".

ასეთი "ფანჯრიდან" შევდივართ ოლესია თავაძის სამყაროშიც...

სამყაროში, სადაც ყოველივე "ქალური ხელოვნებით" სუნთქავს.

სილამაზე საგნებისა, მის მხატვრობაში სათნოებასა და მგრძნობელობას ასხივებს და სწორედ ამ მგრძნობელობის მეოხებით ხდება სახლის, როგორც მხატვარი ქალის შინაგანი საცხოვრისის სულიერყოფა.

ქსოვილებით განწყობილი ინტერიერები, ავეჯზე გადაკრული ფარდაგებიც და ფანჯრებზე დაშვებული ფარდებიც, ამპირის ავეჯიც და ვიტრინიდან მომზირალი ჭურჭელი თუ მხატვრისავე ხელსაკეთი თოჯინები მისივე "ავტორიტრეტებია".

ამ ფონზე ისახება ვირტუალური პორტრეტი არტისტი ქალისა, რომელიც ყველაფრისაგან ერთგვარ ნატურმორტს ქმნის.

ლესია თავაძე ყოველივე იშინაურებს, მე ვიტყვოდი, შინა-აურით მოსავს - ხელოვნებასაც, ბუნებასაც, ცხოველებსაც...

განსაკუთრებით, მის საყვარელ ძაღლებს...

ერთი მათგანი - "პასკუალინა", მხატვრის ამქვეყნად არსებულ საგანთა საზომი; და ამიტომაც, რომ ეს უწყინარი ცხოველები მის ნატურმორტებში არა მხოლოდ მასტრატურად "ეზომებიან" მცენარეულ თუ საგნობრივ სამყაროს, არამედ ონტოლოგიურადაც გამოხატავენ ამ საგნობრივ სამყაროზე უპირატესობას.

მოკლედ, ლესია თავაძე პრინციპულად წარმოგვიდგება, როგორც "ღიაცი ქსლისა მბეჭველი". და ეს "ქსლის მბეჭველობა" მთელ მის არტისტულ იერს ჭეშმარიტი ყოფიერების ნიშნად ამჩნევია.

მხატვარი თითქოსდა არასოდეს გამოდის ოთახიდან; მაშინაც კი, როცა ბუნებას ხატავს.

Не выходи из комнаты! То есть дай волю мебели, слейся лицом с обоями. Запрись и забаррикадируйся шкафом от хроноса, космоса, эроса, расы, вируса. (И. Бродский)

სახლის გაქრობა - აი, მხატვრის ნამდვილი ტრაგედია; თვით ცნების გაქრობაც კი...

A веселое слово - дома - Никому тепер не знакомо (А. Ахматова)

ამასობაში, ბალიც ქრება; და ბალის ცნებაც...

"ალუბლის ბალი იჩეხება"...

და ქრება ფანჯარაც...

ფანჯარა, რომლის "გავლითაც" ოთახის მყუდრო სივრცე ერთვის ღიღ სამყაროს - შორეთს, ცას...

და ეს სივრცობრივი დიალოგიც ლესია თავაძის სურათების ხატოვანი განცდაა.

ამ სურათებში ინტერიერის, ერთი შეხედვით ნაცნობი საგნები ერთიან სივრცეში არიან ჩაძირულნი და თითქოსდა, მესამე განზომილებას მოკლებულნი, პირდაპირ მეოთხე განზომილებას აღროს "ბარდებიან".

ინტერიერის ცალკეული ნაწილებიც, იგივე ფანჯრები ჩვენს თვალწინ თავისუფლდებიან, ბუნებას ერთიან და არა იმდენად გამოსახულ, რამდენადაც საგულისხმებელ ოთახსვე უბრუნდებიან.

მხატვარს ლამისაა სინათლის ჭავლიმ გაცყავართ; ასე გგონია, ვირტუალური თეჯირების გავლით სურს ერთი საგნის მიღმა მეორეს ხედავდეს, ერთის მიღმა მეორეს გულისხმობდეს...

თითქოსდა ორთქლის აბანოში ლივლივებენ მხატვრის ნიუთი, სადაც, ღვთაებრივი ბაუფეუქის "მანერით", ნატურას ზენატურა ჩაენაცვლება...

მისი მეტალოგიკური ანუ პოეტური ხედვა სწორედ ამ წარმოსახვითი თეჯირების ფენებით გვეზმანება; როგორც პასტერნაკთან:

Перегородок тонкобреость Пройду насквозь, пройду как свет.

და მაინც, ლესია თავაძის "ოთახი" ესაა სივრცე, რომელიც ჯვრაც არ ქცეულა ოთახად; ანდა, უკვე აღარაა ოთახი.

მარტოოდენ კედლის ფრაგმენტი, მარტოოდენ ფანჯარა, ანდა ფანჯრის მინიშნება, მარტოოდენ კარის ლიბო...

ეს - უფრო მცდელობა ოთახის აგებისა; აგებისა და გალებისა... როგორც მარინა ცვეტაევა



ილუსტრაცია ნიგნიდან:
ვილჰელმ შაუფი
"პატარა მუკის ამბავი"

იტყოდა - "Попытка комнаты".

ასეა, ლესია თავაძისეული ფანჯრის მოტივს თავისი ინდივიდუალური პოეტურ-ხატოვანი ელფერი ახლავს. მკაყურებელი უნებლიეთ განაგრძობს ინტერიერულ (თუ კვაზინტერიერულ) სივრცეს, და "ფანჯარა" სამყაროს ნიშან-სიმბოლოდ გარდაიქმნება.

ფანჯარა ლესია თავაძისთანაც თავისებური "გამჭოლი ფორმა" და ლირიკული სიუჟეტის ფსიქოლოგიური ინსტრუმენტების უნატიფეს საშუალებად გვევლინება, ისევე, როგორც თავად ინტერიერი, ადამიანის არყოფნას რომ "ასურათებს" და "მოქმედ პირად" ანდა ლირიკულ გმირად წარმოგვიდგება.

მხატვარი თავისებურად ეხმიანება "Мир искусства"-ს (თუ "Союз русских художников") მიერ კულტივირებულ კულტურას, "Усадьбная культура"-ს რომ უწოდებენ.

ეს მოტივები სწორედ ამ კულტურის კონტექსტში იძენენ ფანჯრის მიღმა მოშორალი ოცნებისა და ცხადის რომანტიკული კონტრასტის ობერტონებსაც და ნოსტალგიურ-საგანგაშო ინტონაციებმაც, "საბალო" ლირიკის სიღრმისეული მიკროკოსმოსის გაყუჩებულ ნერვს რომ აშიშვლებენ და ფანჯრის რაფის, როგორც წიგნის თავისებური ყდის გადაშლით ვაკაითებენ ბუნებრივად კადრირებულ კომპოზიციას.

რაც შეეხება თვით ფანჯრის სურათოვნებას, ზოგჯერ ისიც ემთხვევა თავად ტილოს ფორმაცს.

ასე იხატება "ინტერიერები - კედლის გარეშე", ურბანისტული სტრესებით გათანგულ ადამიანს საგანგებო ემოციურ განწყობას რომ უქმნიან და

არა ფონურ ხიდად, არამედ წინამსწრებ ყოფიერების ხატად გვეხატებია. ტილოზე ფუნჯის შეხება-მდე აღბეჭდილ გაელვებად...

ამ მიზერ პარადიზებაში მხატვარს ჯერაც იზიდავს ესთეტიკური გრავიტაციის კანონი, ფრინველების სერიაში რომ შეისხამს ფრთებს, როგორც მარადილუ ზეციერისკენ ლტოლვის ხატს; საკუთრივ ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან მოხილულს...

და ეს ფრინველებიც მხატვრის Alter ego-ა, მისი ორნითოლოგიური ორულულები. ესეც ავტობიოგრაფიული სერიაა, ისევე როგორც აზიური ციკლი, რაღაცით პაველ კუზნეცოვისეულ ალუზიებსაც რომ გამობიძობს და ამ ეგზოტიკური მოტივების მიღმა, საკუთარ თავთან გაუცხოების იმ დრამატულ ჩაგვეფიქრებს, უცხო მინაზე რომ აძენინებს მხატვარს სანუკვარ ნავსაყუდელს. ანდა, უცხო ლანდშაფტში - ამ თავისებურ პოეტურ ეგზოტიკაში "ათხრევივნებს" სამოთხეს.

არადა, რა არის ეს სამოთხე, ანდა ვინ არიან ეს "სამოთხისმთხრელები", როგორც პლატონოვისთვის, "Котлован"-ის სამყაროს ანარეკლები?

სამოთხის იქით ზომ არაფერია; სამოთხის მიღმა აღარაფერი ხდება!

სამოთხე - ჩიხია, სივრცის უკანასკნელი მოხილვა, საგანთა დასასრული, მთის მწვერვალი, პიკი, საიდანაც ველარსად გადააბიჯებ, თუ არა წმინდა ქრონოსში...

ჩვენი მხატვარი კი, მუდამ ზომიერი ნაბიჯებით დაიარება;

გრძნობს, სად არის ჩიხი; გრძნობს, სადაა ციკაბო...

თუმცა, მეოხი, არც უდაბნოში სიარული უადვილდება.

მოკლედ, ნებისმიერი სტიქიისადმი ზომიერი ემოციური სიმპათიით გამორჩევა; და ესეც მისი არტისტული თვითგადარჩენის ინსტინქტია; თუნდაც, ქალური ინტიმაცია...

ზელოვნების ნაწარმოები საკუთარ თავთან გაიგივების მცდელობა; და ამ გაგებით ისევე თვითკმარია, როგორც ბუნება, "თავისთვის" რომ არსებობს.

ყველაზე არსებითი, რის გამოც შესაძლოა ასეთი, ავთენტური ხელოვნება ჩვენს იმპონირებას ინვედენს, ესაა ძიება ბუნებასთან შერიგებისა.

არა დათრგუნვისა, არა ონტოლოგიურად იგნორირებული უპირატესობისა, არამედ დაზავებისა...

მაგრამ, როცა ბუნების შეცნობა უფლებულყოფილია? როდესაც იგივე ბუნება მხოლოდაა ნაკრძალი, ამგვარ სივრცეში სადღა შეკლა? ლესია თავაძისთანა მხატვრები კი ბუნებას სულაც არ აღიქვამენ "ორგანიზებულ" სივრცედ და ეტყობა, ყალბი შეძახილიც - "რა ლამაზია!" - თავიანთი მხატვრობისა თუ ბუნების მიმართ, შეუსაბამოდ და შეურაცხყოფლად მიაჩნიათ.

მათთვის ამიტომაცაა აუცილებელი გაქცევა "ბუნებიდან" - ბუნებაში!

აი, რატომაცაა, რომ ბუნებრივ-მშვენიერი მათთანაც "მიღმუსის" (თუ მიღმურისა) ალეგორიად რჩება...





ამ მხრივ, ბუნებრივ-მშვენიერი მართლაც რომ "შენყვეტილი ისტორიაა" - ეს ადორნოსეული ეს-თეტიკურ-თეორიული კონსტრუქტი, შეჩერებულ ქმნადობას აღეჭრავს.

მეორე მხრივ, ჩვენი მხატვრის ნატურ-ესთეტიკურ ოპუსებში, ბუნება რაღაც დაოკებულ-და-შოშმინებულია, თითქოსდა თავის მორტალურობას შეუგებდეს...

და საერთოდ, იქნებ ეს "ცოცხალი" (და სიცოცხლე) არც ბუნების პრედიკატია და არც ხელოვნებისა?

ანდა, ეგებ ბუნებას, როგორც მორტალურს, სიკვდილი უფრო შვენის და "ნატურმორტიც" ხომ სიკვდილის ალგორითა? აი, ამგვარ "სიკვდილზე" რეფლექსიადაც მესახება ლესია თავაძის ნატურმორტები. ესაა თვითმკმარი სამყარო, საკუთარ "არ-არსებულ არსებობასთან", სიკვდილთან წილნაყარი და წინდანიწვე დაზავებული...

ერთი შეხედვით, არავითარი ზემოცანა ამგვარი ნატურმორტირებისას (და არც პორტრეტირებისას) მხატვარს არც ამოძრავებს.

მით უფრო ძნელი მისახვედრია ამგვარი მცდელობა კალმით ნახატებში, რომელთა ცოცხალი შტრიხიც არასოდეს გადადის არტისტულ ექსტაზში და როგორც კი სცდება "გრავიკას", მაშინვე ამთავრებს "ლაპარაკს"...

ასეა, ინტენცია - ხელოვნების მარტოოდენ "სატრანსპორტო საშუალებააო", გვეუბნება იგივე ადორნო.

და უნდა დავუჯეროთ! ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ განჯადობებს არ მოვიტხოვთ ჩვენი მხატვრისგან.

არადა, მხატვრისგან "მეტი" კი არ უნდა მოვითხოვოთ, არამედ "სხვა"...

ოლესია თავაძის ყველა ოპუსიდან ავტორის ელევანტური ნატურა გამოსჭვივის; ნატურა, წილნაყარი მის ოდნავ ასკეტურ იერთან. და ეს იერი, თავის მხრივ, მისეულ პორტრეტებსაც აერთიანებს, პორტრეტებს, რომელთაც საკმაოდ დიდი დოზა აქვთ ავტოპორტრეტულობისა...

ლესია თავაძე ხატავს და უნდა მოგვითხროს მათ შესახებ რაღაც ისეთი, რაც მათ დროში გარდახდენიათ, რაც განვილიშა კვალად დააჩნდია.

ეს პორტრეტები, ერთგვარად, თავისებური "კულტურული როლის" მქონე ხასიათებია, თუმცა ამ პორტრეტებში არაა მცდელობა "იდეალისა" და "პროზაულის" დაპირისპირებისა, ისინი მოდერნის ეპოქის პორტრეტებს უფრო გვაგონებენ, ოღონდ ისე, რომ მათი ელევანტურობა და შინაგანი არისტოკრატიზმი არასოდეს გადადის სალონურ ზედაპირულობაში.

მხატვარი თავის მოდელთან ერთად, რაღაცნაირად, საზიარო კულტურულ გარემოში გარძობს თავს და ისევე და ისევე, მოდერნის მისტერიალურ-თეატრალიზებული პოეტიკის სივრცეში, ავტორი და მოდელი ერთმანეთს. ლესია თავაძისეული პორტრეტები თავისებურად აგრძელებენ ა. ტომპერის, რ. ფალკისა თუ იმავე ზაქუბუქ-მე-ლიქოვის ინტიმური პორტრეტების წყებას, მათ

პრივატულ, "შინაურულ" ჰიპოსტასებში. მაგრამ არასოდეს არღვევენ დელიკატურ დისტანციურობას მოდელის სიღრმისეულ სულიერ პლასტებთან შეხებისას. ესაა თავმეკავება ღიაობის სანაცვლოდ.

და რჩება, შესაძლოა, უფრო არსებითი - უნარი თვით-შე-სმენისა, საკუთარი თავის მიყურადებისა, ხელის იმ უნებლიე მოძრაობისა, შინაგანი ხმის მოსმენისკენ რომ გან-განწყობს, როგორც "მამის პორტრეტში" გაელვებული ფესტი, ასაკოვანი კაცის ჩუმი საუბარი ენტელეხისთან... სწორედაც სხეული, სხეული წლებისაგან "დათოვლილი" მიზიდავს ამ პორტრეტის ენერგეტიკულ ველში, სადაც აფექტები მუდამ შეკავებულია.

აფექტის შეკავება - ნიშნავს მუდამ თვით-დგენაში ყოფნას, საკუთარი თავის მართვას, თანაც ისე, რომ ხელში არაფერი "გეკავოს".

გარდა შვილისა... ასეთი სახეები მოსწონთ, მეტიც, ისინი უყვარდებოთ; და უყვარდებოთ იმიტომაც, რომ ასეთი პორტრეტები საკუთარ დაუცველობას გვახსენებენ.

ისინი "სხვისი ხელიდან" არიან შექმნილი, უცხო ხელით არიან ნაწარმოებნი, გამლები ხელით, გაშლილი ხელით...


ხელი გამლები, ხელი გაშლილი კი - სუფთა ხელია...

ასეთი ხელებით იქმნება ხელოვნება...



ილუსტრაციები სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებისთვის

32/48





ორჰან ფაბუჰისა და მიშელ უელბეჰის

ახალი თარგმანები „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისგან“





ეხბურთედთა ავტობიოგრაფიები



თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge



დიოგენეს ზიგლიროთაქა

პირველად ქართულ ენაზე

მხოლოდ ორიგინალიდან ნათარგმნი
მსოფლიო ლიტერატურის რჩეული ნიმუშები

მალი

2005 წლის ბუკერის პრემიის ლაურეატი
ირლანდიელი მწერლის ჯონ ბენვილის
ცნობილი რომანი

